

№ 3. 2015 ♡.



И С С С С С С С

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო  
 სსიპ „აფხაზეთის საგამომცემლო ცენტრი“

**იაცანი** - შემეცნებით-ლიტერატურული ჟურნალი ყმაწვილთათვის  
**აფქიო** - კონა-კრებული ყველაზე პატარებისთვის



რედაქტორი - ნანა ჯანბურია

მხატვრული რედაქტორი - ნუნუ ჯანელიძე

პასუხისმგებელი მდივანი - ვახტანგ ზაქარაია

მხატვარი - დალი მუსაძე

„საგამომცემლო ცენტრის“ დირექტორი

ირმა ირემაძე

**იაცანი** - დაარსებულია 1996 წელს

**აფქიო** - დაარსებულია 2010 წელს

გამოცემა განახლდა 2014 წელს

**საგამომცემლო ჯგუფი:**

გენო ჯალანდია, სალომე ჯაჯანაძე, ნატო ჟორსანბია, ნინო ვახანია, გელა ჩჰვანავა, ნუგზარ მგალობლიძე, ოთარ ჟორდანიანი, სოსო ჯაბაურიძე, დიმა ჯიანიანი.

**ყდის მხატვარი:** დავით ბაძაღვა







## სოფელ მოქვის სკოლა. XIX საუკუნე



**მოქვის სამკლესიო-სამრევლო სკოლის მოსწავლეები და კმაზობები**

ეს ფოტოსურათი 1910 წელს თბილისში გამოცემული ფოტოალბომიდანაა. როგორც კრებულის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, იგი მიეძღვნა ქაჯასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების დაარსების 50-ე წლისთავს.

ეს საზოგადოება შეიქმნა 1860 წელს ქ. თბილისში, რუსეთის უავგუსტესი დედოფლის, იმპერატრიცას - მარია ფეოდოროვნას გადაწყვეტილებითა და პატრონაჟით.

ბუნებრივია, საზოგადოება მიზნად ისახავდა რუსული პოლიტიკის გატარებას მთელ ქაჯასიაში; აფხაზეთში, ოსეთში, სვანეთში, ხევსურეთში, თუშეთში, ფშავში - ქაჯასიის მთიან სოფლებში ეკლესიებისა და სკოლების გახსნას, ისეთი სასწავლებლების, სადაც მოზარდები პირველდაწყებით განათლებას მიიღებდნენ.

რა თქმა უნდა, სწავლება ძირითადად რუსულად უნდა ყოფილიყო. იმპერიის იდეოლოგია შეუვალთ იყო - დაპირისპირებოდა ჩვენს მშობლიურ ენას, ნაციონალურ ფასეულობებს; ამასთან, საქართველო, რუსეთის სამხრეთ გუბერნიად მიჩნეული ქაჯასიის ერთ-ერთი პროვინცია (როგორც მეფის ხელისუფლებას მიაჩნდა) მუდმივად ვასალურ დამოკიდებულებაში ჰყოლოდა. „სამოციანელებიც“, იღია ჭავჭავაძის თაოსნობით, ამ დროიდან იწყებენ აქტიურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

XIX ს.-ის ბოლოს ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ თავისი სახსრებით ოჩამჩირის რაიონის სოფელ მოქვში გახსნა ერთ-ერთი ასეთი სკოლა.

საუკუნის წინანდელ ფოტოზე აღბეჭდილნი არიან სწორედ ამ სოფლის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მოსწავლეები, სასწავლებლის პედაგოგებთან და ზედამხედველებთან ერთად.



# ნანიზურები გულზე

რეზო ინანიშვილი



მიყიდეს კალოშები. გარედან შავი, პრიალა, შიგნით –  
 – წითელი. გარედან ცივი, გალაქული რეზინით, შიგნით  
 – თბილი მაუდით. ძირები დაჭრელებული ჰქონდა  
 – ფეხი რომ არ დაგსხლტომოდა თოვლსა და  
 ტალახში. ჩაიცვამდი  
 ფეხსაცმლიან ფეხზე, ცოტა  
 კი გემძიმებოდა, მაგრამ,  
 სამაგიეროდ, ფეხსაცმელი  
 არ გეთხუპნებოდა  
 ტალახში. მიხვიდოდი  
 ვინმესთან სტუმრად,  
 კალოშებს გარეთ, აივანზე  
 დაიხდიდი და სუფთა  
 ფეხსაცმელებით  
 შებაკუნდებოდი შინ.  
 თანაც, როცა კალოშები  
 გეცვია, ფეხები ძალიან  
 თბილად გქონდა,  
 არასოდეს გეყინებოდა.  
 მიყიდეს კალოშები...

მე კი პატარა ვარ,  
 პირველკლასელი. ის კალოშებიც  
 პატარებია, მამის კალოშებთან –  
 ბარტყებივით. მომაზომეს, ჩამაცვეს. ცოტა  
 თავისუფლად მქონდა. არაუშავსო, ქაღალდებს წაეუგებოთ წინაო.

ისეთი ღამაში კალოშები იყო, არ მოვისურვე გაზეთის დაჭმუჭნილი ქაღალდების  
 წაგება. ცოტათი მეხდებოდა, მაგრამ მაინც სიამოვნებით დავაბიჯებდი.

გავივლიდი და გამოვივლიდი აივანზე, გავივლიდი და გამოვივლიდი. ძირსაც  
 ვაპირებდი ჩასვლას, მაგრამ ძირს სიმშრალე იყო, მზე ჩახახებდა. დაგცინებენ, ძირს არ  
 ჩახვიდეო.

არ ჩავედი, დავიხადე კალოშები, იდაყვი დავუსვი ძირებზე, მერე ზემოდანაც. ხომ  
 პრიალები იყო, უფრო პრიალი დაიწყეს. დასაძინებლად დაწოლილმა სკამი დავიდგი,  
 კალოშები ბალიშთან ახლოს დავიწყევე, მომწონდა მათი სუნიც. თან ვიძინებდი, თან  
 თვალებმოჭუტული ვუყურებდი.

დილას გამეღვიძა. შემოვარდა ჩემი ბიძაშვილი. იცი, როგორ გაუყინავს, იცი, როგორი  
 ყინულებია, არხის წყალსაც გაყინავდა, ბიჭო, წავიდეთ, ვნახოთო.

არხის წყლის გაყინვა ბავშვებს ძალიან გვიხაროდა. დავსხდებოდით ციგებზე,  
 დავიჭერდით აქეთ-იქედან წვეტიან ჯოხებს, დავაწვებოდით იმ ჯოხებს და გავარდებოდა  
 ციგა სრიალით წინ. ვსრიალებდით მთელ დღეს.

სწრაფად ჩავიცვი. ჩავიცვი კალოშებიც. ჩემი ბიძაშვილი როგორღაც მორიდებით  
 დამყურებდა, რა კარგებია, ბიჭო!

დავატყაპუნე სიამაყით ფეხი. ჩავედით ეზოში.

მართლაც, გაყინული იყო სველი ადგილები. გუბებს თეთრი ყინული გადაჰკვროდა.  
 ჯერ იმ გუბების ყინულები ვამტვრიეთ, მერე ფერდობზე დავეშვიტეთ, წისქვილის არხთან  
 ჩავედით.





არა, ჩვენდა სამწუხაროდ, წისქვილის არხი ჯერ არ გაყინულიყო. რაღაც ძალიან ღურჯად და მძიმედ მიდიოდა წყალი. მხოლოდ ნაპირებს გასდევდა თხელი, თეთრი ყინული.

ჯერ გულდაწყვეტილები ვიდექით. მერე ნაპირის ყინულის მტკრევა დავიწყეთ. ფრთხილად, წინ რომ არ წავყირავებულყავით, ჩავარტყამდით ფეხს... ჭლახ! – დაიძახებდა ყინული, ჩაიმსხვრეოდა და ნაპირს მოცილებული ნატეხები ტივტივით მიჰქონდა წყალს.

ამოიღო ჩემმა ბიძაშვილმა ყინულის ერთი ნატეხი, ააგდო მაღლა, ამოუქნია ფეხი, მოხვდა ფეხი ყინულს და ის ყინული ბრჭყვიალა ნამსხვრევებად გაიფანტა ჰაერში.

ძალიან მოგვეწონა ეს ორივეს. მეც ამოვიღე ყინულის ნატეხი, მეც ავაგდე მაღლა, მოუქნე ფეხი და... წამძვრა კალოში, ამოტრიალდა ჰაერში და – ტყაპ! – წყალში, ჩავარდა და ჩაიძირა მაშინვე.

მივრბოდით მე და ჩემი ბიძაშვილი ნაპირ-ნაპირ, იქნებ, სადმე გამოიტანოსო, მაგრამ არ გამოიტანა. მაშინ გამოვბრუნდით და გამოვიქცეთ შინ. მე – ტირილით.

შინ რომ გაიგეს, რაც მომიხდა, გაგიქრეს ხასიათი, ერთ დღეს მაინც გცმოდანო! გაიქცა დედა, იქნებ, მე ვნახო. ხელცარიელი დაბრუნდა.

მე ისევ ვტიროდი. რომ გითხარი, ქაღალდები წავუგოთ-მეთქი, რატომ არ გაიგონე, ეგ გინდოდა, არაო!

- მე ეგ როგორ მინდოდა, - და ავუწიე ხმას.

- გაჩუმდი, გაჩუმდი, შენ არაფრის ღირსი არა ხარ და არც გაგხდით რამის ღირსს ამის შემდეგ.

და ამისრულებს. აღარასოდეს უყიდიათ კალოშები ჩემთვის. როცა მე შევიძელი რაღაცეების ყიდვა, მაშინ უკვე გასული იყო კალოშების მოდა.

ის ცალი, პატარა კალოში კი ხან სად მხვდებოდა, ხან სად, თანაც დიდხანს. დავინახავდი და შემეკუმშებოდა გული.

ახლა რომ ექიმები მსინჯავენ, მეუბნებიან, ნაწიბურები გაქვს გულზეო.


მე არ მიკვირს.

ერთი ნაწიბური ხომ ჯერ კიდევ იმ პატარა კალოშის დაკარგვამ დამაჩნია ზედ გულის წვერზე?!

მე ისიც კი ვიცი, ის ნაწიბური რას ჰგავს... ის ჰგავს მოჭუტულ, გუგაგამშრალ თვალს.







**ამბროსი ხელაია** (ერისკაცობაში - ბესარიონ ხელაია - 1861-1927 წ.წ.) - უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

პირველდაწყებითი განათლება მიიღო ოჩამჩირეში. 1887 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი სოხუმის ეპისკოპოსმა გენადიმ ჯერ სოხუმის საკათედრო ტაძრის დიაკვნად, მერე კი მღვდლად აკურთხა. ამასთან, რვა წლის მანძილზე იყო სოხუმის, ახალი ათონისა და ღიხნის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველიც და ქართული ენის მასწავლებელიც.

თავის გამოკვლევაში „წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია) და აფხაზეთი“ პროფესორი ჯემალ გამახარია აღნიშნავს:

„1895 წელს, აღდგომა დღეს, ეპისკოპოსმა არსენმა სოხუმში მამა ბესარიონს სახარების ქართულ ენაზე წაკითხვა აუკრძალა იმ მოტივით, რომ „აქ საქართველო არ არისო“. ეპისკოპოსმა საკადრისი პასუხი მიიღო: „აქ საქართველოა და არა რუსეთი“.

პრესაშიც ილაშქრებდა იმ პირთა წინააღმდეგ, ვინც აფხაზებს ქართველთა სიძულვილს უნერგავდა. ბოლშევიკური რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, 1921 წლიდან, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი - ამბროსი ხელაია აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

1922 წლის 7 თებერვალს მან თავისი ცნობილი მიმართვა გაუგზავნა გენუის მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას, რომელსაც 29 სახელმწიფოს წარმომადგენელი ესწრებოდა. იგი მოითხოვდა ქვეყნის საზღვრებიდან რუსეთის საოკუპაციო წითელი ჯარის გაყვანას, საქართველოს შელახული, კანონიერი უფლებებისა და დამოუკიდებლობის აღდგენას.

\* \* \*

„ჩეკაშ“ ამბროსი ხელაია და მთელი საკათალიკოსო საბჭო იმავე წელს დააპატიმრა; მეტეხის ციხეში იხდნენ 1924 წლის დამლევაძე.

პატიმრობის დროს ამბროსი ხელაიას მიერ წარმოთქმული ცნობილი სიტყვები მაღალი ზნეობრიობისა და სულიერი სიმტკიცის გამოხატულებაა: „ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, ჩემი გული სამშობლოს, ჩემი გვაში კი თქვენთვის დამითმია, მტარვალებო!“ როდესაც პატრიარქი ტოვებდა სასამართლოს შენობას, საგანგებოდ მოწვეული კომკავშირელები მას კვერცხებს ესროდნენ.

აი, ერთ-ერთი ნაწყვეტი ამბროსი ხელაიას გამოსვლიდან, წარმოთქმული სასამართლო პროცესზე:

„ამ ოცდაათიოდე წლის წინათ მოწმე გავხდი შემდეგი სანახაობისა: ქ. სოხუმის ბულვარი; ზღვის პირად მრავალი მოსეირნე; აქვე დგას ორი რუსი, ძალზე შეზარხოშებული. ერთი უჩვენებს თოვლიან მთებზე და ეუბნება მეორეს:

- Эти горы наши. Все народы, там живущие, наши подданные и все здесь гуляющие нам подчинены.\*

და დააბოლოვა იმნაირი სიტყვებით, რომლის მოყვანა აქ არ შეიძლება.“

(იხილეთ ნომრის ჩანართი).

6 \* - ეს მთები ჩვენია. იქ მცხოვრები ყველა ხალხი ჩვენი ქვეშევრდომია და თითოეული აქ მოსეირნეც ჩვენ გვემორჩილება (რუს.)



## ღუმურიშის ეკლესია

IX საუკუნიდან აფხაზეთის ტერიტორიაზე ფართოდ გაიშალა ქართული ქრისტიანული ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა (IX ს.-მდე უფრო ბიზანტიური გავლენა იგრძნობოდა), კულტურული კერების დაარსება.



ღუმურიშის ეკლესია. IX ს.

გალის რაიონის ტერიტორიაზე პირვანდელი სახით კულტურის ძეგლების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია მოაღწია. ისინი მეტწილად დანგრეულია, ზოგიერთი მათგანის მხოლოდ საძირკველი მოჩანს. ფრანგი მეცნიერის დიუბუა დე მონპერეს დროს (XIX ს.) კულტურის ძეგლები ნაკლებად იყო მიწით დაფარული. ამიტომაც წერს იგი:

„აქ ყველგან გაფანტულია ძველი კულტურის ნანგრევები“.

ტაძრებისა და ეკლესიების, მღვიმის კედლებზე, ხატებზე, ქვის სვეტებზე, დღემდე შემორჩენილია შუა საუკუნეების ქართული წარწერები.

გალის რაიონში ხურთომოდგვრული ძეგლებიდან აღსანიშნავია სოფელ ღუმურიშის ეკლესია, აგებული IX ს.-ის პირველ ნახევარში. ეკლესიის ნანგრევებთან ნაპოვია ქვის ფილა, სამშენებლო ხასიათის ასომთავრული წარწერით, რომლის ტექსტი ამოიკითხა და X-XI ს.ს.-ით დაათარიდა თ. ბარნაველიძე.

ეპიგრაფიკული\* ძეგლი ამჟამად დაცულია აფხაზეთის დ. გულიას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ღუმურიშის ტერიტორიაზე ეს ქვა 1953 წელს აღმოაჩინა ისტორიკოსმა ნ. შონიამ. ქვის ფილაზე მოხსენებულია ეკლესიის მშენებელი - დედოფალთ-დედოფალი - სააგდუხტი. იგი რაჭის ერისთავის ასული და ოდიშის ერისთავთ-ერისთავის მეუღლე უნდა იყოს.

ოთხსტრიქონიანი ფრაგმენტი ამოკვეთილია კირქვის ფილაზე. თანაბარი სიმაღლის ასლებით შესრულებული წარწერა გვამცნობს, თუ ვინ არის ტაძრის აშენებელი:

„დმერთო შეიწყალე ორთავე ცხოვრებასა შინა ამა ტაძრისა მშენებელი - დედოფალი სააგდუხტი ნიანის ასული“.

როგორც ცნობილი მეცნიერი ვ. ზუხბაია განმარტავს, ღუმურიში ქართული ტოპონიმია. ღუმუ (მეგრულია) - ნიშნავს ღმეს, ურიში კი - სამეგრელოში ფართოდ გავრცელებულ ხორბლის კულტურას.

XIX ს.-ის 90-იან წლებში ეკლესიის ეზოში აღმოჩნდა კიდევ ერთი წარწერა, რომელიც მხედრული დამწერლობითაა შესრულებული და წარმოადგენს საფლავის ქვის ეპიტაფიას.

\* - დისციპლინა, რომელიც სწავლობს ძველ წარწერებს.





# ორშაბათი

მენერა რურუა



გაგრაში, ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, დედაჩემს კარგა ხნის გადანახული თეთრი ბატისტის ნაჭრისგან ბლუზა შევაკერინე, მატროსების უნიფორმის სტილზე - უკან გადაგდებული, ცისფერი ლენტით გაწყობილი ფართო საყელოთი.

გავახამე, გავატკიცინე და კარადაში დავეკიდე - ორშაბათისთვის.

ომი პარასკევს დაიწყო.

ორშაბათს კი ვის ახსოვდა

„მატროსკა“ და სხვა ზიზილ-პიპილები...

ჩაცმულ-დახურულები ვწვებოდით და ვდგებოდით ქვემეხების გრუხუნსა და ტყვიების ზუზუნში.

მაშინაც კი, როცა საომარი მოქმედებები, ასე თუ

ისე, დაცხრა და მეც რედაქციიდან სხვა სამსახურში - სამხედრო კომენდატურის პრესსამდივნოში გადავინაცვლე, კარადაში „მატროსკას“ სულ უკან-უკან ვწვედი - აგვისტოს თაკარა დღეების მიუხედავად, მაინც ვერ ჩავიცვი - არც სამაგისო ხასიათი იყო და არც სიტუაცია.

...რამდენი რამ შეიცვალა 50 დღეში - 14 აგვისტოდან 2 ოქტომბრამდე, ანუ - ომის დაწყებიდან გაგრის აღებამდე, რამდენი რამ გადაფასდა, რამდენი რამ გაუფასურდა... ყველაზე მეტად კი - კარადაში საჩვენებლად გამომზეუებული, აბრდღვიალებული ბროლი და ფაიფური... როგორ გამარტივდა ყველაფერი, როგორ გაუბრალოვდა ურთიერთობა მდიდარ და ღარიბ, განსაკუთრებით, ჯიბრიან მეზობლებს შორის... როგორ უეცრად დატკბა და დაუბრუნდა საკადრისი პატივი ერთმანეთის მორიდების გამო შეუჭმელ, თეფშზე მორცხვად დარჩენილ პურის ნაჭერს...

ყველაფერი ეს, ალბათ, ყველა ომისთვის დამახასიათებელი ის პოზიტივებია, რომელთა შესანარჩუნებლად ჩავლილი ომის მუდმივი ხსოვნა და მისი გამეორების შიშია საჭირო, ღვთის შიში - ჩვენი კეთილი დღეების საწყისი და ჭეშმარიტი სიბრძნის დასაბამი.

შევინარჩუნეთ? გვახსოვს? გვეშინია? თუმცა, ეს სულ სხვა თემაა, სხვა სასაუბრო, ამიტომ მე ისევ ჩემს „მატროსკას“ და მასთან დაკავშირებულ ფიქრებს მივუბრუნდები.

გაგრის აღების შემდეგ საავადმყოფოში გადამალულებს ვიდაცამ ამბავი მოგვიტანა - თქვენს სახლს დღეს დაწვავენო. წარბიც არ შეგვტოკებია - ოღონდ სამშვიდობოს გავსულიყავით და სახლსა და ქონებას ვინ დაექებდა... თუმცა, დილით, თეთრად გატარებული ღამის მერე, მაინც გავაპარე თვალი საავადმყოფოს ფანჯრისკენ: სახლი იდგა! იდგა მეორე, მესამე... მეცხრე დღესაც.

...ჯოჯოხეთური ცხრა დღის შემდეგ კი, როცა ჩემმა აფხაზმა თანამშრომელმა პირობა შემისრულა და ფსოუს საზღვარზე გასაყვანად მოგვაკითხა, სითამამემ მძლია და ვთხოვე, ერთი წუთით სახლთან შემიჩერე-მეთქი.

აოხრებულ, გადაქექილ, კედლებნატყვიარ სახლში რაღაცებს წავეპოტინე - წნევის აპარატს, თბილ ტანსაცმელს, კბილის ჯაგრისებს... ის იყო, გამოსვლას





ვაპირებდი, რომ  
„მატროსკა“ გამახსენდა...  
სუნთქვაშეკრულმა ავირბინე  
მეორე სართულზე... ჩემი  
საძინებლის კარადაში, ისევ  
ისევ, როგორც მაშინ, ომამდე,  
ვითომც არც არაფერი  
მომხდარაო, ცალკე  
საკიდზე, ხელუხლებლად  
ეკიდა ჩემი, ორშაბათისთვის  
გამზადებული „მატროსკა“.



...საკუთარი თავის  
ფონზე კიდევ უფრო  
გაკოპწიავებული და გაქათქათებული მეჩვენა.

სად ჩავდო, ასე საკიდით ხომ არ ვატარებ, დამეკუჭება, - გავიფიქრე, მივატრიალ-  
მოვატრიალე და ისევ კარადაში დავკიდე...

წლები გავიდა... იმ დღიდან - ათას ორას ორმოცდაცხრამეტი ორშაბათი!

ჩემი ჩაუცმელი, ქათქათა ბლუზა, განსაკუთრებით, დევნილობის პირველ წლებში,  
მეორადი ტანსაცმლების გროვაში ქექვისას მახსენდებოდა. თუმცა, რომც წამომეღო,  
ალბათ, მაინც ვერ ჩავიცვამდი. „მატროსკა“, მედია ჯაფარიძის ერთი რომანტიკული  
პერსონაჟის ზოლებიანი შლიაპისა არ იყოს, იმჟამინდელი ჩემი შინაგანი განწყობის  
განხორციელება იყო და, ასე მგონია, მარტო ჩემს ქალაქსა და იმ დღეს მოუხდებოდა,  
იმ ორშაბათს რომ უნდა გათენებულიყო - შუა აგვისტოს ლივლივა ზღვით,  
მოკირწყლული ქუჩებით, ჭადრებს შუა შეეყუებული მყუდრო სანაყინედან გამოყოლილი  
სიგრილით, ჯერაც ცოცხალი მშობლებით, ჯერაც დაუხვრეტავი მეგობრით... ყველათი  
და ყველაფრით, რომელსაც ერთი საერთო სახელი ჰქონდა - ჩემი სახლი.

...სახლი ბარათაშვილის 25-ში, დიდი ხანია, არ არსებობს. არც მანდარინის  
ბაღია, არც საწვენე „იზაბელა“, არც ჩვენი უმშვენიერესი პალმა და არც მეუღლის  
წინაპრის მიერ ნალოლიავეები, ჩემი უსაყვარლესი ზეთისხილის ხე. ყველაფერი  
ეს ჩვენი ეზოს ახალმა მობინადრემ, თითქოს კვალის დარჩენის ეშინიაო, გადაწვა,  
გადაბუგა, ფესვებიანად ამოძირკვა, მათ ადგილას ოთხსართულიანი, კომფორტული  
სასტუმრო აიშენა და ასე დაუღო სათავე თავის, ვფიქრობ, ჯერაც გაუცნობიერებელ  
უბედურებას.

თუმცა, ეს უკვე მისი საფიქრალი და სულ სხვა ისტორიის დასაწყისია.

1259-7 თბილისი,  
ოქტომბერი









ყნიცალყო ფობძაცძი, ნომელიც  
ღღეს შოგვეცა.

აყცილოტლოდ ყნდა  
ამოგუნნათ შოგვოლი  
ფანდაქნცალყოი და ყოსძიყოი  
ამოცანა; ანა ეგოისცყოად, ანამქდ  
ყობთიერთჯვართძცვიბთჯლობით  
ეაზინთაზისყოლოთ თაჯი იძ  
ნეგაციყოი ზემქმელქეჭისეან.  
ნომქლოშსაც აღვილი აქვს ელობალიზაციის საყყენეძი.



ზარზმის ფრესკა, VIII-IX ს.ს.

ანდა მინიოი ნიძლიღიისა და  
ძალაყოლოჭის დაგოგქეძაძია,  
ანამქდ ახალი, ქრისტესძიოი  
აღაძიანის ქემოქაძი.

ახალგაზრდას ღღეს ყფაღმა  
ყელონანიოი ზიბოტა ქეყქმნა  
იძისთჯის, ნომ იგი აინთოს  
ლოთისა და მოყვასის სიყვარყოით  
და სოყოლად ვეიზარღოს  
სახარქმისყოლი სულოიოი სეზობით.

ღღეს მასძცამყოად ყნდა



სვეტიცხოველი, ზოღიაქოს რკალი, XII ს.

ჯიზნოგუნთ და თაჯი დაჯიცვათ ე.ნ. ცალმხრიჯი, ჰროჯინციყოლი ქებესყოლოჭისეან, ყნდა  
ეაგეაქოთიანოს ქრისტეიანყოღა მოძღვრქეძამ, ებოგნყოღა სულისყოთქეძამ, ნათა ნაბძაცქეძით  
დაჯძლიოთ თანამქდლოგოქოშის  
ეამონჯეჯეჭი, ქეცი ყყოღლოქა  
დაჯუბოთ ქვართძცვიბთჯლობის,  
ეანათლოქანა და ყელოცყოიან;  
და მამინ მიჯილოქოთ იძ ახალ  
საქამოთყოლოს, ნომქლოშღდაც  
ჯოსენქეძოთ.



გელათის ფრესკა, XII ს.

ამ და სეჯა მნიძგნელოგანი  
საყობეჭის სნოზად ეღაჯოის  
ქემთხვეჯაძი ეანჯთაჯისყოლოქეძით  
იმ ვანცოქყოი ცვიჯილოქმისეან, ნომქლოქიც ასე ევანყებეს, ჯიზოთ ჩვენს ნამღილო, ნეალოყო  
თჯითოტანს და თაჯს დაჯალნეჯოთ სულოიოი ყობიზისს.

მინდა, ყფლის ნყოლობა, ეზის ეახსნა,  
სიყვარყოლი ეაოთიანქეძა, ყთილო ცყოლილოქეჭი  
ეისყოჯოთ თითოყოლოს; ყელოჯოი ეს ყი მქდნიოქეჭისა  
და ნაბძაცქეჭის სანინღაოია.

ელოცვათ, ვეიზარქოთ.

Handwritten signature in Georgian script: *ქლოთხ ვოთე (სოთე)*



ბარეჯი, VI ს.



ოლესა ჯამბურაძე

„ილიას გზით“ - ასე ჰქვია „იდეის“ ახალ რუბრიკას, რომლის აუცილებლობას, ვფიქრობთ, განსაზღვრავს გუბინდელი, ლღუვანდელი და, მით უფრო, ხვადინდელი ქართული რეალობა.

ილიას დროსაც ატეხა იმპერიის ნაწილი იყო, მაგრამ ქართველებთან და ატეხებთან ერთად.

ღღუვანდელი ხვანი სამშობლო, ამავე დროს დამოუკიდებელი, იგივე რუსეთის პოლიტიკური ნებით ქართულ სახლურებში მოქცეული ქვეყანას, ქართველი ღღუვანდელი და მათ იუროსდიქციადი მყოფი ატეხებითა და სამსახურით.

„ილიას გზა“ - ეს საუკუნეებით გამოცარებული ქართველი კაცის გულისტყმაა, რომ „ერის ნყდური აჩნდეს ნყდურად“ და „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

ახალ რუბრიკას ხსენის ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი - იოსებ ჭუმბურიძე, ვისზეც ბრძანა ბაცონმა რეზო კვესელავამ:

„ის ერთ-ერთი გამორჩეულია მათ შორის, ვინც ღღუვანდელს და ნუხს საქართველობე“.

ავტორმა ხერხიერ მოგვანოდა და დაგვთანხმდა, შემდგომშიც გაუძღვეს ამ რუბრიკას.

## როდემდე?!

ოლესა ჯამბურაძე



„ილიას გზით“ - რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძე იგულისხმება. კონსტანტინე გამსახურდიამ ის ბიბლიურ მოსეს შეადარა.

მანაც ბიბლიურ მოსესავით ატარა ქართველობა მონობიდან თავისუფლებისაკენ, თუმცა, სანუკვარ მიზანთან მისვლა არ დააცალეს.

ვინ იცის, კიდევ რამდენ საუკუნეს გადასწვდება საბედისწერო ფრაზა, რომელიც 108 წლის წინათ წიწამურის ტყეში გაისმა: „არ მესროლოთ, ილია ვარ!“

არადა, ილია რომ იყო, სწორედ იმიტომ ესროდნენ.

„ილიას მეგლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოსაც მოკლავდნენ!“ - ამას ვაუა იტყვის, ხოლო აკაკი ასეთ კითხვას დასვამს: „ნუთუ მართლა დღეს გადაწყდა საქართველოს ბედისწერა?!“

მოგვიანებით, გალაკტიონი დაწერს: „წიწამურში რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“...

აქ ილიას ღვაწლის შეფასებაც იგულისხმება და საკუთარი მისიის გაცნობიერებაც: ახალი ეპოქა თვითონ უნდა დაეწყო.

დაიწყო და გაასრულა კიდევ, მაგრამ მხოლოდ პოეზიაში. ილიას მრავალმხრივობას გენიალური პოეტიც ვერ შეცვლიდა - უმძიმესი ტვირთი ახალ ეპოქაში მრავალ ერისკაცზე უნდა გადანაწილებულიყო. ტიტან ტაბიძე შემთხვევით არ ადარებდა ილიას ნაკვალევს დევის ნაფეხურებს. მასვე ეკუთვნის ილიას ღვაწლის განსაცვიფრებლად ზუსტი შეფასება: „მე -19 საუკუნე საქართველოში ილიამ კიდევ მოიგონა, კიდევ შეჰქმნა და თავისი სისხლით კიდევ დაჰკირა...ილია რომ გამოაკლდეს მეცხრამეტე საუკუნეს, მაშინ იქნებოდა საქართველო სამუდამოდ დაბნელებული“...

სად იწყება ილიას გზა? - უთუოდ, გიორგი მერჩულესთან, რაც ამ





ფრაზით გამოიხატება: „ჩვეულებებისაებრ მამულისა სვლაი.“ ილიას სწორედ ის აწუხებდა, რომ ეს სვლა ბუნებრივი გზით აღარ მიმდინარეობდა. მანამდე ამაზე წუხდა სოლომონ დოდაშვილიც, რომელიც მწარედ იკითხავდა: „მაშა რაისთვის ცოცხალ ვართ?!“

ოცდაოთხი წლის ილია ჭავჭავაძეს კი, პეტერბურგიდან სამშობლოში მომავალს, ლელთ ღუნია ამას ეტყვის: „აღრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. აღრიდა ერი ერობდის, გული გულობდის“...

ძნელი წარმოსადგენია ქართველი, ვინც გულგრილად მოისმენს ილიას გმინვას, ლელთ ღუნიას ნათქვამს რომ მოსდევს: „მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხველეთი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ - სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამიბრინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამჩრეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? თხ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა - წყალო, მომეც ამის პასუხი!“

ეს სტრიქონები 1861 წელს დაიწერა.

საუბედუროდ, ეს კითხვა დღესაც გულს უკორტნის სამშობლოს ბედზე მოფიქრალ ქართველს.

სულ ახლახან წერდა ოთარ ჩხეიძე ილიასეული სიმძაფრითა და პირდაპირობით: „ჩვენ ისევ იქა ვართ, იმავე ადგილსა ვტკეპნით. ვერ იქმნა და ჩვენი თავი ჩვენად ვერ ვიყუდნეთ. არ იქმნა და არა, ჩვენი სახელმწიფო ჩვენად ვერ დავიმკვიდრეთ.“



P.S. ილიამ გაანათა მეცხრამეცე საუკუნე და მონამეობრივი ღვანდით იხსნა საქართველო, მაგრამ წინ იყო მეოცე საუკუნე, რომედსაც გადაკციონი მეტისცოთვეს ძვალარებს. აქ ვინ გადაგოძელებს ილიას გზას? ვისი ღვანდი გაანათებს საქართველოს? დღეს საით მიდის ჩვენი სამშობლო? ადგას თუ არა იგი ილიას გზას? როგორ ვასრულებთ ილიას უმთავრეს ანდერძს, ანუ როგორ ვუვრით სამ ღვთაებრივ საუნჯეს - მამურს, ენასა და სარწმუნოებას? - სწორედ ამის წარმოჩენას ისახავს მიხნალ სხედი რუბრიკა, რომედსაც მისი ავტორი - იოსებ ჭუმბურიძე ერთღროულად ორ ჯერიოღულ გამოცემაში გაუძღვება - ჩვენს „იარქანში“ და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აუნისაში („ჩვენი უნივერსიტეტი“), რათა საკითხის მნიშვნელობა სასკოლო საკვის ყმანვიღებმა და უკვე სცულენცებმა ერთნაირი სერიოზულობით აღიქვან და გაიანრონ. ხემოთ დასამურ ძეკითხვებს თვანსაჩინო ქართვედი მოღვანეები - მწერლები, ხელოვანები, მეცნიერები, უწასუხებენ. პირვედი ძეკითხვა კი ასეთი იქნება: ილია რომ არ მოუკდათ, როგორ წარიდართებოდა საქართველოს ბედი? პასუხი - მომღევნო ნომეოძი...





# თეთრი ზღაპარი

## ვუძღვნი დედის ხსოვნას

ბურამ კეტიკაშვილი



იყო ერთი ობოლი ბიჭუნა.  
უცხო სახლში იზრდებოდა და, თუმცა  
იქ ცუდად არ ექცეოდნენ, მაინც ხშირად  
ნაღვლობდა. იჯდა ფანჯარასთან და  
გასცქეროდა ქუჩას.

განსაკუთრებით მაშინ  
დასევდიანდებოდა, როცა დაინახავდა, თუ  
როგორ მიჰყვებოდნენ თავიანთ დედებს  
კაბაზე ხელჩაჭიდებული ბავშვები.  
თვითონ ძალიან მკრთალად  
ახსოვდა დედა. ახსოვდა მხოლოდ  
მისი თეთრი კაბა და მისი სურნელი,  
რომელშიც გაეხვეოდა ბიჭუნა, როდესაც  
დედა აკოცებდა ხოლმე.

გაზაფხულის ერთ საღამოს, როდესაც  
ირგვლივ ყველაფერი ყვავდა და ქუჩაში თეთრკაბიანი  
ქალები გამოფენილიყვნენ, ბიჭუნამ ვეღარ გაუძლო სევდას  
და გაიქცა სახლიდან.

თვითონაც არ ახსოვდა, რამდენ ხანს  
მირბოდა.

რომ გამოერკვა, ნახა, ქალაქგარეთ იყო.  
თვალი მოავლო გარემოს და საოცარმა

სილამაზემ გააშეშა ადგილზე.

სავსე მთვარე დაჰნათოდა გორაკზე შეფენილ აყვავებული ალუბლების ბაღს.  
ქათქათებდა თეთრი ბაღი და ისეთი მსუბუქი ჩანდა, თითქოს ნიავის დაბერვას  
ელოდა, რომ მთვარისკენ გაფრენილიყო.

ბიჭუნა შევიდა იმ სითეთრეში.

მიდიოდა, ეხებოდა თეთრად გადაპენტილ ტოტებს და სავსე  
მთვარეს ასცქეროდა.

ალუბლის ყვავილების მსუბუქი ჩრდილები გადასდიოდა  
სახეზე...

იარა მსუბუქ ჩრდილებში.

ბოლოს ერთ ხესთან შეჩერდა. იგრძნო, რომ ეს ალუბლის  
ხე რაღაცით განსხვავდებოდა სხვებისაგან.

ხე თითქოს ჩაფიქრებული იდგა.

ბიჭუნა უცქეროდა ალუბლის ხეს. რატომღაც  
თანდათან ცრემლით ევსებოდა თვალები.

იმ ცრემლების ბრალი იყო თუ მთვარის შუქისა,  
ალუბლის ყვავილებში დედის სახე მოეჩვენა ბიჭუნას.

აქ კი ვეღარ გაუძლო გულმა.

ბიჭუნა შემოეხვია ალუბლის ტანს და  
გულსაკლავად ატირდა.

დიდხანს სდიოდა ცრემლი.

ბოლოს დაიდალა, როგორც იყო ხის ტანს







შემოხვეული, ისევე ჩაიჩოქა და ჩაეძინა.

რომ გამოეღვიძა,  
მიწაზე იწვა საცოდავად  
მოკუნტული.

კვლავ მთვარე  
დაჰნათოდა ალუბლის ბაღს  
და...

თეთრკაბიანი ლამაზი  
ქალი იდგა ბიჭუნას წინ.  
ქალი უღიმოდა ბიჭუნას.  
ბიჭუნამაც გაუღიმა.

– მე მინდა, რომ სულ  
შენთან ვიყო. შენ დედაჩემი  
ხარ, ხომ? – ჰკითხა ბიჭუნამ.

– ჰო, – მიუგო ქალმა და  
შუბლზე აკოცა.

ბიჭუნამ შვებით ამოიოხრა.

– წავიდეთ, – უთხრა ქალმა.

– შენს სახლში?

– მე არა მაქვს სახლი, – სევდიანად გაეღიმა ქალს.

– მაშ, სად წავიდეთ?

– ჯერ ვინმე შეგვიკედლებს, მერე კი სახლიც გვექნება. წავიდეთ... – ცოტა რომ  
გაიარეს, ბიჭუნას რაღაც გაახსენდა და მიბრუნდა.

– რატომ გაჩერდი? – ჰკითხა ქალმა.

– ლამაზი ალუბლის ძირას მეძინა. ახლა კი ის ალუბალი აღარაა.

– აღბათ, ძილში თუ გადაბრუნდი და იმიტომ ვეღარ პოულობ.

– ჰო, აღბათ, ეგრე მოხდა, – თქვა ჩაფიქრებულმა ბიჭუნამ და წავიდნენ.

...დაიქირავეს ერთი ოთახი და დაიწყეს ტკბილად ცხოვრება.

ქალი ლამაზ-ლამაზ ფერად კაბებს კერავდა.

ბიჭუნა სკოლაში დადიოდა და საშინაო საქმეებშიც ეხმარებოდა ქალს.

ხანდახან ჰკითხავდა ხოლმე:

– დედა, რატომ შენ არ იცვამ ფერად კაბებს?

– აბა, რა ვქნა, თეთრი ფერი მიყვარს, – ეუბნებოდა ქალი.

სალამოს, ძილის წინ დედა შუქს რომ ჩააქრობდა, სიბნელეში მივიდოდა და  
აკოცებდა ბიჭს.

ბიჭუნას უცებ სული შეუგუბდებოდა ხოლმე სიხარულით და იტყოდა:

– დედა!

– ჰო, შვილო, – ქალი კიდევ აკოცებდა შუბლზე, – მითხარი, რა გაწუხებს.

– არა, არაფერი, – იტყოდა ბიჭუნა, ქალის თმებს ფრთხილად შეახებდა თითებს,  
თავისთვის გაიღიმებდა სიბნელეში და ჩაეძინებოდა...

ერთხელ კი ძილის წინ ქალმა სანთელი რომ ჩააქრო, ბიჭუნამ გამბედაობა  
მოიკრიბა და უთხრა:

– დედი, იცი, ხანდახან რომ შემოგხედავ, მომეჩვენება ხოლმე, რომ აყვავებული  
ალუბლის ხე ხარ,

– რა თქვი? ალუბლის ხეო? – ჩუმად ჰკითხა ქალმა.

– ჰო. რატომ მეჩვენება ეგრე?

– თეთრი კაბა რომ მაცვია, აღბათ იმიტომ.

– სხვებსაც ხომ აცვიათ თეთრი კაბა, მაგრამ ისინი არ მეჩვენებიან. შენ რატომ  
მეჩვენები ალუბლის ხედ, დედი?





- ალბათ, იმიტომ, რომ პირველად ალუბლის ბაღში მნახე.  
 - ჰოო... - ბიჭი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ უთხრა - დედი...  
 - გისმენ, შვილო.  
 - ხანდახან კიდევ რომ შემოგხედავ, გედი მეგონები ხოლმე. დიდი, თეთრი გედი... რატომ, დედი?

დედა დუმდა.

- დედი.

- ჰო, შვილო.

- რატომ, დედი? - კვლავ ჰკითხა ბიჭმა.

- ალბათ, ხელებს რომ ავიქნევ, კაბის სახელოებს ფრთებს მიამსგავსებ ხოლმე.  
 - სხვა ქალებიც ხომ აიქნევენ ხოლმე ხელებს, რატომ ისინი არ მეჩვენებიან გედებად?

- არ ვიცი, შვილო... მოდი, დავიძინოთ.

- კარგი... კიდევ მაკოცე რა, დედი?

დედამ აკოცა.

ბიჭუნამ დაიძინა.

ქალი კი ჩუმად ტიროდა.

მას ვერ გადაეწყვიტა, ეთქვა თუ არა ბიჭუნასთვის თავისი საიდუმლო.  
 რა იყო ეს საიდუმლო?

გაზაფხულის მთვარიან ღამით ხომ გასულხართ

ქალაქგარეთ? ხომ გინახავთ გორაკის თავზე თეთრად მოქათქათე ალუბლის ბაღი?

თუ ბაღს შორიდან შეხედავთ, რომ ხეთა ძირები არ გამოჩნდნენ, აუცილებლად იფიქრებთ, უნაზესი და უმსუბუქესი, ასაფრენად გამზადებული თეთრი ღრუბელი წევს გორაკზე.

იფიქრებთ და არც შეცდებით. მართლაც, ცისკენ მიიწევს აყვავებული ალუბლების მსუბუქი ბაღი.

მთვარის ავსების დამეს, შუაღამე რომ გადავა, დაუბერავს ნიავი და მოხდება

სასწაული: თეთრად მოქათქათე ბაღში

ყველაზე ნაზი და სევდიანი

ალუბლის ხე თეთრ გედად

გადაიქცევა...

ოღონდ ეს უცებ არ ხდება.

თეთრად მოქათქათე

ალუბალი ნელ-ნელა იცვლის

სახეს და როცა უკვე აღარაა

ალუბალი და ჯერ გედად არ

ქცეულა, ის თეთრი ქალია მაშინ.

ქალი გაახელს თვალებს,

შეჭხედავს მთვარეს, გაიღიმებს და

ოდნავ ამოიხსრებს.

და გადადგამს ნაბიჯს.

დაუვლის მთელ ბაღს,

ნაზად გამოემშვიდობება ყველა

ხეს.







მერე გამოვა ბაღიდან.

მთვარისკენ სახემიპყრობილი და ხელებგაშლილი გაიქცევა მსუბუქი ნაბიჯებით... რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ჰაერში აცურდება.

თეთრად აფრიალდება მისი კაბის სახელოები...

იქცევა გელად...

დაიქნევს ფრთებს და წავა ცისკენ...

...იმ მთვარიან ღამეს კი აი,რა მოხდა.

როცა ალუბლის ხე ქალად იქცა და თვალი გაახილა, უცებ იგრძნო, რომ ფეხებზე ვიღაც შემოჰხვეოდა. დაიხედა ძირს და ბიჭუნა დაინახა.

ბიჭუნას მთვარე უნათებდა ნამტირალევი სახეს.

ქალმა ჩაიჩოქა და თავზე გადაუსვა ხელი მძინარეს.

და ბიჭუნამ ისე გულსაკლავად ამოიოხრა ძილში, რომ ქალს გული შეეკუმშა სიბრაღულით.

კვლავ მიეფერა მძინარე ბიჭუნას, მერე წამოდგა და დიდხანს უცქეროდა მთვარეს. თავისკენ ეზიდებოდა ბადრი მთვარე.

ფრენის სურვილს აევესო ქალის არსება. და ქალმა ნელა ასწია ხელები, გაიწოდა მთვარისკენ.

მაგრამ კვლავ ამოიოხრა ძილში ბიჭუნამ.

და ქალსაც აღმოხდა ოხვრა. სწრაფად დაუშვა ხელები, მზერა მოაცილა მთვარეს, დაიხარა, შუბლზე აკოცა ბიჭუნას და ჩაიჩურჩულა:

– შენთან დავრჩები, რადგან ამქვეყნად შენ გჭირდები ყველაზე მეტად, დაე, სხვებმა იფრინონ ცაში...

და თეთრ ქალად ქცეულმა თეთრმა ალუბლის ხემ არ დაასრულა სახეცვლილება, არ იქცა გელად.

ღარჩა ბიჭუნასთან ქალი.

მაგრამ მას შემდეგ მის არსებაში მუდამ ცოცხლობდა აყვავებული ალუბალიც და თეთრი გელიც.

ღროდადრო ქალს შემოაწვეებოდა ჩუმი ნაღველი და უნებლიეთ მართლაც გადაიქცეოდა ხოლმე წამით ხან აყვავებულ ალუბლის ხედ, ხან კი თეთრ გელად.

ბიჭუნას კი ეგონა, მეჩვენებაო.

მოსვენებას არ აძლევდა ეს გამოცანა, თუ რატომ ეჩვენებოდა დედა სხვადასხვა სახით.


და ერთ ღამეს, როცა ბიჭუნა სხვა ბიჭებთან ერთად იჯდა ფიქრის გორაზე და სავსე მთვარეს შესცქეროდა, მან ბიჭებს გაანდო დედამისის ღამაში ამბავი.

გაანდო და გულის ფანცქალით ელოდა, თუ რას ეტყოდნენ. შიშობდა, ვაითუ, არ დამიჯერონ და სასაცილოდაც ამიგდონო.

მაგრამ ბიჭებს სულაც არ გაჰკვირვებიათ.

თურმე ყველა ბიჭს ემართება ასე: ეჩვენება, რომ ხან ნაზი, თეთრყვავილა მცენარეა დედამისი, ხან კი სევდიანი, დიდი, თეთრი ფრინველი.





სულხან-საბა ორბელიანი.  
ავტორი: ს. მაისაშვილი

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძე სიცრუისა“ 1678-1688 წლებში ინერებოდა.

საინცერესოა, რომ თავის ერთ-ერთ დიფერენცურულ გამოკვლევებში მწერალი გიორგი დეონიძე აღნიშნავს: სულხან-საბა ორბელიანის ვადამს ეკუთვნის, აგრეთვე, წიგნი-ხლანართა კრებული - „სწავდა კილობანთა“, რომელიც დაკარგულია.

ამასთან დაკავშირებით, 1888 წელს გაზეთ „ივერიაშიც“ გამოქვეყნებულია შემდეგი ცნობა:

„ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში აღმოჩნდა ერთი ფრიად საინცერესო ხელნაწერი წიგნი - ხლანართ კრება, სახელდობრ, „სწავდა კილობანთა“ საბა-სულხან ორბელიანისა.

ეს თხზულება ქართულს მწერლობაში სრულიად უცნობია და სხად რამ არის. ეს კრებული შეიცავს 172 ჰაფარ-ჰაფარს ხლანარს. ამ წიგნის ერთი ეგზემპლარი 1872 წელს წარმოუგზავნიათ ცფილისს, ჟურნალ „კრებული“-ს რედაქციაში.


ამ ჟურნალის დახურვის შემდეგ ეს ხელნაწერი დაკარგულა. 1883 წელს ისევ აღმოჩენიდა და ეხდა აქვს ბ-ნ მ. ნასიძეს“.

ასეთი საგულისხმო ინფორმაცია დაცული 125 წლის წინანდელ ერთ-ერთ გაზეთში.

## ორი ჰყრით მსკინძლობა

სულხან-საბა ორბელიანი

მიველ ერთსა წყაროზე. ორნი კაცი წყალსა სმევდნენ. რა მნახეს, ჩემი ნახვა იამათ. დასხდნენ ჭამად. ორის პურის მეტი არა ჰქონდათ რა. მეც დამსვეს. ერთი პური ერთმან დაიდვა და მეორე - მეორემან. მე არა მქონდა. ნახევარი ერთმან მომიტეხა და ნახევარი მეორემან. ჩემი თურმე მეტი შეიქმნა.



რა შეგჭამეთ, მათ არა ეყოთ. გამირისხდნენ: გვაცდუნაო! ერთი პური ორთავ ვჭამეთ და ერთი მარტო ამან შეჭამაო.

ორნი ერთს როგორ ვერ მომერეოდნენ! შემიპყრეს, დამაბეს, ორთავ ას-ასი არგანი მკრეს. მეშველი კაცი ვინ გამოჩნდებოდა! ხან ვედრებას ვეტყოდი, ხან სხვასა, მაგრამ არ გამიკითხეს. მე ვუთხარი: ვისაც ეწვივნენ, მასცა თქვენთვის ასრე აქმნევინოს-მეთქი!

დამაგდეს მუნ დაბმული და სწრაფად წავიდნენ. მოვიდა ვინმე კაცი ერთი მოწყალე; მკითხა: ძმაო, ხუთ სწავლას გამცნებ და დაიმარხო:

უმეცარს კაცსა გულით ნუ მიენდობი;

შეუმცნებელს უსუსურად ნუ ეჩვენები;

ყოველ ჟამ ფრთხილად იყავ, შენი სახლიც იყოს;

მშიერს სტუმრად ნუ ეწვევი;

გლახაკისგან ჩუქება ნუ ვინდა!

მე დიდად დაგუმადლე. ამხსნა და ესრე მითხრა: მათ კაცთა ბევრი სხვა მოუცდუნებიათო.

საგზალი მომცა და თვით წავიდა. მე რადღა დავდგებოდი?!





- ქ -

**ქაბაბი** – ფუნთუში  
**ქაბრაწოვანი** – მეტად დიდი პური  
**ქადა** – ერბოთ ზედილი პური  
**ქადაგება** – მაღლის ხმით სწავლება  
**ქადაგი** – მაღლა მძახებელი  
**ქაღბანა** – სუნნელი ხე არს დაბალი,  
 ხმელი და ნედლი  
**ქამანი** – სუსტი მშვილდი  
**ქანდა** – ოქროს ვარაყი  
**ქანდარა** – ფრინველთ საჯდომი ლატანი  
**ქანჩი** – ხრახნილის მოსაჭიდებელი  
**ქარა** – ნაკაფი ხისა  
**ქარაბაკი** – ნაყოფის ბაკი  
**ქარაბიჭა** – უჟამოდ მაკე  
**ქარაგოზი** – ქვის ხავსი რამ მცირე  
**ქარადული** – მაწონი გაწურვილი  
**ქარაოცი** – ცქვიტად მავალი ქალი  
**ქარახსი** – დიდი ყანწი  
**ქარვასლა** – ქართულად ფუნდუკი  
**ქარსალა** – წვრილი ჭიჭყინა (თევზი)  
 ზღვისა  
**ქარტა** – ქალაღი  
**ქარქაბი** – შურთხი  
**ქარქარაკი** – წყალთაგან გამონაყარი  
 წვრილი შეშა  
**ქარცი** – წარბ-უფერული  
**ქარწბია** – ქვა ჭიქის მსგავსი  
**ქაქანი** – მაშვრალის სულის-კვეთა  
**ქაშაგი** – მოზრდილი ტყვე  
**ქაშანი** – შამბთა და თოვლზე გაქელილი  
 გზა  
**ქაჩაბური** – სამწყემსო დიდი ჯოხი  
**ქაჩაჩი** – ცხენისა, ვირისა და მისთანათა  
 გაუპობელი ჩლიქი  
**ქაცქაცა** – ხის ტყეცი  
**ქევექევი** – ცხენის მიქუს(ვ)ლ-მოქუსლვა  
**ქერეჭი** – არს ფრთე ბუზთა, მკალთა,  
 პეპელათა და მისთანათა

**ქერქეჭანა** – ფიჭვის განაყარი ქერქი  
**ქემეო** – ხაზსა და ხაზს შუა საზომი  
**ქენერა** – მოკოსტაო  
**ქველი** – მოწყალე, გინა კეთილი  
**ქია** – მაიმუნი  
**ქიღვაში** – წვერთაგან უღვაშის  
 შენადგამი  
**ქინძმანძუკა** – ბალახი  
**ქიშა** – საწდუ  
**ქიშტი** – ბლიკვი (მუჭი)  
**ქოგური** – ხის ბურთი  
**ქოლიკი** – ურქო ცხოვარი  
**ქოსა** – სხვათა ენაა, ქართულად პოპლიკა  
 ჰქვიან  
**ქოსმენი** – სასუქი(ს) ღორი  
**ქოში** – ვაციკი, წლის თხა  
**ქოჩი** – შებარდული ხე(ნი)  
**ქოცო** – მცირე ჭური  
**ქოჭი** – ხეთაგან შემზადებული ვირის  
 საკიდარი, კოკის ჩასადგმელი  
**ქსენონი** – სასნეულო სახლი  
**ქუბი** – ღორი დედალი  
**ქულბაქი** – სხვათა ენაა, ბაზარს ჰქვიან  
**ქუმელი** – ხალის ფქვილი (მოხალული  
 ფქვილი)  
**ქუმეჯაკი** – კვართი  
**ქურანი** – წაბლისფერი ცხენი  
**ქურუსა** – წარბ-შეჭუსვილი  
**ქუში** – ძველი ხველა  
**ქუნ-ქუჩი** – ერთს ძირზე(დ) მრავლად ა(დ)  
 ყვა(ვ)ებული  
**ქუჯო** – ფქვილის მოსაგველი  
**ქვიქვირი** – კისრის მიდამო  
**ქვიშარი** – ნარდის პაიკის მარტო ჯდომა  
**ქვიჯა** – მცირე როდინი



მანანა ანუა

მანანა ანუა დაიბადა ოჩამჩირეში. სოხუმში, სადაც ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა, სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ნიუტონი ლინკოში დასრულების შემდეგ ორდინაციონალურად დასრულდა ენდოკრინოლოგიის კათედრაზე. აფხაზეთის ცენტრალურმა ერთიანმა მედიკალურმა სწავლავმა უქონის სამომავლო გეგმები. მან - იური ანუა მოკლეს თავისივე აღმზრდელი კომანის ცენტრის ეზოში. დღესთან ერთად ცხოვრებაში გატარებულმა 52-მა დღემ მთელი სიმძაფრით განაცდევინა ომის სისასტიკე და, ზოგადად, ამ რეალობისთვის შეუთავსებელი ადამიანური გონიერება. დღით ქართული და მამით აფხაზი მანანა ანუასთვის ღვთის სახელი იყო არაფხაზური სამყაროში დამსხვრეული მითი „მცრის ხაზის“ შესახებ და ომის სიმარცხოველეს და მის ცხოვრებაში იმედისთვის მოსული აფხაზი მეომრები - დაურ ხუხუა, ბათარ ცარნავა, რატიკ აიბა და სხვები. უბედნიერესად მიიჩნევს საპროცირაქოში მორჩილად ყოფნისა და სულიერების განსხვავებულ ხარისხში გადურ 12 წელს. მერე იმუშავა აფხაზეთის სერუქტურებში სხვადასხვა საპროცირაქო ტანამუბობაზე. დღეს მანანა ანუა აფხაზეთის ს/რ ნლობის აღმზრდისა და მერიების სავითებებში მინისტრის მოადგილეა.

დაინანო გამიმართლა - ერთი შეხედვით ასე იშვიათად მოუხიბლევარ ვინმეს. მოუხმინოთ ნომრის სყომარს - მანანა ანუას.

## კომანის გზით

ნანა ჯანტურია

### ანდერძად

მამაჩემმა - იური ანუამ თავისი სიცოცხლითა და სიკვდილით მიანდერძა: მთელი ჩემი ცხოვრება მიმედგნა ქართულ-აფხაზური ერთსულფონებისთვის, ნაბიჯ-ნაბიჯ, ცოტ-ცოტაობით მეგლო ამ რთული, მაგრამ კეთილი გზით. მსომებოდა, რომ აფხაზი და ქართველი ერთი მცნება, საერთო ჰიპოსტაზია; რომ გენეტიკურად ქართული და აფხაზური სისხლი ჩვენში თანაბრად ჩქეფდა და ამდენად, ჩვენი ცნობიერება, მენტალობა, იდენტობა იყო მხოლოდ ქართულ-აფხაზური. რომ ეს თავსმოხვეული ომი ხელშეუხებელი წარსულის გამოწვევა და საუკუნოვანი ურთიერთობების მსხვრევა იყო მხოლოდ. ის კონფლიქტის მონაწილე სამხედრო-პოლიტიკური ძალებიდან ერთ-ერთი მხარის აქეთ ან იქით კი არა, აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩადგა.

კომანის წმინდა მიწაზე ტაძრის აღდგენით კი სულიერების დიდი საყდარიც ააგო. ამ სალოცავისკენ მიმავალ გზას, ხელში სიყვარულის სახელით, გააყვინენ მოწამეობრივად აღსრულებული იური ანუა და მამა ანდრია (ყურაშვილი), რომ გაგვეცნობიერებინა: ქართველი და აფხაზი ცალ-ცალკე კი არა, მხოლოდ ერთად გადარჩება.

ორივე აფხაზეთში დარჩა, კომანის ეკლესიის ეზოში, რომ ამ დიდებული სიმაღლიდან და სამარხებიდან ორივე მხარის გასაგონად ეთქვათ, გვეყო სისხლისღვრა...

## რაც გაძლიერებს



იური ანუა

სიკეთის გაღებით, სხვისთვის დადლითა და ზრუნვით სხვას კი არ ეხიდე, შენ თვითონ ძლიერდები, იზრდები, მადლით ივსები. ერთმანეთისთვის გაუცხოება ხდება შენს ადამიანურ ხარჯზე, რაც გასუსტებს, განგრევს.

ოჯახში ასე გვზრდიდნენ და გვმოძღვრავდნენ. მამაჩემი, ბუნებით კაცთმოყვარე და თავმდაბალი, ადამიანებს მხოლოდ მისი პიროვნული თვისებებით აფასებდა. იური ანუასათვის თანამდებობები, შეძლება (ჰქონდა საკუთარი ბიზნესი) მხოლოდ სიკეთის კეთების საშუალება იყო.

სკოლა რუსულად ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ შესანიშნავად ფლობდა ქართულსაც, აფხაზურსაც. სიღრმისეულად იცოდა საკუთარი ქვეყნის - საქართველოს ისტორია. ჩვენს ბიბლიოთეკაში 3000-ზე მეტი წიგნი იყო; მათ შორის, უნიკალური გამოცემები, იშვიათი ფოლიანტები.

ჩვენი ცხოვრების კომანთან დაკავშირება, გადატანილი დღეებითა და ტრაგედიით, უფლის გამოცდა იყო.

სოხუმიდან 12 კმ-თაა დაშორებული სოფელი, სადაც მამამ გასული საუკუნის 80-იან წლებში მიწის ნაკვეთი და აგარაკი შეიძინა. ხშირი ტყეებითა და მადალი მთებით, პატარ-პატარა გორაკებით დამშვენებული





კომანი ედემის ბადვით ლამაზია. გამჭვირვალე გუმისთაში კალმახებისა და ქაფშიების დაჭერა ხელითაც შეგიძლია. კომანი სიმწვანეში ჩაფლული მადლიანი მიწაცაა, სადაც მოწამეობრივად აღსრულებული წმინდა ვასილისკოს სასწაულთმოქმედ წყაროსთან და საფლავთან სშირად იყრიან თავს მორწმუნენი; ცამდე აზიდულ სიმადლეზეა იოანე ნათლისმცემლის მთა, ნათლისმცემლის თავის მესამედ პოვნის ადგილი; და ბოლოს: სოფლის შუაგულში აღმართულ გორაკზე, V ს.-ში თავისი უკანასკნელი ღოცვა აღასრულა მსოფლიო ქადაგმა – იოანე ოქროპირმა. რევოლუციამდე აქ მოქმედ დედათა მონასტერსა და მონაზონთა კელიებში 3000-მდე დედა მოღვაწეობდა.



მანანა ანუა საპატრიარქოში მორჩილად ყოფნის ღროს

მამამ გადაწყვიტა, სამონასტრო კომპლექსის ნანგრევებიდან კომანი ექცია მსოფლიო მნიშვნელობის კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიურ ცენტრად და ამისთვის არაფერი დაეშურებინა; უწმინდესსაც კი ეახლა კურთხევისთვის. პატრიარქმა დალოცა მაშინ იგი და დიდი კლაპტარიც გაატანა, ცოტ-ცოტა გამოიზოგე და მადლი მშენებლობის ბოლომდე გაგვყვება.

რა ვიცოდით, რომ რამდენიმე წელიწადში აფხაზეთში დაწყებული ომით აღდგენილ კომანთან ერთად არამარტო მამას, მისი ოჯახის წევრებსაც უდიდესი განსაცდელი გველოდა.

### მამა გაბრიელის წინასწარმეტყველება

ეს იყო მცხეთის სამთავროს მონასტერში, 1988 წელს. მამა გაბრიელს მაშინ პირველად შევხვდი. მერე ის დღე გამუდმებით თავს მახსენებდა, არ მახსენებდა. დედაჩემთან და ოჯახის ახლობელთან ერთად შევედიოდი მონასტერში. შესასვლელთან შევეყოვნდით. ამის მიზეზი იყო სასულიერო პირი, რომელიც ჩვენსკენ მოდიოდა და უეცრად მზერა ჩემზე შეაჩერა. ეს მამა გაბრიელი იყო, არამიწიერი იყრით, მრავლისმოქმედი გამოხედვით. მაგრძნობინა კიდევ, რომ საიდუმლოსავით რაღაც საგულისხმო უნდა გაემხილა ჩემთვის:

- მე თქვენთვის პასუხები მაქვს...

ამ სიტყვებმა თითქოს გამაშეშა. იმ წუთში ვერანაირად გავიგებდი, ვერ ავხსნიდი, რა პასუხებზე იყო საუბარი. მერე ხმაშიც, გამოხედვაშიც შემოფოთება გამოეხატა და წლების შემდეგ ჩვენთვის გამოტანილი სასტიკი განაჩენი ასე განჭვრიტა:

- გელის დიდი განსაცდელი...

აფფორიაქდი, დავიბენი, ავმა წინასწარმეტყველებამ სულიც დამიძიძიმა. იმ წუთში შიშის მეტს ვერაფერს ვგრძნობდი და ავტირდი. მამა გაბრიელი გამოცანად მიტოვებდა, ვისზე და რაზე მიგვანიშნებდა, რა განსაცდელი გველოდა. ისევ შემომხედა და ამჯერად მისმა ხმამ და სიტყვებმა ოდნავ გამომიყვანა გაურკვეველობიდან:

- შეგეწმინდა?! ნუ გეწმინა! მიდი ღვთისმშობელთან, ილოცე და სამი მეტანია შეუსრულე...

ამის მეტი არაფერი უთქვამს.

მეხსიერებას ის დღე განგაშის ზარივით შემორჩა. ყველაფერი მაშინ გაცხადდა, როცა ამქვეყნიური ჯოჯოხეთი მართლაც ვიხილეთ, გამოვიარეთ. მამაშვიდებდა მხოლოდ უფლის სიტყვა - „ნუ გეწმინა“, მამა გაბრიელმა რომ მამცნო და ისიც, იმ დღეს თვითონაც რომ ილოცა ჩვენთვის.

### ნანგრევებიდან ამაღლებული

გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც მამამ კომანში ნაკვეთი შეიძინა, იქ არსებული სიწმინდეების შესახებ მან არაფერი იცოდა.

უფრო მოგვიანებით კომანის აღდგენა იქცა მამაჩემის ცხოვრების საზრისად; ეს იყო ომამდე, აღსასრულამდე გაცილებით ადრე დაწყებული მოწამეობრივი აღსარება.

იცით, როგორ აშენებდა მამა? მოიარა აფხაზეთის მდინარისპირა ხევები და მთავორიანი კალთები, მიტოვებული ნაგებობები, რომ სხვადასხვა კუთხე-კუჩუდიდან ფილა-ფილა შეეგროვებინა როგორც სიპი, გლუჟუხედაპირიანი, ასევე, აღმაცერი, უსწორმასწორო ქვები. ძირითადად, ასეთი ნაშალი ქვებისგან აღადგინა მან კომანი, პირველი საუკუნის



აღდგენილი კომანის ეკლესია



ილია II და იური ანუა

ეს უძველესი ძეგლი.

წმინდა ვასილისკოს წყარო მორწმუნეთა თავშეყრის ადგილად რომ არ ქცეულიყო, კომუნისტებმა იქ წყალსაცავის აგება გადაწყვიტეს. სასწაული მაშინ გაცხადდა, როცა ამ მიზნით გაითხარა უზარმაზარი აუზი და წყალი ვერ დაიტია ვეცა მორევმაც; დაიტბორა მაცხოვრებელთა ეზოები, საკარმიდამო ნაკვეთები; უღმერთობას ვერ შეეზიარა კომანი და მშენებლობაც შეჩერდა.

თანდათან წყალსატევის მიმდებარე მიდამო ვასილისკოს წყაროსთან ჭაობად, ქვეწარმავლებისა და მღოღავების კერად იქცა. ყოველდღიურად ხრეშით დატვირთული ათობით სატვირთო მანქანა ამოყავდა აქ მამას, რომ ქვა-ლორღით ამოევესო ჭანჭრობადქცეული საბუდარი, რომ სასწაულთმოქმედ წყაროს ადრინდელი იერი დაბრუნებოდა.

ამ ადგილას ეწამა ქრისტესთვის წმინდა ვასილისკო, წმინდა გიორგის ახლო ნათესავი. მწყურთი, აღმოხდა მას მარტვილობის დროს და უფლის წყალობით მაშინ

ამოხეთქა თურმე კლდიდან წყალმა.

დღესაც სისხლისფერი დაჰკრავს ამ წყაროს, დღესაც უამრავ სასწაულს ახდენს იგი, კურნავს უკურნებელი სენით დაავადებულთ.

წყაროდან ოდნავ მოშორებითაა წმინდა ვასილისკოს საფლავიც. სამარხამდე მისასვლელი ბილიკი გადიოდა ბერძენი მოსახლის საკარმიდამო ნაკვეთზე, მლოცველებს კი შემოვლითი გზებით უხდებოდათ საკმაო მანძილის გავლა. მაშინ მამამ შეისყიდა იმ ბერძნის ეზო-კარი და სხვაგან დაასახლა იგი. წმიდანის საფლავამდე მორწმუნენი დღესაც მამის მიერ გაკვალული გზით მიდიან.

უდიდესი წინასწარმეტყველის – იოანე ნათლისმცემლის მთა კომანს ზემოდან გადმოჰყურებს. სიმაღლის გამო იქ ასვლა ბევრს ეძნელებოდა. მამამ ამ წმინდა სავანეზეც იზრუნა და დამრეცი ვერდობებიდან იოანე ნათლისმცემლის მთამდე 1500-საფეხურიანი მაღლივი კიბე გადაჭიმა.

ჯერ კიდევ კომუნისტური წნეხის პირობებში ასეთი ინიციატივები, რელიგიისა და ეკლესიის მხარდაჭერით გამოხატული, იდევნებოდა, იკრძალებოდა. უდიდესი ზეწოლის მიუხედავად, გროშიც რომ არავესთვის უთხოვია, 7-8 წელიწადში მთლიანად საკუთარი სახსრებით დაასრულა კიდევ ეს მაღლიანი მშენებლობა.

მისმა უწმინდესობამ, ილია II-მ გაწეული ღვაწლისთვის მამა წმინდა გიორგის პირველი ხარისხის ოქროს ორდენით დააჯილდოვა.

1990 წლის 26 ნოემბერს ჩამობრძანდა კიდევ და აკურთხა ნანგრევებიდან ამაღლებული კომანი.

### ურთიერთგანდობით



წმინდა გიორგის სიბედი, რომლითაც დაჯილდოვდა იური ანუა

უფლის მეტმა არავინ იცოდა, რა საზარელი კადრები დაუდგა თვალწინ მამა გაბრიელს, ომამდე დიდი ხნით ადრე კომანისთვის, ჩვენთვის ღოცვა რომ ადავლინა.

თურმე კომანში საცხოვრებლად იმიტომ გადავსახლდით, რომ მამას იგი მამა ანდრიასთან ერთად არასოდეს მიეტოვებინა. და რომ ჩვენთვის მაშინ ასე გაუცნობიერებელი სულიერი კათარსიხით უდიდესი განსაცდელი დაგვეძლია. იშვიათად შეხვედებით ცხოვრებაში უფრო მონანიე, ცრემლიან მლოცველს, ვიდრე კომანის წინამძღვარი, 27 წლის მამა ანდრია (ყურაშვილი) იყო.

რამდენჯერაც არ უნდა დაგუბრუნდე წარსულს, კომანის ტრაგედიას, ტყვეობაში გატარებულ 52 დღეს, ასე მგონია, სიცოცხლეს თავიდან ვიწყებ ტირილით და ვწყდები უშორეს ფესვებს.

ვიდრე ივლისის იმ მიმე დღეების შესახებ მოგიყვებით, წაგიკითხავთ სოციალური ქსელით ერთ-ერთ აფხაზთან ჩემს მიმოწერას. მის ვინაობას შეგნებულად არ ვასახელებ, ის დღეს აფხაზეთში თანამდებობის პირია. ეს დიალოგი კი ჩემთვის გადარჩენილ იმედზე მეტია.





**აფხაზი** – გამარჯობა, მანანა. მიხარია, რომ გხედავთ.

მანანა – გამარჯობათ, მეც ძალიან მიხარია.

**აფხაზი** – იმედია, გახსოვართ. გახსოვთ 1993 წლის ზაფხული, რამდენიმე დღე კომანში გავატარე, დაჭრილებს ვუვლიდი. 6 ივლისს სასწრაფო დახმარების მანქანით მოგაკითხეთ. ტაძრიდან წამლები გამომიტანეთ მამათქვენისთვის გადასაცემად. ვეცადე, თხოვნა შეემსრულებინა, დაგხმარებოდით, მაგრამ იური ანუას კვალს ვერსად მივაგენი. ვერ წარმოვიდგენდი, სასიკვდილოდ თუ გაიმეტებდნენ. მოგვიანებით შევიტყვე, რომ სამშვიდობოს გააღწიეთ, გადარჩით. გამიხარდა, დავწყნარდი. დავიწყებით კი არ დამვიწყებხართ. ყოველთვის თვალწინ მიდგას 1993 წლის ზაფხული. მახსოვდა, როგორ ღირსეულად გეჭირათ თავი კომანის ტაძარში...



პიპი - იონან ნათლისმცემლის მთაგლე

მანანა – ომი ბოროტებაა, მაგრამ არ არსებობს თავს მოხვეული სისასტიკე, რასაც შინაგანი სიმართლითა და სინათლით ვერ გადაწონი.

**აფხაზი** – ალბათ, მამათქვენის – იური ანუას მაგალითი გაქვთ მხედველობაში?

მანანა – რა თქმა უნდა. აფხაზეთიდან გაქცევა და თბილისსა თუ მოსკოვში უზრუნველად დამკვიდრება ნებისმიერ დროს შეუძლო მამაჩემს, მაგრამ კომანის დატოვების ფასად სიცოცხლის შენარჩუნება წუთითაც არ უფიქრია. იონანე ოქროპირის ტაძარს გააზრებულად მიეკედლა და, ფაქტობრივად, ორმხრივი ცილისწამებისა და მოწამეობრივი აღსასრულისთვის გაწირა თავი... მწამს, უკანასნელ წუთს მამამ სულგრძელად აპატიო მკვლელს. დიდი დანაკარგის მიუხედავად, ჩვენც ვაპატიეთ. ჰო, ვაპატიეთ, მიტევებისა და შენდობის უნარით თავი გადავირჩინეთ.

**აფხაზი** – წარმოდგენა არ მაქვს, ომის შედეგებს როგორ უნდა შევგუბოდით. 1992-93 წლებში ოჯახის წევრები, უახლოესი ადამიანები დაგვკარგე. ძმები და ძმისშვილები, რომელთაგან უმცროსი 1.7 წლის იყო...

მანანა – ძალიან ვწუხვარ. სულისმშემძვრელი განცდაა, ოჯახის წევრების დაღუპვით გამოწვეულ ტკივილს დრო ვერ ერევს. როცა აფხაზმა ძმამ ბათალ ტარნავამ ხანგრძლივი ძიების დასასრულს მამის საფლავს კომანის წმინდა წყლების მიდამოში მიაგნო და ვიდეო კამერით გადაღებული ამის ამსახველი კადრებიც გამომიგზავნა, ვთხოვე, მობილური ტელეფონი მიწაზე დაედო, რომ მრავალი კილომეტრის მანძილიდან, მრავალი წლის შემდეგაც ასე მაინც დამეტირებინა მამა.

**აფხაზი** – ბათალმა იპოვა?

მანანა – დიახ. არა მხოლოდ იპოვა, არამედ მოაწესრიგა, გაასუფთავა, შემოღობა. თუჯისგან ახალი ჯვარი ჩამოასხმევინა. კვირა არ გაივლის, მეგობრებთან ერთად ღიხნიდან, გულაუთიდან, სოსუმიდან არ ჩავიდნენ სანთლების დასანთებად, თითო ჭიქის წამოსაქცევად.

**აფხაზი** – მეც გავყვები მას. მინდა, საფლავზე მუხლი მოვიყარო. იური ანუას პატიება ვთხოვო. რისთვის? რომ მომხდარის შესახებ წლების მერეცა შევიტყვე. ვერ მივუსწარი, ვერ გადავარჩინე. ძალიან, ძალიან დავიგვიანე.

მანანა – რას ამბობ?

**აფხაზი** – ჰო, ბატალს დაგუკავშირდები და სულ მაღე მოვინახულებთ კომანს. ომის მერე მიჭირდა, დღემდე კომანში ჩასვლის მიზეზს ვერ ვპოულობდი. ახლა კი უკვე დანამდვილებით ვიცი, ეს რატომ უნდა გავაკეთო.

P.S. თუ რამეს გავუფრთხილები სოხუმში დაბრუნებამდე, ეს დიქტონონის თიროსა, სელაყის ისმის მანანას ანუას ცრემლით გაბზარული ხმა და უძძიმეს ღრუბტან ერთად აფხაზი მემორების - რაფიკ აბას, ბათალ ცარნავას, ცაურ ხუბასა და სხვათა და სხვათა სურის შემძვრული ამბებიც.

ესაა ჩემთვის „კომანის გზა“, ულმერთოდ გამეცებური აფხაზი იური ანუას სიკვდილივით გამოუცილებელი. და, ასევე, აფხაზი მემორების მანანას ანუასთვის გამოგზავნილი ნერიღებივით ამალეღებელი. აღმანებთ ასეთი გუნდროფელობითა და ცკვივიდით აღსარებას ამბობენ მხოლოდ. ჩემთვის ესეც „კომანის გზა“, ერთმანეთის გაღასარჩენად ხილად გაღებური.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).



წმინდა პასილისპოს წყარო



ჯვარცმის მერე, ვიდრე შაბათი გათენდებოდა, ქრისტე ბაღში დაასაფლავა მისმა ორმა მიმღევარმა – იოსებ არიმათიელმა და ნიკოდემოსმა.

შუა საუკუნეების რაინდების აღზრდა მოიცავდა რელიგიის, სამეფო კარის ეტიკეტისა და რაინდთა შვიდი დისციპლინის ცოდნას: შუბის ფლობას, ცურვას, ნადირობას, ცხენით ჯირითს, ფარიაკობას, ჭადრაკს. მეშვიდე დისციპლინა კი ასე უღერდა: ჭეშმარიტმა რაინდმა ქალის გულის დაპყრობა სიმღერით უნდა შეძლოს.

კონსტანტინე, ნინო, ელისაბედი, თემური, სვიმონი – ილია ჭავჭავაძის და-ძმები არიან.

ქართლ-კახეთის მეფეს - ერეკლე II-ს („პატარა კახი“ - 1720-1798 წ.წ.) სამი ქორწინებიდან შეეძინა 24 შვილი (19 შვილი მარტო მესამე ქორწინებიდან ჰყავდა).

აფხაზურ ენაში არ არის „ვ“ თანხმოვანი.

ჰავანელ ანტონიო მესიეს ლოგინად ჩავარდნილი ცოლი ჰყავდა. სწორედ მასთან ხშირი კონტაქტის მიზნით ანტონიომ შექმნა საინტერესო სასაუბრო ხელსაწყო - ეს იყო პირველი სატელეფონო აპარატი. ეს მოხდა 1849 წელს.

1751 წლის ივნისში ლონდონში გამოვიდა პირველი საბავშვო ჟურნალი სახელწოდებით - „ოქროს ბიბლიოთეკა პატარა ქალბატონებისა და ბატონებისათვის“.

ბიბლიაში ქრისტეს 26 სამედიცინო სასწაულია აღწერილი.

რომაელები მეგობრებს „ყველაზე დიდ ქურდებს“ უწოდებენ, იმიტომ, რომ ისინი გაპარავენ დროს.

სიტყვა „ალიბი“ ლათინურ ენაზე ნიშნავს „სხვა ადგილს“.

გაღის რაიონის სოფელ აჩიგვარას XVIII საუკუნემდე სუბეიში ეწოდებოდა.

აკაკი წერეთლის ლექსი „გურული ნანინა“, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი იავენანაა; სინამდვილეში კი იგი რუსეთ-იაპონიის ომის გამოძახილია. ლექსი 1905 წელს გამოქვეყნდა, იმ პერიოდში, როდესაც იაპონელმა გენერალმა იოამომ სასტიკად დაამარცხა რუსები. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა გაახალისა აკაკი: ლექსის ყოველი სტროფის ბოლო სტრიქონი „ოი, ამას ვენაცვალე“-თი მთავრდება.

კომპოზიტორმა ფელიქს მენდელსონმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები „ზაფხულის ღამის ზღაპარი“ 16 წლის ასაკში დაწერა.

XI ს. დიდი საეკლესიო მოღვაწის – ეფრემ მცირეს განმარტებით, იერუსალიმის შემდეგ ქრისტიანობის „მეორე აკვნად“ მიჩნეულ ქალაქ ანტიოქიაში (სირიის დედაქალაქი) ხდებოდა პირველად წმინდა მირონის კურთხევა. მხოლოდ ქალკედონიის მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით (451 წ.) ყველა ეკლესიას მიეცა უფლება, თვითონ ეკურთხებინა მირონი.

სეფესიტყვა – მეფის მიერ წარმოთქმულ სიტყვას ნიშნავს.

შუა საუკუნეებში ევროპელები სოხუმს „სებასტოპოლისს“ უწოდებდნენ.





ტარიელ ხარხელაური

\* \* \*

ჩემს ხელისგულზე ვერც კი გამჩნევ,  
ჭია-მარია,  
ცაში რა ვინდა,  
ცა ხომ უფრო გაპატარავენს,  
გზა მშვიდობისა, სასურველო,  
საოცარია,  
ასე დაღეულს ქარები რომ  
არ ვიპარავენ...



\* \* \*



- ბაღლო,  
მეტყოდა პაპაჩემი:  
მტერს დანადგლიანებული სახე არ აჩვენო,  
არაო,  
არ გაგიწყრეს გამჩენი,  
გაიცინეო და იმდერე – თუნდაც, გტკიოდეს,  
სული ჰკიოდეს,  
გამწარებით,  
სული ჰკიოდეს.

შინ შედიოდე –  
მომაკვდავი მამა გელოდეს –  
უნდა მდეროდე  
და მტერს ცრემლი არ დაანახო.  
შენახვა უნდა წინაპართა წმინდა  
სამარხებს,  
და შენი ქვეყნის მზეს სჭირდება  
არ დაიბინდოს,  
და კიდევ მინდორს –  
გუთანმა რო გაავლო კვალი,  
ესაა შენი კაცური ვალი!

მითხრა და...  
მიწას მივაბარე სამი დღის მეკვდარი.

\* \* \*

სად მიხვალთ, შავნო ღრუბლებო,  
არ სძინავს არაგვიანელს,  
ვერ მიხვალთ საქართველომდე,  
მე თუ არ გადამიარეთ!


აღალი იყოს, თუ დამძლევთ  
მერე, როგორც გსურთ – იარეთ!  
თმაგაშლით ვდგავარ მყინვარზე,  
სახეშეცვლილი ვღრიალებ.





# დაწერე...

ნუნუ ჯანელიძე



დაწერე, მეტყოდა ბებიაჩემი. უკვე, ალბათ, მეასედ ვწერდი წერილს უცხოეთში გასაგზავნად. დაწერე, მეტყოდა და ჩინდალეულ თვალებს სივრცეს გაუშტერებდა. რაღაცნაირი სხივი მაინც იდგა მოხუცის დაშრეტილ თვალებში, შინაგანი სულიერი სიძლიერე და ცხოვრებისეული სიბრძნე თუ ანიჭებდა მას ამ ნათელს. მე მაინც მეგონა, ბებია მხედავდა და ისე ველაპარაკებოდი, თითქოს მხედველობა საერთოდ არ აკლდა. ახლაც მთელი პასუხისმგებლობით ვწერდი წერილს ბიძაშვილებს, რომლებიც, აგერ მეშვიდე წელი სრულდებოდა, უცხოეთში გადახვეწილიყვნენ და ჩამოსვლას არც აპირებდნენ. კი, შემოთვლიდნენ დროდადრო, ახლა ჩამოვალთ, ამ ახალ წელს, ამ აღდგომას, მერე მარიამობას, გიორგობასო, მერე ისევ თავიდან; წელი წელს მისდევდა, დღესასწაული დღესასწაულს ცვლიდა, ისინი კი არ ჩანდნენ. გვესმოდა მხოლოდ, კარგად ჰქონდათ საქმე, რესტორნებში გრიალებდნენ; ბებიაჩემს კი, გაჭირვებულს, ნახევარჯერ წამლის საყიდელი ფული არ ჰქონდა. გადიოდა დრო მხოლოდინში, ამასობაში ბებია ილეოდა, სული ხდებოდა შვილიშვილების ნატვრაში.

დაწერე...

გამარჯობა, დათო და გიორგი, როგორ ხართ, ჩემი გულის მომკვლევებო, როგორ დამივიწყეთ, თქვე უსინდისობებო, თქვენი გამზრდელი ბებია. თქვენ შეგალიეთ ჩემი ჯანი და ღონე და ასე მიხდით ამაგს ამ სიბერეში? რამ გაგიცივათ ასე გული და რამ ავირიათ ასე გონება, ყველაფერი რომ დაივიწყეთ ამ ქვეყანაზე? ღმერთი არ გწამთ და ხატი, შვილებო, თუ რა ცოდვაა თქვენს თავს? ერთი თქვენი სახეები დამანახა, თქვენთვის თვალებში ჩამახედა (მეტი არაა ჩემი მტერი, მე რამეს ვხედავდე) და გამაგებინა, რას ფიქრობთ. რამ შეგცვალათ, რამ დაგაკუდიანათ? ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს (აქ პირჯვარს გადაიწერდა ბებია). ჩამოდით ერთი და შეგილოცავთ რამეს, ეგებ, აგეხილოთ თვალები და გაარჩიოთ მტერი და მოყვარე. თქვენთვის არაა კარგი, თქვენთვის, ჩემი ასე დავიწყება და ჩემთვის მიწის მოყრა, თორემ მე აწი კი მოგკვდები (თქვენი ჭირი წამილია) და დაუმარხავსაც არავინ დამტოვებს, მაგრამ თქვენ როგორ გინდათ ზიდოთ ამხელა ცოდვა?! თქვენს ნატვრაში როგორ უნდა ამომივიდეს მთავარი სული? ქრისტიანები არ ხართ, ღმერთგამწყურალებო (ღმერთმა კარგად მიმყოფოს თქვენი თავი)? მაგრამ ერთს დავიბარებ, ჩემი სიკვდილი არ გაგაგებინონ, არ მიტიროთ, რომ მოგკვდები (ბებია დაშრეტილი თვალებიდან ცრემლს ღვარ-ღვარით გადმოყრიდა). ჩამოდით, ბავშვებო, ჩემს სიკვდილამდე ერთხელ მაინც გამაგონეთ თქვენი ხმა...

...ბებიას გარდაცვალების გაგებისთანავე ბიჭები დაფეთებულები ჩამოცვივდნენ უცხოეთიდან. მწვანე კუპიურებს ფრიალ-ფრიალი გაჰქონდა. დაკრძალვა დიდ სანახაობას ჰგავდა. სუფრას არაფერი აკლდეს, ქვეყანამ გაიგოს, რა შვილიშვილები ჰყავს ელიჩქასო, დათოსა და გიორგის სახელი უბრალოდ არ ახსენოს ვინმემო.

ბებია მშვიდად იწვა, თითქოს ოღნავ ელიმებოდა კიდევ, ტუჩის კუთხეში, სიცოცხლეში რომ იცოდა სევდიანი ჩაღიმება, ისე. ბებია ახლა ცაში წერდა წერილს, იმნაირს, მარტო მე რომ მესმოდა...  
დაწერე...







## სამშობლოს ფეხით

- მარია, გოგო, მთელი ევროპა მოვიარე, მაგრამ შენნაირი ვერავინ ვნახე. დამინახა თუ არა, ეს სიტყვები მითხრა უცხოეთიდან ჩამოსულმა გარე ბიძაშვილმა და სიხარულით გადამეხვია. გამიხარდა დიდი ხნის უნახავი ნათესავის ნახვა. საქებარი სიტყვებიც გულს მომეფონა. მართალია, მთლად რიგიანად ვერ გამოვიყურებოდი (ომი ახალი დამთავრებული იყო), არც ევროპელებთან შესადარებლად მქონდა საქმე, მაგრამ ევროპაში ნამყოფი მურადი იყო და მან უკეთ უწყოდა, რას ამბობდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მერჩინა და ისე უტიფრად შევიფერე შექება, თვალშიც არ დამიხამხამებია. თან, ევროპელ ქალებს ნიშნაც კი მოგუგე გულში.

ახალი დევნილები ვიყავით, დარდითა და ვაგებით გექონდა გული საგსე. სანატორიუმში გამეფებულ სევდასა და მოწყენილობას მურადმა დროებით თითქოს გამოგვარიდა. დიდ, ყაზარმულ მაგიდას შემოვუსხედით ყველანი, მურადი სუფრის თავში დავსვით და ჩვენი შავი დღეების გახსენების შემდეგ ევროპაში თავს გადახდენილი ამბებიც მოვაყოლეთ.

უცხოეთში ომამდე წავიდა. ვიცოდით, მოსკოვში, არბატზე ხატავდა. ხატავდა და ეტყობა, ფულსაც კარგად შოულობდა, რადგან მალე გავიგეთ, ევროპაში გადავიდაო. მართლაც, მოიარა მთელი ევროპა, ისწავლა რამდენიმე ევროპული ენა, გახდა მსოფლიო მხატვართა ასოციაციის წევრი; მოკლედ, სახელი გაითქვა ევროპაში, როგორც თვითონ ამბობდა. თუმცა, ევროპიდან ერთი ტილოც არ ჩამოუტანია, ჰოდა, გერკვია, მართლაც ამბობდა, თუ არა. მაგრამ მხატვრობა და ხატვა რომ უყვარდა, ნამდვილად ვიცოდით და დანარჩენს სიტყვაზე ვენდობოდით.

მაინც, რამ დაბადა საწყალი ზინასა და ჟორას ოჯახში ყოველად შეუფერებელი ბავშვი! მიწას აცილებულიც არ იყო, აიჩემა, მოგზაურობა მიხდაო და სახლიდან გაიჭრა. ტომ სოიერი თუ წაიკითხა ზინასა და ჟორას ცოდვით საგსემ. ახლომდებარე ჩქოლა ტყეში სამალავი გაუკეთებია, გვიმრებითა და თხმელის ტოტებით შეუნიღბავს და დამის გასათევი მოუწყვია. კაი, ჰა, გაეთია ერთი ღამე, რომ მოშივდებოდა ტყედეგაჭრილ მეოცნებეს, ხომ დაბრუნდებოდა სახლში, მაგრამ ახლა დედის გული იკითხეთ! შვილი დამეკარგაო, იკივლა ზინამ და ნახევარი სოფელი ფეხზე დააყენა. ვინ კვართ, ვინ ლამფით, ვინ ჭრაქით დაეძებდა; ნაბიჯ-ნაბიჯ გაჩხრიკეს ტყე, სადაც კუთხის ბავშვები დღისით ხან მარწყვის, ხანაც სოკოს მოსაკრეფად დადიოდნენ.

მურიკელა, შვილო, მოთქვამდა ზინა და თმები ძირს ჩამოჰქონდა. თუმცა, ბევრი დრო არ დაჭირვებიათ ტყეში გავარდნილის მოსაძებნად. მალე იპოვეს ახალი სამყაროს მაძიებელი, ტკბილად ეძინა თავისივე ხელით წელამდე ამოჩიქნილ და ფოთლებით მოფარდაგებულ ორმოსი. დასტაცეს ხელი მძინარეს და ციმციმ მიჰგვარეს სახენამოკაწრულ ზინას. ასე დასრულდა მურადის პირველი ცდა საზღვრების გარღვევისა.

მაგრამ იდეა გაქცევისა მარად ცოცხლობდა მურადში და ისიც გარბოდა. გარბოდა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში. გარბოდა და მაინც რჩებოდა ერთ ადგილზე, სადაც არასდროს იყო ბედნიერი. ვერც იქნებოდა, რადგან ყოველ გაქცევაზე საკუთარ თავს გაუბოლოდა და ყოველი გაქცევის შემდეგ ყველგან საკუთარი თავი ხვდებოდა, უფრო გასავათებელი და დაცლილი; საკუთარი თავი, რომელიც ვერა და ვერ ეპოვა.

ხელოვნების სიყვარული მურადმა ბავშვობიდანვე აიკვიტა. უკვირდათ მშობლებს, ვინ შემოგვაპარა ეს უცნაური ბავშვიო; ზინა მაინც ეჭვობდა, მამაჩემს ჰგავს, მისი ზნე და ხასიათი დაჰყვავა. მამამისი, ასტიონე, რა დიდი ხელოვანი მყავდა, ერთი წელთაგაზა, ჭამა-სმის მოყვარული კაცი იყო. მერე რა, ქეიფისას ხანდახან თუ წაუცეკვებდა, დიდი-დიდი, ერთი-ორი გასმა გაეკეთებინა. ჰოდა, თუ არ ჩავთვლით სიხარმაცესა და ოცნებას, მურადს ბაბუის არაფერი ეცხო. ეს ხელოვნება კი საიდან გამომტყვრალიყო!

მოადგებოდა მურადი ჩემს ეზოს, მარია, გარეთ გამომხედო, დამიძახებდა. ჩიოდა, შენს





მეტი ვერავინ მიგებსო. მეც რას ვუგებდი იმდენს, უფრო ვუსმენდი. მიაბობდა მხატვრების ცხოვრებაზე, მიყვებოდა ტილოების შექმნის ისტორიებს. მე მოვიშველიებდი ლიტერატურას, რასაც იმ ხანებში ვკითხულობდი, იმაზე ვესაუბრებოდი.

რა თქმა უნდა, მურადი ხატავდა კიდევ. ჯერ კიდევ უსუსურად, მაგრამ რწმენა ჰქონდა ძლიერი. ამიტომ, სოფელში არავის გააკვირვებია მისი სამხატვრო სასწავლებელში წასვლა, მერე კი მოსკოვში გადახიზნვა. ბევრ ჩვენებურს უნახავს, როგორ ხატავდა არბატზე. ეს მისი ცხოვრება იყო, ხელოვანის ცხოვრება, როგორც თვითონ ეოცნებებოდა. რას ხატავდა, ღმერთმა იცის, მაგრამ თავის პატრონი თვითონ იყო და ასე ერჩინა. ასე უფრო იოლი იყო. სოფელში რომ თეთრი ყვავივით ჩანდა, აქ არც ამხნევდნენ. თუ ამხნევდნენ, შენატროდნენ იქნებ კიდევ მის ბოჰემურ ყოფას. ვის უკვირდა მისი აბურძენილი თმა და წვერი, საღებავებით მოთხერილი ტანსაცმელი და ხელები? ცოტა ჩაენთქა დიდ ქალაქს მისნაირი უცნაურები?! მხატვრობაში ახალი მიმდინარეობაც ხელს უწყობდა მურადს: მიათხლიშავდა ერთ რომელიმე ფერის საღებავს ტილოს, მერე მეორე ფერისას, ფუნჯს გაუსვამ-გამოუსვამდა (თითქოს თავგმა კუდი მიუსვ-მოუსვაო) და ნახატიც მზად იყო. გემტვრია ტვინი, რა იყო ტილოზე გამოხატული, გინდა, კოსმოსი დაგენახა, გინდა ქაოსი! არაფერიც იყო და ყველაფერიც. აღორძინება და კლასიკა მოდიდან გამოსულიყო. გაიოლებოდა მურადს საქმე.



ომმა შეაშინა თუ რა იყო, მოსკოვიდან ევროპაში გადაბარგდა. ყველგან იყო და არსად იყო, ფეხს ვერსად იკიდებდა. ამასობაში სასიკვდილო სენი შეეყარა და მანაც სამშობლოში ჩამოიტანა მაინც სული.

მთელმა სოფელმა (მშობლიური კუთხიდან გადმოხვეწილმა, მაგრამ ჯერ კიდევ ერთმანეთზე ჩაბლაუჭებულმა) გულით დაიტირა საწყალი მურადი. საფლავი ნაძვებს შუა იყო გაჭრილი, მყუდრო ადგილას. მშვენიერი პეიზაჟი იშლებოდა, გაეხარდებოდა, რომ ენახა და იქნებ, დახატვაც მოესურვებინა. მთელ ღუნიახე ნახეტიანლები, მაინც ქართულ მიწაზე იმარხებოდა, თან ახლობლების მღუღარე ცრემლები მიჰყვებოდა.


თაბახის ფურცლებზე ფანქრით შესრულებული რამდენიმე ნახატი (ავადმყოფობის დროს თუ მოაჯახირა რაღაც) ვერაფერს ამბობდა ხელოვანის ბიოგრაფიაზე. სამახსოვროდ მინდოდა, მაგრამ სხვამ დამასწრო. მე, მისი სულის მესაიდუმლეს, მის სახსოვრად არაფერი დამრჩა, მოგონებების გარდა. ამიტომ მომინდა, მოგონებები სიტყვებით გამეცოცხლებინა და ფურცელზე გადმომეტანა მურადის აბორჯებული, ხელოვნების იდეით შეპყრობილი, მაგრამ უნაყოფოდ გადაგებული ცხოვრება.

- მარიაკა, გოგო, მთელი ევროპა მოვიარე, მაგრამ, შენნაირი ვერავინ ვნახე, ახლაც ჩამესმის მურადის ხმა.

მაშინ მისი ნათქვამი ჩემს უპირატესობად მივიღე (ვის დაჰკარგვიან ევროპელი ქალები-თქვა), უსინდისოდ შევიფერე შექება. ახლა კი ვიცი, ეს სიტყვები, თვითონ მურადიც რომ ვერ ხვდებოდა, ისე, მე კი არა, სამშობლოს ეკუთვნოდა. მართლაც და, სად ნახავდა გალადებულ ევროპაში

ჩემნაირს, მომთმენს, გაუტეხელს, მშობლების დამჯერეს, ახლობლების მოყვარულს, მშობლიურ ფესვებს ასე მიჯაჭვეულსა და ღვთის მაძიებელ ქალს (რომელიც ასე ჰგავდა თავის ქვეყანას).

და ახლა ვხვდები, ჩემი მონატრება და ნახვის სიხარული, გაუცნობიერებლად, მურადიც რომ ვერ ხვდებოდა ისე, სამშობლოს მონატრება და მისი ნახვით გამოწვეული სიხარული იყო. და ამას ვერავინ გადამარწმუნებს...







ვარინკა წერეთელი იყო აკაკი წერეთლის უფროსი ძმის – დავითის ქალიშვილი.

„ძია აკაკის მე ბავშვობიდან ვიცნობდი. ის ყველაზე ახდენდა უდიდეს შთაბეჭდილებას თავისი მომხიბლავი ლაპარაკითა და გარეგნობით“, - წერს ბიძაზე ვარინკა წერეთელი.

ცნობილი ლექსი „სულიკო“ აკაკი წერეთელს მიუძღვნია ვარინკასათვის, თან უთქვამს:

- შენებურად ხმა გამოუძებნე და აამღერე!..

„დიდი მგოსნის შეკვეთამ, რა თქმა უნდა, საგონებელში

ჩამაგდო. ლექსის მომხიბლავმა სილამაზემ

ჩემში უთვალავი მუსიკალური სახეები აღძრა.

ერთ მშვენიერ დღეს გიტარის აკომპანიმენტზე სრულიად მოულოდნელად ჩამოყალიბდა „სულიკოს“ მელოდია,“ - იხსენებს სიმღერის ავტორი.

როდესაც მგოსანს ეს მელოდია პირველად მოუსმენია, დიდად მოხიბლულა. იმდენად, რომ არაერთხელ ამღერა კიდევ ვარინკას მათი შეუდარებელი „სულიკო“.

შემდეგ თავისი პორტრეტიც უჩუქნია ძმისშვილისთვის წარწერით:

„ჩემს საყვარელ ბუღბუღს, სულიკო-ვარინკას – აკაკისაგან“.

აკაკი წერეთელი



ვარინკა წერეთელი



სოლომონ ზალდასტანიშვილი, კახელი აზნაური, საქართველოს ეროვნული არმიის პოდპოლკოვნიკი, 1924 წლის აჯანყების შესახებ დაწერილი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაშრომის ავტორია. ამასთან, ის აღნიშნული ისტორიული მოვლენის აქტიური მონაწილე და ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლია.

1924 წლის ნოემბერში, აჯანყების დამარცხების შემდეგ, ცოლ-შვილთან ერთად საფრანგეთს შეაფარა თავი.

ოჯახთან ერთად ემიგრაციაში მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც სოლომონ ზალდასტანიშვილის ბიოგრაფი წერს, „მუდამ მოცინარ მის სახეზე ჩივილს ვერ ამოიკითხავდით. გულკეთილი და სტუმართმოყვარე იყო“.

მეორე მსოფლიო ომის დროს სოლომონ ზალდასტანიშვილი ბევრს ცდილობდა, ფიზიკურად გადაერჩინა ტყვედ ჩავარდნილი ქართველები.

დიდი წინააღმდეგობების შემდეგ მას მისცეს უფლება, მოენახულებინა რუმინეთის სამხედრო ტყვეთა ბანაკში მყოფი ქართველები, რომელთა რაოდენობა 500-ს აღწევდა.

მიღებული ზომების მიუხედავად, სოლომონ ზალდასტანიშვილმა ვერ მოახერხა, თავისუფალ სამუშაოზე გადაეყვანა ქართველი ტყვეები.

მაშინ სოლომონ (სოლიკო) ზალდასტანიშვილს უთქვამს:

- თუ ვერაფერი ვუშველე, მეც მათთან დავრჩები.

უდიდესმა სიყვარულმა მისცა ძალა, დარჩენილიყო ტყვეთა ბანაკში, ეზრუნა იქ მყოფთათვის.

სოლომონ ზალდასტანიშვილმა ვერ აიტანა ბანაკში არსებული მძიმე პირობები და ავად გახდა.

გარდაიცვალა 1941 წლის 5 დეკემბერს, ქ. ბუქარესტის საავადმყოფოში.

„სოლიკო ზალდასტანიშვილი საქართველოსთვის ცოცხლობდა და საქართველოსთვის სული დალია“, - წერს მისი ბიოგრაფი.

სოლომონ ზალდასტანიშვილი





# აქაუმი საქობლო

მარინა ტურაშა

„წვიმამ მოიკლა ჟინი ღამით და ახლა გრილა და სველ სილაზე მკვდარ თევზივით აგდია დილა. ნისლია მთებზე და ბურუსში სახლებიც გაქრა და ზღვაში თეთრი ხომალდივით შეცურდა გაგრა“... („წვიმამ მოიკლა ჟინი“). მიხეილ ქვლივიძის ეს ლექსი ზუსტად გამოხატავს წვიმის ჩემეულ აღქმას. მიყვარს წვიმა; ჩემი ქალაქის ხილული თუ წარმოსახვითი ხატი მის გარეშე წარმოუდგენელია. მძულს წვიმა, რადგან გარდასულსა და დაკარგულს მაგონებს, ნოსტალგიურ გუნება-განწყობაზე მაყენებს...

ადრეული შუა საუკუნეების გამორჩეული მისტიკოსი, პოეტი დანტე ალეგიერი პოლიტიკური შეხედულებებისა და პოზიციის გამო ფლორენციიდან გააძევეს, აუკრძალეს მშობლიურ ქალაქში ცხოვრება. ცხრამეტწლიანი ექსორია ქალაქიდან ქალაქში ხეტივით გაატარა: ბოლონია, ლუიჯიანა და კაზენტინო შებებას ვერ გვრიდა, ფლორენციას ვერ უცვლიდა. ბოლოს რავენაში გარდაიცვალა; შორს კი არა, იქვე იტალიაში, მაგრამ უსამშობლობის განცდა არ ასვენებდა, 56 წლის ასაკში ამ დარდმაც გადაიყოლა...

ასეთია ადამიანი ზოგადად, ადრეულ შუა საუკუნეებშიც და ოცდამეერთე საუკუნეშიც, ასეთად შექმნა იგი უფალმა, სიყვარულის, მიჯაჭვეულობის, ერთგულების უნარით...

ინგლისელ ფილოსოფოსს, თანამედროვეობის ერთ-ერთ გავლენიან მოაზროვნეს, როჯერ ვერნონ სკრუტონს, რომლის ქვეყანასა და ენას არც გადაშენებია უწერია და არც დავიწყება, იოკოფობია მიაჩნია ყველაზე საშიშ გრძნობად. იოკოფობია ქსენოფობიის საწინააღმდეგო ცნებაა და შინაურობისა და ეროვნული ცნობიერების, მემკვიდრეობისაგან განდგომას გულისხმობს.

კაცმა რომ თქვას, იმავეს ამბობდა ვაჟა-ფშაველა, ჯერ კიდევ მუცლე საუკუნის დასაწყისში – 1905 წელს, როცა ქვეყანა ისევ წინა საუკუნის სულისკვეთებითა და განწყობებით სუნთქავდა და ცხოვრობდა:

„კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს



იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს.

ვინც უარყოფს თავის ეროვნებას,

თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუშინველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებასა და სიყვარულს უცხადებს“.

ვაჟამ არც ქსენოფობიის შესახებ იცოდა რამე, არც





ოიკოფობიისა. ეს ტერმინები მხოლოდ ჩვენს დროში გაჩნდა და ჯერაც ახალია.

ინგლისში სამშობლოს სიყვარულის აბუჩადამგდები და დამცინავი გრძნობები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა. როჯერ ვერნონ სკრუტონის აზრით, ომის შემდგომ რომ არ გაჩენილიყო ოიკოფობია, იქნებ ინგლისელებს არც ებრძოლათ ქვეყნის დასაცავად. ინგლისში, რომელიც მაშინაც და დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შემდგარი, ძლიერი სახელმწიფოა, მოქალაქეებს გაუცხოების, უარყოფის, გამიჯვნის სინდრომი შეეყარათ. იქნებ, საიდუმლოც ამაშია: ძლევა მოსილს,



წარმატებულს დიდად არ სჭირდება ერთგულება, ტკივილების წამლობა... მაგრამ სიყვარული?! ეგ ხომ ყველას უნდა, სამშობლოსაც, მათ შორის...

საქართველოს, თავისი დაჩეხილი ტერიტორიებით, უამრავი მტრით, გამუდმებული დიღემითა და მუდმივად ვერშემდგარი ხელისუფლებებით

ნამდვილად ყველაზე მეტად სჭირდება სიყვარულიც, ერთგულებაც, ტკივილების წამლობაც და მოშუშებაც... ამიტომაც ოიკოფობია ისეთივე მიუღებელი მგონია ჩვენთვის, როგორც პაციფიზმი. დიახ, ნამდვილი ფუფუნებაა პაციფიზმი მტრულ გარემოში მოქცეული პატარა ქვეყნისათვის. ჩვენს წინაპრებს პაციფისტურად რომ ეფიქრათ, არც სამშობლო გვექნებოდა უკვე და არც მრავალსაუკუნოვანი ისტორია...

ადამიანები არ იბადებიან ოიკოფობებად; მათ გენეტიკურად ადგილის დედის, საკუთარი სახლ-კარისა და მამულის სიყვარული დაჰყვებათ...

„ვინც კარგავს სულიერ საწყისს, სიმაღლეს, ის კარგავს აქაური სამშობლოს განცდასაც.“ ეს ესმა ონიანია. დიახ, „აქაური სამშობლოს“ განცდა ადამიანის დაბადებასთან ერთად ჩნდება და მასთან ერთად კვდება, ამიტომაც წვიმა, განსაკუთრებით, გაბმული და მთელდღიანი, ყოველთვის მომაგონებს ჩემს მშობლიურ ქალაქს, რომლის წარმოსახვაც, გახსენებაც უწვიმოდ შეუძლებელია.

მიხეილ ქვლივიძეს კიდევ ერთი პატარა, უსათაურო ლექსი აქვს: „გიყვარს წვიმა? არა, უბრალოდ, მიხარია, როცა ქვეყანაზე რაღაცა ხდება!“ ჩემი ქვეყანა ჯერ ის პატარა, ზღვისპირა ქალაქია, ჩემი მოურჩენელი ტკივილი და დარდია... მერე რა, რომ თბილისში, რომელიც, ასევე, ძალიან მიყვარს, უკვე უფრო მეტ ხანს ვიცხოვრე... ბევრი რამ უკეთესად და ხარისხიანად გავაკეთე, მაგრამ მაინც იმ ზღვისპირა ქალაქელად დავრჩი... ასე იქნება ყოველთვის, რამდენი ხანიც არ უნდა ვიყო ამქვეყნად.

ჩემი „აქაური სამშობლო“ ყოველთვის სოხუმით დაიწყება და დიდი იმედი მაქვს, რომ, ადრე თუ გვიან, სოხუმით დასრულდება. მარადიულ და იქაურ სამშობლოშიც ერთ სოხუმურად წვიმიან და უქმურ დღეს გავემგზავრები... გამგზავრებასაც აქვს თავისი დრამატურგია თუ სცენარი...



## 5 წლის ჩემპიონი



ზაალ გვარამია

სრულიად შემთხვევით გავიგეთ სოხუმელი მოზარდის, მოსკოვში დაბადებულისა და ამჟამად იქ მცხოვრების – ზაალ გვარამიას უჩვეულო წარმატებების შესახებ.

როცა ასეთ სასიამოვნო ინფორმაციას მოიპოვებ, საოცარი პოზიტივით იმუნტები და ეშურები, განცდილი მკითხველსაც გაუზიარო.

ზაალის მშობლები – თამარ და თემურ გვარამიები სოხუმელები არიან. თვლიან, რომ არამშობლიურ გარემოში შვილების მენტალობაზე ზრუნვა თითოეული ქართველის ვალია. სოხუმელი ქორეოგრაფის მიერ გახსნილ სტუდიაში ამიტომაც ჩაწერეს ზაალი, ქართველმა სხვაგან უფრო უნდა იქართველოსო.

ზაალზე ჯერ მაინც არაფერი გვითქვამს. 4 წლის ბიჭუნა კარპოვის სახელობის საჯარო სკოლაშიც შეიყვანეს. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ერთ წელიწადში 10-მილიონიანი რუსეთის დედაქალაქის სპორტულ ბიოგრაფიაში ზაალ გვარამიას სახელიც ჩაიწერებოდა და ბევრსაც გააოცებდა ფანტასტიური შედეგებით.

2012 წელს 5 წლის ზაალი 9 წლამდე მოზარდებს შორის მოსკოვის ჩემპიონი გახდა; 2014 წელს, ამჯერადაც უფროსებს შორის, იგივე ტიტული მეორედ მოიპოვა.

2015 წელიც მეტ-ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა პატარა მოჭადრაკისთვის: ქ. კოსტრომაში გამართულ რუსეთის ჩემპონატზე VII ადგილი დაიკავა.

ნანა ალექსანდრიას სახელობის საჯარო ფესტივალის ფარგლებში - „ფოთის ზაფხული“ (2014-2015 წ.წ.-ში) ჩატარებულ ბლიც ტურნირზე 100-მდე მონაწილეს შორის ისევე ჩემპიონი ხდება. ნორჩი მოჭადრაკეები იყვნენ თურქეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, შუა აზიიდან.

როგორია პატარა ჩემპიონი?

ბავშვურიცაა, თუმცა ხშირად სერიოზულიც. ხუთოსანია; განსაკუთრებულად უყვარს მათემატიკა; უპირატესობას ანიჭებს ანალიტიკურ აზროვნებას; იცის ინგლისური, აინტერესებს ჩინური. საკმაოდ თვითდაჯერებულია. ყველასთან არ (თუ ვერ) მეგობრობს. სხვა ბავშვებით ისიც კომპიუტერის „მეგობარია“.

ვიდრე პატარა ლუკა გაჩნდებოდა, ერთი ნატვრა ჰქონია, ვოცნებობ მხოლოდ ძამიკოზე. “ჩემს თილისმას“ ეძახის და ძალიან ანებივრებს 1,5 წლის ლუკას.

ასეთია 8 წლის მოსკოვის ორგზის ჩემპიონი, სოხუმელი – ზაალ გვარამია.

## მეტსახელოდ – „რიკოშეტი“

11 წლის ნატა ხარაიშვილი რედაქციაში მამასთან ერთად გვესტუმრა. ბატონი ზურა საუბარში თითქმის არ ჩარეულა. დასმულ შეკითხვებზე ნატა პასუხობდა ხალისით, ბავშვური უშუალოდით.

ჩვენი რესპოდენტი საკმაოდ დამაჯერებლობითაც გამოირჩეოდა:

- 4 წლის ვიყავი, ტანვარჯიშზე რომ შემეყვანეს. დღესაც ძალიან მომწონს სპორტის ეს ლამაზი სახეობა, მაგრამ როცა წარმატებას ვერ ვაღწევ, ის საქმე ჩემთვის უინტერესო ხდება.

ასე ვთქვი უარი ტანვარჯიშზე.



ნატა ხარაიშვილი

ნატა მაშინ მხოლოდ 9 წლის იყო. მშობლების რჩევაც გაითვალისწინა და გადაწყვიტა, ევლო ფარიკაობაზე. ჩაეწერა კიდევ 147-ე საჯარო სკოლასთან არსებულ საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ჯგუფში.

ამჯერად არჩევანში არ შემცდარა – პირველ წარმატებას ნატამ 5 თვეში მიაღწია.

ეს იყო 2013 წელს, როცა რაპირით მოფარიკავეთა შორის თბილისის თასზე მან III საპრიზო ადგილი დაიკავა.

იღბლიანი აღმოჩნდა ნატასთვის 2014 და 2015 წლებიც: აფხაზეთის ღია პირველობაზე (აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ ორგანიზებული), სადაც მონაწილეობდა 30-მდე ნორჩი





მოფარიკავე აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან, ნატა ხარაიშვილი ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

მიმდინარე წელს გაიმარჯვა, აგრეთვე, ნიუტონის თავისუფალი სკოლის მიერ ჩატარებულ საქართველოს ჩემპიონატზეც. ამ ცოტა ხნის წინ კი, ქ. ზესტაფონში გამართულ სიმონ საყვარელიძის სახელობის ფარიკაობის რესპუბლიკურ ტურნირზე – 2000-2002 წ.წ.-ში დაბადებულ გოგონათა შორის (ნატა დაიბადა 2004 წელს) III ადგილზე გავიდა (თავის ასაკობრივ კატეგორიაში III ადგილზე გავიდა ნატას ძმაც, გიორგი ხარაიშვილი). წინასწახალწლო დღეებში ნატამ გოგონათა შორის 2015 წლის თბილისის თასიც მოიპოვა.

- როცა ჭადრაკს თამაშობ და ცაიტნოტში ხარ, მოფიქრებისთვის დრო გაქვს. აქ კი ზუსტი რეაქცია წამის მუხედებში უნდა განავითარო. ნატა სწორედ ასეთია – გონიერი, სწრაფი, უკომპრომისო, ფლობს კარგ ტექნიკას. მჯერა, ქვეყნას ერთი წარმატებული მოფარიკავე ეხრდება, - გვითხრა ნატას მწვრთნელი, საქართველოს მრავალჯგზის ჩემპიონმა სვეტლანა სვანიძემ.

ერთ-ერთ მსაჯს, რომელიც შეჯიბრის დროს ნატას ორთაბრძოლას აკვირდებოდა, მისთვის „რიკოშეტი“ დაურქმევია: ძნელი გამოსაცნობია, საიდან რა ილეთით გიპასუხებს, რა მოულოდნელი სიურპრიზით გაგაოცებს.

იცნობდეთ: ნორჩი მოფარიკავე – ნატა ხარაიშვილი, მეტსახელად „რიკოშეტი“.

### გილორჯეთ – დავიძახსოვრეთ!

- ვნერვიულობ სცენაზე გასვლამდე; სიმღერას ვიწყებ და მალევე ვმშვიდდები. ეს იმიტომ, რომ მარტო ვრჩები ბგერებთან და მესმის მხოლოდ საკუთარი ხმა და აუდიტორიის სიჩუმე...

ეს ელენე კოკაიაა, რუბრიკა „წარმატებული ნინგელები“ ერთ-ერთი რჩეული.

13 წლის ელენე კოკაია 39-ე საჯარო სკოლაში სწავლობს; ათოსანია; არის სახელგონებო სკოლა „აფხაზეთი – 2-ის“ საესტრადო ანსამბლის სოლისტი; მოიპოვა მერიის კულტურის სამსახურის ერთწლიანი სტიპენდიაც.

ძალიან პატარა იყო, მაგრამ კარგად ახსოვს მაყურებელთან პირველი შეხვედრა სიმღერით - „თოვლის ფანტელი“. ეს იყო 6 წლის ასაკში, არაყიშვილის სახელობის სოხუმის სამუსიკო სკოლის სცენაზე.

მართალია, მამასავით იურისტობაზე ოცნებობს, მაგრამ მუსიკა მისთვის მუდამ განწყობაა, სულის ნაწილივითაა, მოსაფერებელი, გასაფრთხილებელი.

გვესაუბრა საკუთარ წარმატებებზეც:

ბავშვთა და მოზარდთა კლასიკური მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალზე - „იპოვე შენი ვარსკვლავი“, სადაც შესრულდა ცნობილი კომპოზიტორების ცნობილი სიმღერები, ელენე კოკაიამ ვაჟა აზარაშვილის „დაკარგული სიყვარულით“ ლაურეატის წოდება მოიპოვა.

მუსიკალურ კონკურსზე „ჩემი საქართველო აქ არის“ - 100 მონაწილეს შორის დაიკავა მეორე ადგილი.

2015 წლის დეკემბერში საქართველოსა და თურქეთის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა „ენისა და კულტურის XIV საერთაშორისო ფესტივალი“, სადაც მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის წამყვანი სამუსიკო სკოლების აღსაზრდელები. აფხაზეთს წარმოადგენდა მხოლოდ ელენე კოკაია.

კომპეტენტური ჟიური, მათ შორის, უცხოელებიც, აღაფრთოვანა ელენე კოკაიას სიმღერამ „კახეთი“.

- ფლობთ ბგერათა იშვიათ დიაპაზონს, რომელსაც უნდა გაუფრთხილდეთ. ვოკალურ მონაცემებთან ერთად თქვენი სიმღერა გამოირჩევა ბუნებრივი სისადავით; იმდენად მელოდიურია, რომ გამოვხატავ ჩემს სიმპათიას და გილოცავთ: დავიძახსოვრეთ, - აღნიშნა ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა.

ფესტივალის პროექტის შესაბამისად, პირველ სამ ადგილზე გასული ლაურეატები ახლო მომავალში მონაწილეობას მიიღებენ აზიისა და ევროპის მნიშვნელოვან საბავშვო-მუსიკალურ კონკურსებში.

ელენე კოკაია მეორე ადგილზეა.

დავულოცოთ მას შემოქმედებითი გზა და ვუსურვოთ წარმატებები!



ელენე კოკაია



სერბო ოპოზიციონერი

სოხუმელი პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი სერგო ნურნუმიძე იხსენებს თავის ყოფილ ლექტორს, ან გარდაცვლილ ვახტანგ ვახანიას, რომელიც სოხუმის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე XIX საუკუნის დიფერენციალური კალკულუსს ასწავლიდა. პროფესორ ვახტანგ ვახანიას პიროვნების, მისი ცოდნისა და ნიჭის, არაორდინარურობის, მის მიერ იმპროვიზირებულად ჩატარებული ლექციების შესახებ ლექციები მისსავე სოციალურ ცხოვრებაში იქმნებოდა.

ლექციებისას დადიოდა ამბავი ბავშვი ვახტანგის სახელის შესახებაც. უნივერსიტეტში სწავლის დროს დიდ ნივთს ვეცხოვედეს მისთვის, როგორც გამორჩეული სტუდენტისთვის, „ვახტანგით“ შეუძვლია დარქმეული სახელი.

სერგო ნურნუმიძე წერს: „იმ კაცს, გზაში რომ საუთარ თავს ედარაჯებდა, ცუხების ცმაცუნს არ სჯერდებოდა და ხელების უცნაურ მოძრაობებსაც აყოლებს, უკანმოდევნებულ ქორ-მართარს რა გამოუდევს, მერე და მერე

მოსრულ ხმებად ან სუდაც, ლექციის შიგნით რომ აეღვივებოდა მის პიროვნებას“. ყველას, ვისაც ვი სოხუმში ბავშვი ვახტანგის ლექციების მოსმენის ბედნიერება ჰქონია, თავისი ვახტანგ ვახანია ჰყავს. სერგო ნურნუმიძეც ერთ-ერთი მათგანია.

პუბლიკაცია\* მოგვანოდა ვახტანგ ვახანიას ქალიშვილმა, პროფესორმა - ნინო ვახანიამ.

## ახლაც ხეის ვხედავ: უძინარით მნათისკენ ხელგაშვერავს..

სერბო ოპოზიციონერი

### უკანასკნელი შეხვედრა



ვახტანგ ვახანიას  
სტუმრები ბობონასთან ერთად

1993 წლის დამლევი. შუა ზამთარი – უმკაცრესი, უსასტიკესი.

ცენტრალური ფოსტა-ტელეგრაფის შენობის კუთხიდან ორი ფიგურა გადმოუხვევს და ჩემკენ მოიბრუნებს პირს. რომც გვინდოდეს, ერთმანეთს ვერ ავცდებით. ქალბატონი და მამაკაცი.

მამაკაცი, მიუხედავად წვერისა, ადვილად საცნობია. იგი ჩემი სოხუმელი პედაგოგი, პროფესორი ვახტანგ ვახანიაა. ქალბატონი, ცხადია, მისი მეუღლეა. შევეხმიანები, გადავკოცნით ერთმანეთს. მოვიკითხავ, სოხუმიდან გამოსვლის ამბებით დავინტერესდები. ჩემსასაც მოვუყვები მოკლედ, როგორც შემთხვევით შეხვედრას შეეფერება.

თავად უფრო ჩაღრმავებით მომითხრობს სოხუმში ჩარჩენის ამბავს. ჩემით ვხვდები, იქ დარჩენის, ოჯახთან ერთად არწამოსვლის მოტივი რაც უნდა ყოფილიყო: თავის

ილუზორულ-რეალურობის ზღვარზე არსებულ სამყაროს – თავის წიგნებს, კაბინეტს ვერ მოშორდებოდა. ეს სამყარო უნდა გადაერჩინა, ათწლეულების რუდუნებითა და თავგადაკლული შრომით რომ ჰქონდა შექმნილი. თავისი ცხოვრების უმთავრესი საზრისი და მიზანი უნდა აერიდებინა ხელმრუდეთა ხელყოფისგან.

მომითხრობს, როგორ გახდა იძულებული, მაინც მიეტოვებინა თავისი ნალოლიავე-

\* - იბეჭდება შემოკლებით.





ნასათუთევი სამყარო, თავისი ბუნებრივი საარსებო სივრცე... და უცებ, თითქოს არაფრით გამოწვეულ, უადგილო შეკითხვას სვამს: აქ ახლოს ბიბლიოთეკა ხომ არსად გეგულებათ (!) შეწუხება რომ შემატყო, მეუღლემ, თავადაც შეწუხებულმა, უთხრა: რა დროს ბიბლიოთეკაა, ვახტანგ, ჭერი გვაქვს მოსაძებნი. ბიბლიოთეკა მჭირდება, კაცო, ბიბლიოთეკა! – შუბლშეჭმუნნილმა თავისი ყრუდ მუღერი ხმით ჩაილაპარაკა და უმწეოდ ჩაიქნია ხელი.

მზერით მივაცილებ უკვე კარგა მანძილზე დაშორებულ წყვილს. მახსენდება სოხუმი, როგორ მოდიოდა რედაქციაში და მითანხმდებოდა, დედაქალაქიდან მისთვის სასურველი წიგნები ჩამომეტანა.

აი, ამ წიგნებს მოწვევტილი კაცი ითხოვდა ბიბლიოთეკას, ნაცვლად იმისა, როგორმე ჭერის პრობლემა გადაეჭრა ოჯახისთვის...

### განუმეორებელი იმპროვიზაცია

ბატონი ვახტანგი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიას გვიკითხავდა. მისი ლექცია ერთიანი იმპროვიზაცია იყო, ყოველი ახალი შეხვედრისას სრულიად მოულოდნელი და განუმეორებელი. არასოდეს ყოფნიდა ორი გადაბმული აკადემიური საათი, პლუს შესვენების ათი-თხუთმეტი წუთი. გვახსოვს თითებით ხვინჩამოწვდილი ბატონი ვახტანგიც, კარებთან თხოვნით რომ დახვდებოდა მომდევნო ლექციის ლექტორს, კიდევ ერთი საათი დაეთმოთ მისთვის. და ჩვენ ისევ XIX საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების ორომტრიალში ვიძირებოდით.

ერთადერთი, რასაც შეეძლო მისი წონასწორობიდან გამოყვანა, სტუდენტს თუ უყურადღებობას შეატყობდა. კაცო, - ყელს ამოიმწვედევდა მუჭში, - მე აქ ქაქანით, ლამის, ხუნავი გამიჩნდეს, ამათ კი ამის ჯავრიც არა აქვთ!.. წამებიც არ გრძელდებოდა ეს მდგომარეობა, სად ჰქონდა ბატონ ვახტანგს უქმად დასაკარგი დრო! – მაღევე ჩვეულ სტიქიაში შეჭრილი გვერუდუნებოდა: „გრიგოლ ორბელიანმა, გადასახლებისკენ მიმავალმა, მცხეთას რომ ჩაუარა, სვეტიცხოველში შევიდა, თავისი დიდი პაპის – ერეკლეს საფლავის ლოდზე მუხლი მოიყარა, მტვერი გადაწმინდა (ამ სიტყვებს წარმოსახვით სიბრტყეზე

ჩვრის გადასმის იმიტაცია ახლდა) და გულმდუღარედ დაიტირა - „დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!“ მერე დაამატებდა: მტვერი გადაწმინდა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ გადაწმინდა, აბა, რას იზამდა!..

წარმოიდგინეთ ეს ყოველივე და მიხვდებით, რად ვუსმენდით ბატონი ვახტანგის ლექციებს ასე ყურადღებით...



ვახტანგ ვახანიანი კათედრის სხდომაზე (წინა რიგში - მარჯვნიდან მეორე)



## უცნაურობებს რა შემოაქვთებდა?



ვასტანბ ვასხანია - აუფიტორიაში, ვილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად

მეორე თუ მესამე შეხვედრაზე მოგვითხვია, შვიდ-შვიდი ცალი ორმოცგვერდიანი ე.წ. „ცალხაზიანი“ რვეული შეგვეძინა, აგვეკინძა სტამბაში და სქელ ყდაშიც ჩაგვესვა; ყოველ მეთერთმეტე გვერდზე მიგვეწერა ჩვენი სახელი, გვარი და რეგალია. საიდან უნდა მოვიტანოთ-თქვა, ავუხირდით. არ ვიცი, საიდანაც გინდათ, მოიტანეთ! სოხუმში არ არის, დრანდაში იქნება, დრანდაში არ არის, გულრიფში იქნება, ოჩამჩირეში, გალში, ზუგდიდში; ზუგდიდშიც თუ არ არის, თბილისში იქნება!.. რომ არ მოიტანოთ, სიცხეს მომცემს,

ჭკუიდან შევიშლები, გავგიჟდები!  
მომდევნო ლექციაზე, როგორც ერთს, ყველას აქვს მოტანილი რვეულები და კმაყოფილი გვეგონია, მაგრამ, თურმე, მაინც აქვს ბუზღუნის მიზეზი: ხელში რომელიმე ჩვენგანის რვეული უჭირავს, ფურცლავს და ამბობს: კაცო, ილიას აფიცრისა არ იყოს, დენშიკს შაქარი რომ არ მოეპარა, ბუზი ჩაამწყვდია საშაქრეში და დენშიკიც ვეღარ პარავდა, ბუზი გაფრინდება და უფროსი შემიტყობსო. ამ „ცალხაზიანებით“ სხვისი რვეულების შემოტყუებას მეც მოვუარე! - მერე ფიქრში წასული ამატებს, - მაგრამ, როგორც იმ აფიცრმა არყის მოპარვას ვერაფერი მოუხერხა, ბუზი სითხეში იხრჩობოდა, ერთიმეორისგან გადაწერას მეც ვერაფერი მოუხერხე!..

„თავისიანად“ როდის მიმიღო, არ იკითხავთ? ყველაფრის თავიდათავი სრულებით უწყინარი ფანქარი გახდა, ჩვეულებრივი, შავი ფანქარი. სტუდენტებს ძალიან გვაინტერესებდა სამი განუყრელი ფანქრის ამბავი, მუდამ თან რომ ჰქონდა პიჯაკის გარე გულისჯიბეში. ლექციის დაწყებამდე უნდა ამოეღო მარჯვენა ხელის გაშლილ ოთხთითსა და ცერს შორის მომწყვდევულად, ბლაგვი ბოლოებით დაეკაკუნებინა კათედრის კიდზე, მეორე ხელით ამოერჩია მოკლე მათგანი და მისი ჰაერში მოძრაობის ტაქტზე, თითქოს ღირიჟორის წკირია და შეუმჩნეველი სიმფონიის შესრულებას უწესრიგებსო, ლექცია წაეკითხა.

იმასაც შევსწრებივართ, ლექციის ჩასატარებლად შემოსულს უეცრად ელდა როგორ ეცა, როცა ჯიბეზე ხელი მოისვა და იქ ფანქრები არ დახვდა, როგორ გაგარდა ოთახიდან და დაბრუნებულს როგორ დასთამაშებდა კმაყოფილების ღიმილი სახეზე, რაკი ფანქრები ხელთ ეპყრა.

ჰოდა მე, რაკი მხატვრობით გატაცებულს, ფანქრების ათასნაირი კოლექცია გამაჩნდა, როგორღაც მომაფიქრდა, ბატონი ვახტანგისთვის რამდენიმე ფანქარი მეჩუქებინა. აი, ამ ფანქრების გამეცებამ გამხადა „მისიანი“.





**დროშების ფრიალი კი არა...**

სტუდენტის შესაფასებლად და ნიშნის დასაწერად დასაკარგი დრო სად ჰქონდა! ბრწყინვალედ იცოდა, ვინ რისი შემძლებელი და გამკეთებელი იყო.

დამამთავრებელ გამოცდაზე ნულები და ჩხირები დაგვიწერა უბის წიგნაკში. მცირე „დათათბირების“ შემდეგ ისინი უწყისში სათანადო ნიშნებად გარდაიქმნა და გულდაწყვეტილიც არავინ დატოვა.

სწავლაში გულმოდგინება იყო მისთვის სტუდენტებთან ურთიერთობის უპირველესი კრიტერიუმი. წლების შემდეგ აფხაზეთში სიტუაცია რომ აირია და ქუჩაში გასულმა მოძრაობამ სტუდენტობაც გაიყოლა, ქალაქის რომელიმე უბანში შემთხვევითი შეფეთების დროს გულისტკივილით „შემომჩივლებდა“:

„ბიჭო, აუდიტორიების მიტოვება და დროშების ფრიალი კი არა, ბეჯითად სწავლა და მეცადინეობაა სწორედ სამშობლოს სიყვარული და პატრიოტიზმის ჭეშმარიტი გამოვლინება. ყველამ თავისი საქმე თუ არ აკეთა, უვიცი თაობა წამოვა და ქვეყანა უბედურებაში გაეხვევა!“

არ ახდა წინასწარმეტყველის სიზუსტით ნათქვამი მისი სიტყვები?!



სოხუმის უნივერსიტეტის ეზოში. ცენტრში - ვახტანგ ვახანიანი

**ომამდელო სოხუმის ერთი სტამო**

ომამდე დიდი დრო არ ყოფილა დარჩენილი. ჰოდა, ერთ, სოხუმური არაჩვეულებრიობით გამორჩეულ სადამოს ჩემი სიმამრისა და ბატონი ვახტანგის ძველი მეგობრის – გივი ფრუიძის ოჯახში შევხვდით ერთმანეთს. მოვილხინეთ შესძლებისამებრ. დადგა განშორების ჟამიც. გამოვედით ქუჩაში მე და ბატონი ვახტანგი. მიაბიჯებს, მეც გვერდით მივყვები.

აიხედავს მაღლა, სახეს მთვარისკენ ააპყრობს, თითქოს უნდა, წვიმის წვეთებით დაეშხეფოს მისი სხივები. მერე თითქოს გაბრწყინებულ მნათობს უნდა შეწვდესო, ნაღველნარევად, თავისთვის ამბობს: „ეეჰ, რა ქვეყანა უნდა დატოვოს კაცმა?!“ მე ვღუმვარ. ამ წამის წახდენა როგორ შეიძლება როყო სიტყვით?.. მერე ჩაიქნევს ხელს და თავისი განუმეორებელი მოძრაობით, პიჯაკის საყელს ერთი ნაწილიდან ბეჭისამოგდებით, ოდნავი რწევით განაგრძობს გზას.

მეტი შეხვედრა სოხუმში აღარ გვეწერა, თურმე. შორიდან მაინც ვიგებდი მის ამბავს. ერთ-ერთ მის ლიტერატურულ პოლემიკასაც გავადევნე თვალი, რომელიღაც გაზეთის ფურცლებზე რომ იბეჭდებოდა.

გვიან მოვიდა მისი გარდაცვალების ამბავიც ჩვენამდე. ისე გვიან, უკანასკნელ გზაზე გაცილებაც აღარ მომიხერხდა.

ბატონი ვახტანგი რომ გამახსენდება, ისევ ის სურათი მიდგას თვალწინ: სოხუმის შუაღამის, მთვარის რძით ამოვსებულ ქუჩაში სახე და ხელი უძინართა მნათისკენ აუშვერია და შესჩივის ნაღველიანი კილოთი:

„ეეჰ, რა ქვეყანა უნდა დატოვოს კაცმა?!“



მზია რამაძე

გამომცემლობა „ნიგნი+ერმა“ (შპს „ემ-პი-ჯი“), რომელიც დაფუძნდა 2009 წელს, „ჩვენი ღირსებანის“ სახელწოდებით გამოცემა თემაცურად და შინაარსობრივად მრავალფეროვანი, პოლიგრაფიული ღირსებით გამოირჩეული ცომები (8 ნიგნი უკვე გამოცემულია; დარჩენილია 2 ცომი).

მოხარდთათვის განკუთვნილია შემეცნებითი ხასიათის ამ საუკეთესო პროექტმა თავი მოუყარა სულიერ და მაცერიალურ სიმდიდრეს, იმ ნაციონალურ ფასეულობას, რაც მხოლოდ ჩვენი ერის საკუთრებაა.

თითოეული ცომი იხსნება უნიმინდუსისა და უნეცარუსის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის - ილია II-ის წინასწარმით, ფრანგმეცნიერთა ერთ-ერთი ქადაგებით:

„ამ გლობალიზაციის პროცესში... უნდა დაინეროს სოლიდური ნიგნი, სადაც მიიღებენ მონაწილეობას მეცნიერებათა ყველა დარგი, უნივერსიტეტი. კონკრეტულად ქართველმა ხალხმა და მთელმა მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ საქართველო არის მნიშვნელოვანი არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი, ეროვნული და მაცერიალური ფასეულობებით“.

„ჩვენი ღირსებანის“ ილიის ავტორია „ნიგნი+ერმა“ დამფუძნებელი - ჯანაყ ხუნაშვილი. პროექტის მნიშვნელობაზე გვესაუბრა ნაძრომის რედაქტორი, გამომცემლობის დირექტორი - მზია რამაძე.

### "ჩვენი ღირსებანი" - გამოცემა მოზახეთის

კომერციული საგამომცემლო სახლის „ნიგნი+ერმა“ შექმნისთანავე დავიწყეთ ფიქრი იმაზე, რა უნდა გამხდარიყო ჩვენი ცენტრის ბრენდი. პაატა ხუნაშვილს – ჩემს ვაჟს დაებადა საინტერესო იდეა – შექმნილიყო ღირებული ნაშრომი საქართველოს კულტურული, სულიერი და მატერიალური ფასეულობების შესახებ, გვესაუბრა იმ პრიორიტეტებზე, რაც ქართველებს ყველაზე მეტად წარმოგვაჩენს მსოფლიოში.

რამდენიმე დღეში ტელევიზიით მოვისმინეთ პატრიარქის საშობაო ქადაგებაც. მან ბრძანა, რომ უნდა შეიქმნას სოლიდური ნაშრომი, რომელიც მეცნიერებთან ერთად გადაამუშავებს ყველა იმ ცოდნასა და ინფორმაციას, რაც გაგვაჩნია საქართველოს შესახებ და რაც მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში.

ეს მივიჩნიეთ დღის მადლად, ბედნიერ დამთხვევად, საჯარო კურთხევად. ასე შევუდექით პროექტზე მუშაობას. თემების შესაბამისად მოვიწვიეთ მეცნიერები, დარგის წამყვანი სპეციალისტები, მხატვრები.

ლოგიკური იყო, რომ პირველი ტომის პირველივე ქვეთავი საეკლესიო სიწმინდეებს დაეთმო; შემდეგი რუბრიკა კი – სამშობლოს იდენტობად მიჩნეულ „ქართულ ენასა და დამწერლობას“; „ქართული ვაზიც“ და „ხორბლის კულტურაც“ ამ წიგნში შევიდა.

აქ საუბარია ვაზის იმ საღვინე ჯიშებზეც, რომელიც პერსპექტიულია აფხაზეთის, კერძოდ, გუდაუთის მევენახეობის რეგიონებისთვის. ეს სახეობებია: ამლახუ, ავასირხვა, კაჭიჭი.

„ჩვენი ღირსებანის“ პირველი ტომი მადლიანად აღმოჩნდა და პოპულარულიც. მისმა საერთო ტირაჟმა უკვე 6500-ს გადააჭარბა.

ფლორასა და ფაუნაზე საუბრისას (II-III ტომები) განსაკუთრებულად გამოვყავით წითელ წიგნსა და წითელ ნუსხაში შესული, ვიწრო ლოკალური გავრცელების სახეობები, თითოეულისთვის დამახასიათებელი ენდემური\* კრიტერიუმით.







ცალკე თავი დაეთმო არაერთი უცხოური სიგელისა და მედლის მფლობელ ქართულ ფუტკარს, რომელსაც თურმე ყველაზე გრძელი, ღრმა წვდომის ხორთუმი აქვს; ვსაუბრობთ, აგრეთვე, თუთის უნიკალურ, გადაშენებულ ჯიშებსა და კარგად მივიწყებულ აბრეშუმის იშვიათ სახეობებზე, რომელთა პოპულარიზაციით ქართული აბრეშუმის წარმოება აქტუალური უნდა გახდეს საქართველოსთვის.

ქართული აბრეშუმისგან დაგრეხილი თოკით – კაპტალით იკერებოდა უძველესი ხელნაწერები. ავსტრიის ქ. გრაცში გამოცემული კაპტალის მსოფლიო ნიმუშების კატალოგში შეტანილია ქართულ ხელნაწერთა კაპტალის ნიმუშიც, როგორც ერთ-ერთი უძველესი და უღამაზესი. ჩვენს ნაშრომში სწორედ ამ კაპტალის ფოტორეპროდუქცია შევიდა.

დღემდე არ გვქონდა ქართული ენდემური სოკოების გარეგნული ნიშნები. სამწუხაროდ, აქამდე ვსარგებლობდით რუსულენოვანი ატლასებიდან გადმოხატული სახეობებით, რომელიც არ შეესაბამებოდა ჩვენი სოკოების შეფერილობას.

პროექტში იკვეთება სხვა ექსკლუზივებიც: აქამდე არ არსებობდა და სამუშაო ჯგუფმა შევქმენით საქართველოში მობინადრე ცხოველებისა და ფრინველების ილუსტრაციები. ზოოლოგთან ერთად მუშაობდა მხატვარიც. ისინი სკურპულოზურად ამუშავებდნენ თითოეულ ენდემურ ნიშანს, ფერს.

ჩვენდა გასაოცრად, ამდენი საუკუნის ისტორიის მქონე ქვეყანას არ გააჩნდა ფერადად ილუსტრირებული ენდემური ცხოველებისა და ფრინველების ფოტორეპროდუქციები.

პროექტის ფარგლებში აფხაზეთი განყენებულად არ განგვიხილავს; მაგრამ არქიტექტურა იყო ეს, ფოლკლორი, მუსიკა, თეატრი, ქორეოგრაფია, მხატვრობა თუ ბუნების ძეგლები, რითაც მნიშვნელოვანია აფხაზეთი საქართველოს სხვა კუთხეების დარად, თემატურად რვავე ტომში მეტ-ნაკლებად გადანაწილდა.


გამოსაცემად მზადაა კიდევ ორი ტომი – „ქართული ხალხური მედიცინა“ და „კულინარიული ხელოვნება“. კვების რეცეპტებთან ერთად მკითხველს შევთავაზებთ ამა თუ იმ კერძის ისტორიას ეთნოგრაფიულ თავისებურებებთან ერთად.

თუ ღვთის ნება იქნა და მკითხველთა მოთხოვნაც, გავაგრძელებთ პროექტის სერიულ გამოშვებას; საშურად მიგვაჩნია, მოზარდთათვის გამოცვით ნაშრომები ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და ქართულ ხელნაწერთა თავგადასავლის შესახებ.

თავიდან საკმაოდ ბევრი ვიფიქრეთ იმაზე, როგორ დაგვესათაურებინა ნაშრომი. მამა გელასმა (ნატრიაშვილი), ჩვენი ოჯახის მოძღვარმა, რომელიც დღეს პირველ კლასიკურ გიმნაზიასთან არსებულ ეკლესიაში მოღვაწეობს, შეგვირჩია ეს ძალზე ზუსტი და მრავლისმთქმელი სათაური – „ჩვენი ღირსებანი“.

სიამაყით მინდა აღვნიშნო ერთი სასიამოვნო ფაქტიც: საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის მიერ შარშან ორგანიზებულ საბავშვო წიგნის ფესტივალზე პროექტი დაასახელეს გამარჯვებულად (მაშინ მხოლოდ 4 ტომი გვქონდა გამოცემული), როგორც მოზარდთათვის განკუთვნილი საუკეთესო შემეცნებითი ნაშრომი. სიგელი პატრიარქის ხელმოწერითაა.

ძალისხმევა, მონდომება არ დავიშურეთ, რათა ჩვენი წინაპრების მიერ დაგროვილი სულიერი სიმდიდრე, ცოდნა გადაგვერჩინა და ყოველივე ეს სამეცნიერო-პოპულარული ენით მიგვეწოდებინა მკითხველთათვის.



„ჩვენი ღირსებანის“ ბოლო - VIII ტომი.



„ხარობს მხროლელ აფხაზეთში“ - „იანქნის“ ეს სახელი რუბრიკა, რომელიც, ვფიქრობთ, დააინიცირეს მოზარდებს, სწორედ „ჩვენი ღირსებასის“ III ტომში წარმოდგენილმა საქართველოს ფლორის ენდემურმა სახეობებმა გვიკარნახა.

ამჯერად ვისაუბრებთ კავკასიის მთის შროშანზე, რომელიც მხროლელ აფხაზეთის ცყე-პარკებს, მთისა და ბარის ხეობებს ამშვენებს.

როგორც წიგნის ანოცაციაშია მითითებული, მკითხველი გაეცნობა წითელ წიგნსა და წითელ ნუსხაში შესულ არაერთ იშვიათ სახეობას. გამოცემა მდიდარია უნიკალური, ფერადი ილუსტრაციებით, რომელთა მოძიება, ნათქვამია იქვე, „სხვაგან გაგიძნელებათ“.

## კავკასიის მთის შროშანი\*

ლამარა ასიეიშვილი



ეს მცენარე ჩვენი ფლორის უიშვიათესი, „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ვიწრო გავრცელების ენდემია.

ხარობს კავკასიის შავი ზღვის სანაპირო ზოლში.

საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ აფხაზეთში.

გვხვდება მისი ძალზე იშვიათი რამდენიმე სახეობა (გვარის 80-მდე სახეობიდან).

იზრდება მთის 1000-1100 მეტრის სიმაღლეზე მუხნარ, წიფლნარ, წაბლნარ ტყეებში. იშვიათად, მაღალ ბალახეულობაში, ტყის პირებზე, ველობებზე.

მცენარე 60-80 სმ-მდე სიმაღლისაა; ღეროზე ფოთლები სამ წრედაა განლაგებული; ივითარებს მოგრძო, წვეროსკენ

შევიწროებული ფორმის 5-10 ყვავილს; ის იასამნისფერ-ვარდისფერია, მუქი წინწკლებით მოფენილი.

შროშანი ყვავილობს აპრილ-მაისში; ნაყოფს ისხამს ივლის-აგვისტოში.

მრავლდება ბოლქვით, ქერქლებითა და თესლით.

ხასიათდება კარგი ზრდა-განვითარებით.

კავკასიის მთის შროშანი გამოიყენება ლანდშაფტურ არქიტექტურაში;

შეუდარებელია სასელექციოდ და სათაიგულებად.

შემცირების მიზეზი: მაღალდეკორატიულობის გამო მოსახლეობის მიერ დიდი რაოდენობით შეგროვება.





კრასო6 ხიმორსპო

ბუღგარედმა ჰოეცმა კრასინ ხიმირსკიმ (დაიბადა 1938 წელს) ლექსების წერა სკოლის მერხიდან დაიწყო. სისყმაცურად იბეჭდებოდა ღიყერაცურულ და ჰერიოლულ გამოცემებში. მრავალი ჰოეყური კრებულისა და ჰროზაული ნანარმოების აყვორია. მისი ლექსები და მოთხრობები თარგმნილია 25 ენაზე. ფლობს რამდენიმე უცხო ენას და თავდასყ თარგმნის მსოფლიოში ცნობილ აყვორთა გახმაცურებულ ნანარმოებებს. მთარგმნელობითი და შემოქმელებითი სექმიანობისთვის დაჯიღლოებუღია სხვადასხვა მეღღითა და ორღენით. ბუღგარეთის სავარყო სექმეთა სემინისსყროში ნღების მანდიღზე ეწოღდა ღიჰლომაცყო რექმიანობას. სექართვეღოთი მოხიბღუღმა არაერთი ჰოეყური ნანარმოები შექმნა.

თარგმნა ნუნუ ჯანელიძემ

### მშობლიური სახლები

ჩვენი სახლები, მშობლიური, მოჰგავს ყარყატებს –  
- თეთრ გორაკებზე შემოფენილ ფრთათეთრ ყარყატებს.  
გაღაეფარა მათი შღიღი ფრთები ჰოროზონტს ისე, ვკანკაღებს, რომ არ აფრინდღენ.  
მათ ირგვღივ თეთრი გზები ირევა, დეღები მზრუნვეღი, პირქუში მამები.  
ჩვენ კი მივღივართ და მოვღივართ, რომ დრო გაეხეღნოთ, ვტეხოთ ყამირი.  
და მერე ტურფა საცოღესთან ერთად, ვბრუნდებით ერთი პეში ნამცვრევეით.  
ვბრუნდებით, რათა გამოვიზამთროთ ხანგრძღივად და განვმეორღეთ შვიღებში და შვიღიშვიღებში, როგორც დიღის ნამის ცრემღებში.  
გაზაფხულღება კვღავ – და გზები ახლღება ისე, რომ გაიყოღოს თან ფრთოსანთა ახაღი გუნღი...  
ჩვენი მშობლიური სახლები ჰგავს ყარყატებს, ფრთათეთრ ყარყატებს.



### როგორც უკანასკნელად

სვეტიცხოვლის ხუროთმოღვარს



მარჯვენა მისი უკვღავია, მარად უკვღავი!..  
ეს ტაძარი ხეობაში ვინაც აღმართა კავკასიის ქუღმოუხრეღ მთათა წინაშე.  
მოხიბღულმა საოცარი მისი მშვენებით გიორგი მეფემ განაჩენი გამოუტანა:  
- სიღამაზე ამგვარი რომ არ განმეორღეს – ხუროთმოღვარს მოჰკევეთონ მკღავი!  
მაგრამ ღვთის ნებამ გუმბათამღე აზიღა იგი, და იქ დარჩა, რათა ებრწყინა.  
ამ ეკღესიის კამარის ქვეშ დიღებულთა მიწიერმა ცხოვრებამ განვღო.  
და მე, ქართვეღი დიღოსტატივეით, ვით უკანასკნელს, ისე ვმღერი ყოვეღ სიმღერას, თუნდაც ამისთვის მარჯვენა მომჭრან.



დავით კობახიძე

ყოველდღიურობა სწავლასთან ერთად და მათ მიერ გაცემული უჩვეულო დღეებითაა მრავალფეროვანი, ღირსსაყვარელი. ზოგჯერ ძეიდებს, ხარმოდულგენდას დაუჯერებელი იყოს დიდ ჰიროვნებასთან დაკავშირებული ის ერთი დღე თუ შემთხვევა, დამახი კვადივით რომ რჩება ეპოქას.

მერე უკვე, ეს რომ არ ნაიძღვოს, მათ შესახებ გვიამბობენ არანაკლებ სწავლასთან ერთად თანამედროვენი, რომელთაც ცნობილ ადამიანებთან დაკავშირებულსა მეგობრობა, თანამშრომლობა თუ შემთხვევითი შეხვედრები.

„იღქანის“ ხედი რუბრიკა „ორნაცი თეთრ თურცებზე“ მუდმივად მოიძიებს სხვადასხვა ჰიროვნების სხვადასხვა ამბავს, თავდასაყვარებს, ძლიან უჩვეულოს, მნიშვნელოვანს.

რუბრიკის ჰიროველი სცუმარია ცნობილი რეჟისორი, თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი - დავით კობახიძე.

## დროსთან ჭიდილში

დავით კობახიძე

### მუსიკა ჭეშქის ვაშქი

არიან ადამიანები, რომლებთანაც შემთხვევითი შეხვედრაც კი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. ერთ-ერთ ასეთ გამორჩეულ პიროვნებაზე საინტერესო რამ მიამბო გიგა ლორთქიფანიძემ:

ეს ჩემს ახალგაზრდობაში იყო. მოსკოვში უნდა გაეფრენილიყავი და თვითმფრინავში ადგილის დასაკავებლად თადარიგი ადრიანად დაგიჭირე. სამსავარძლიან რიგში ილუმინატორთან მოკვალათდი. ერთი ადგილი ვიღაც ჯმუხმა, შუახნის მამაკაცმა დაიკავა, ხოლო ჩვენს შორის სავარძელი ჯერაც თავისუფალი იყო. თვითმფრინავის აფრენამდე ათი წუთით ადრე სალონში დიპლომატი ხელში შემოვიდა მსოფლიოში ცნობილი პიანისტი სვიატოსლავ რიხტერი, თავი თავაზიანად დაგვიკრა და ჩემსა და მეორე მგზავრს შორის ადგილი დაიკავა. რა თქმა უნდა, შემოსვლისთანავე ვიცანი ცნობილი მუსიკოსი, მაგრამ რაკი მისთვის უცნობი ვიყავი, გამოლაპარაკება ვერ გავბედე. სტიუარდესამ გაგვაფრთხილა, ქამრები შეგვეკრა და ლაინერიც აფრინდა. რამდენიმე წუთში თვითმფრინავი ჰაერში გაწონასწორდა და კვლავ გაისმა სტიუარდესას ხმა, შეგიძლიათ ქამრები მოიხსნათო. მგზავრები თავისუფლად ჩავეშვით სავარძლებში. უცებ შევამჩნიე, რომ რიხტერი აწრიალდა, ხან ჩემსკენ გამოიხედავს, ხან - მეორე მგზავრისკენ. ვიფიქრე, ფანჯარასთან ხომ არ სურს დაჯდომა-მეთქი. მერე უცებ, თითქოს ჩემდამი მეტი ნდობა გაუწნდაო, მომმართა: ბოდიში უნდა მოგიხადოთ, შეიძლება, დაუკრა? რა თქმა, უნდა, დაუკარით, - ამ შეკითხვით გაოცებულმა ვუპასუხე დიდ მანეტროს და ცნობისმოყვარედ დაველოდე, ამის მერე რა მოხდებოდა. იქაურობა მაინც

დაბნეულად მოვათვალიერე; სალონში, რა თქმა უნდა, ფორტეპიანო არსად ჩანდა.


რიხტერი წელში გასწორდა, დიპლომატი მუხლებზე დაიდო, იქიდან დაკეცილი მუყაო ამოიღო და გაშალა. ეს იყო კლავიატურა. მუყაოზე დახატული კლავიშები ჩვეულებრივი ფორტეპიანოს ზომისა იყო. რიხტერმა კიდევ ერთხელ მოგვიხადა ბოდიში და „დაკვრა“ დაიწყო. ეს არ იყო ვარჯიში ტექნიკაში ან თითების მექანიკური მოძრაობა. მე ვხედავდი, როგორი განცდით „ასრულებდა“ მანეტრო რომელიღაც მუსიკალურ ნაწარმოებს. მთელი ემოცია რიხტერს სახეზე, მზერაში ეწერა; თითების უფაქიხესი მოძრაობით ეხებოდა „თითოეულ კლავიშს“ და შინაგანი სმენით







აყურადებდა ნოტებს. მოსკოვში ისე ჩავედით, „დაკრა“ არ შეუწყვეტია. თითქმის ორსაათიანი ვირტუალურად შესრულებული ნომრის შემდეგ დაქანცულმა რიხტერმა ბოლო აკორდიც აიღო და „მუსიკა შეწყდა“. ემოციისგან დაცლილმა მუყაოს კლავიატურა აკურატულად კვლავ დიპლომატში ჩაკეცა და ლაინერის დაშვებას დაელოდა. სტიუარდესამ ისევ გამოგვიცხადა, ქამრები შეიკართო. თხუთმეტ წუთში მოსკოვის აეროპორტში დავფრინდით.



გენიალური თანამგზავრი თავაზიანად დაგვემშვიდობა და ჩვენი გაოცებული მზერაც თან გაიყოლა.

### ავხაზური მასპინძლობა

სოსუმში 80-იანი წლების დასაწყისში ჩავედი. მაშინ ორივე - ქართულ-ავხაზური დასი ჭანბას სახელობის თეატრში მოღვაწეობდა. ქართული დასის მთავარი რეჟისორობა ჩემთვის დიდი პატივი იყო. ავხაზებმაც და ქართველებმაც დიდი სიყვარულით მიმიღეს და უბადლო მასპინძლობაც გამიწიეს. თუ რამ მნიშვნელოვანი ღონისძიება, ჭირისა თუ ლხინის სუფრა იმართებოდა, პირველ რიგში - სტუმარიო, იტყოდნენ და სახლიდან სახლში, სუფრიდან სუფრაზე მეპატიუებოდნენ. თბილისელი კაციაო - ამ სიტყვებითაც განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას გამოხატავდნენ. ყურადღებას ისე შევეჩვიე, თუ გავიგებდი, სადმე სუფრა იშლებოდა, იმთავითვე თადარიგს ვიჭერდი.

ჩვენი ერთ-ერთი ავხაზი მსახიობი ცოლს ირთავდა და ქორწილი გუდაუთაში უნდა გადაეხადა. ჩვენი თეატრის დირექტორმა ალექსი არღუნმა მამცნო ამის შესახებ და ისიც, რომ ქორწილში ვიყავი დაპატიუებული. არღუნს დედა მეგრელი ჰყავდა, წარმოშობით ხეთიდან, ჩემი სოფლიდან, დედაჩემის თანაკლასელი; არღუნი ქართულსაც და მეგრულსაც შესანიშნავად ფლობდა, ქართველებიც ძალიან უყვარდა და ჩვენც მალე დავეგობრდით.

გუდაუთაში საღამოს ჩავედით; მასპინძელი ჭიშკართან შემოგვეგება, ეზოში გაშლილი სეფისკენ წაგვიძღვა და სუფრასთანაც დაგვსვა. თამადამ, როგორც კი შეგვამჩნია, ავხაზურად იკითხა, ვინ არისო. სტუმარიო, უპასუხეს. მერე აქ რატომ ხის? - გაიკვირვა მან. მასპინძელმა რაღაც უპასუხა თამადას და დაგვეტოვა. რამდენიმე წუთში მხრებზე თითების შეხება ვიგრძენი.

- **Сынok, пойдeм к нам,** - მომმართა უცნობმა რუსულად. მოვიხედე, ჩემს წინ მხცოვანი ავხაზი იდგა. მეც ფეხზე წამოვდექი. მან ალექსის ავხაზურად რაღაც გადაულაპარაკა და თანამესუფრემ მანიშნა, გაჰყვირო. არღუნს გაკვირვებულმა ვკითხე, თუ სად მიყვავდით. ყველაზე პატივსაცემ ადგილზე, მიპასუხა უხუცესმა ავხაზმა. უფრო საპატიო ადგილი ნეტა სად არის? - გავიფიქრე. ხელი გადამდო და იქით წამიყვანა, სადაც დანარჩენები, მასსავით მხცოვანები ისხდნენ; მათკენ მიმავალი დამინახეს და ათამდე უხუცესი ფეხზე წამოდგა. ადგილი გამინთავისუფლეს და შუაში ჩამსვეს. მაგიდაზე უკვე იდო ახლადგამოცვლილი თეფში და ჭიქა. მალე მივხვდი, სადაც იყო საპატიო ადგილი - ამ ავხაზ უხუცესებს შორის. რაც მე ვიგრძენი და განვიცადე, ეს იყო სტუმრისადმი განსაკუთრებული თავმდაბლობით გამოხატული პატივისცემა. თითქოს ერთმანეთს ეცილებოდნენ, ვინ უფრო მომაწონებდა თავს, ვინ რას მაწოდებდა, ვინ - რას. საოცარი სანახავი იყო ავხაზური მოწიწება, თაობებით გადაცემული სტუმარ-მასპინძლობის დაუწერელი ადათი,





როცა მხცოვანი მხოლოდ იმიტომ ეკრძაღვის მასზე ბევრად უმცროსს, რომ ის სტუმარია. მეც განსაკუთრებული რიდით განვეწყვე მათ მიმართ.

თანდათან მექორწილეებმა სმასა და მოღხენას უმატეს. თანაც, ვიყავით გუდაუთაში, სადაც სასმელის დაძაღება საქეიფო რიტუაღის ნაწიღია. ასხამს და ასხამს მერიქიფე აღვის ღვინოს. მე მიჭირს დაღევა, მერიქიფე კი მაძაღებს, გინდა თუ არა, ჭიქა გამოცაღეო. იგი არც მიცნობს და არც მერიღება. მე გარშემომყოფთა ხათრით იძუღებული ვარ, დაღვიო. მიმიღდ ვღგები და ჭიქას ხელს კვიღებ.

ეს შეამჩნიეს უხუცესებმა. ერთ-ერთმა მერიქიფეს აფხაზურად, თანაც, მკაცრად რაღაცაზე მიანიშნა. მანაც მობოღიშებით ხელი ასწია და სასწრაფოდ გამეცაღა. ამას ნუ შეაწუხებთ, სტუმარიაო, აღბათ ასე თქვეს და ჩემზე გამონაკღისი დაუშვეს.

უხუცესებს ისიც კი უკითხავთ აღექსისთვის, ახაღგაზრდა სტუმარს ხომ არ მოეწყინა ჩვენთანო. რა მომაწყენდა! კარგად ვარ-თქვა, ვუპასუხე აღექსი არღუნს აფხაზური სტუმარ-მასპინღლობით მოხიბღულმა.

გუდაუთაში გატარებული ის ერთი საღამო ღღემღე მაფორიაკებს და იმეღითაც მავსებს.

### ღიღი მსახიობის ჰასუხი

რუსთავეღის თეატრის მცირე სცენაზე სერგო ზაქარიადის მონაწიღეობით (კრეონტის როღს ასრუღებდა) მიხეიღ თუმაღნიშვიღის ცნობიღი სპექტაკღი - „ანტიღონე“ გაღიოღა.

თეატრმცოღენე ვახტანგ ქართვეიღიშვიღმა მითხრა, მოღი, სპექტაკღს დავესწროთო. უკვე მრავაღჯერ მქონდა ნანახი, მაგრამ ბატონ ვახტანგს ხათრი ვერ გაუუტეხე და დავთანხმდი. სპექტაკღის დაწყებამღე თხუთმეტი წუთი იყო დარჩენიღი. შესვღისთანავე თვაღში მეცა, რომ დარბაზი თითქმის ცარიელი იყო და განწყობა შემეცვაღა. ძაღაუნებურად მაყურებელი გადავთვაღე. მეჩვიღმეტე ვიყავი. ცარიელი დარბაზი მსახიობებს კი არა, მაყურებელსაც დაუკარგავს ხაღისს, მაგრამ რა გაეწყობოღა. ჩვეუღებისამებრ, რვა საათზე დაიწყო სპექტაკღი. მსახიობებმა (ანტიღონე - ზინაიღა კვერენჩიღაძე) ითამაშეს შესანიშნავად, მათთვის ჩვეული თავდავიწყებითა და პროფესიონაღიზმიტ.

სპექტაკღი რომ დამთავრდა, ვახტანგმა მითხრა, მოღი, შევიღეთ ბატონ სერგოსთან, კიღევე ერთი წარმატებული ღღე მიუუღოცოთო. მეც გავეყვი, მაგრამ კარებთან ნაცნობს გადავეყარე და შევეყოღდი. შორიღან მაინც შეგამჩნიე, როგორ გადასვენებუღიყო სკამზე ბატონი სერგო. ღუმიდა; ღიღი მსახიობს ემოციებისგან დაცღა სჭირღებოღა. ცოტა ხანში, საგრიმიოროში რომ შევეღი, ბატონი სერგო და ვახტანგი უკვე საუბრობღენ. ვახტანგმა სინანული გამოთქვა მაყურებლის სიმცირის გამო და მსახიობს ჰკითხა, აღბათ, რთულია თითქმის ცარიელ დარბაზში ითამაში.



- სიმართღე გითხრა, ჩემთვის არ აქვს მნიშვნეღობა, რამღენი კაცი დამესწრება. სავესე დარბაზი თუმიცა უკეთესია და გასახარი, მაგრამ იქ ერთი კაციც რომ იჯღღეს, მე იმ ერთისთვისაც ისევე ვითამაშებ, როგორც მაყურებლიტ გადაჭედიღი დარბაზის შემთხვევაში.

ვახტანგს გაუკვირდა.

- მე პროფესიონაღი ვარ, ვცხოვრობ და ვსუნთქავ სპექტაკღით. წარმოღგენაზე მოსულ იმ ერთ მაყურებელსაც უნდა აუუხსნა, როგორ ხღება სასწაული! ასეთი იყო ღიღი სერგო ზაქარიადე - შეუღარებელი მსახიობი, ვისთვისაც ითამაში მუღამ იყო მოცემუღლობა, პერსონაუთან ერთად ეცხოვრა სცენაზე.





წრემიები, წრიხები და ღიწრომები, უხვდაც რომ მიეცეს წოეცს, სწოლებითაც ვერ ასახავს მის შემოქმედებას. ესეც არ იყო, ძეუძლებელია, თვითკმაცოფიღმაც რაიმე ღირებუდი შექმნას. წოეცი მანინც სიყყვასთან ძეჭილებუდი, მარად მადიებელი, ცასთან მოღაწარაკუ მარცოსულია.

ახადგახრლაც წოეცის, ნიკაც (ნიკოლოზ) ფუცკარადის ღეწსებში, მიუხეღაცად მისი ასაკისთვის წარმოულგენელი მიღწევებისა, ჩანს თავმღაცბობაც, განმარცოეობაც თავის ფიჭრებთან და ცკივიღთან. ნიკაც მრაცადფეროვან და შემოქმედებითად სავსე ნანერებში 15 წღის ყმანვიღისთვის შუფერებელი აკადემიურობაც კი ჩანს, მაგრამ, ეჭვგარეძეაც, ნღებთან ერთად მოვაც სულ სხვანაირო სიღრმე, რასაც საკუთარი თავისაც და უფღის ძიებაც ჰქვიაც.

ვუსწოროვოთ ახადგახრლაც წოეცს შემოქმედებითი წინსვღაც.



წიკაც ფუჭკარადი



\* \* \*

ყვეღაც პაიკნი ვართ, ყვეღაც უფღის შვიღნი, ნუთუ, მეფეებმა გზები გაღადღობეს? ყვეღაც ერთი ხისგან არის გამოთღიღიღი, მხოლოდ სხვანაირო სეღლებით თამაშობეს.

\* \* \*

მე არ ვიციღი სახელი შენი, მოძებნაც არ მიციღია, რადგან უცნობის ვუაღი გშეგნის და მარტის ამინღია. და მიძინებულ დერეფანს მხოლოდ, შენი ნაბიჯი სურდა, იყავი მარტის ყვავიღი ბოლო, ბროწეუღების სუნთქვა.

\* \* \*

ღამე არის წყნარი, უსაშველო გაწცღაც... შეწ თუ გინღაც – წადი, არ წახვიღე ანღაც... სძინავოთ ანგელოზებს, საღღაც ღრუბელს მიღმაც, ზღვაც ანგრევეღაც ლოღებს, ისე ძღიერ წვიმღაც. დაავიწყღაცოთ ძაღღებს, რომ იყეფონ უნღაც, წვიმაც ღრუბლებს არღვეგეს, ქარი ხეებს ქურღაცავს. ანგელოზებს სციგაცოთ, მარტო ღარჩაც ქარიცი, არ დაღღიღაც წვიმაც, ცრემღაცოთა მიწანქარიოთ.





შოთიკო კობალია

შოთიკო ქობალიას მოგზაურობა ცაო-კლარჯეთში, საქართველოს ისტორიულ კუთხეში, ეს არის არა მარცო ფიზიკური, არამედ გონისმიერი მოგზაურობა ქვეყნის წარსულში, დღევანდელიობასა და მომავალში. შოთიკო, როგორც ყველა ახალგაზრდა, მაქსიმალისცია. მისი აზრები ზოგჯერ გვაოცებს კიდევ, მაგრამ, ამავე დროს, გვინათებს თვალსაჩინოს და უკიდუგანო სახაროვნო სივრცეს გვიხსნის.

ყური დავუგდოთ ორიგინალურად მოაზროვნე ახალგაზრდას, რომელიც კიდევ ერთხელ გვაფიქრებს კითხვაზე: საიდან მოვლივართ და საითკენ მივლივართ?

## რანი ვიყავით, რანი ვართ?..

შოთიკო კობალია

რამდენიმე დღით მომიწია ჩასვლა ტაო-კლარჯეთში, საქართველოს ერთ-ერთ ისტორიულ კუთხეში. სამარშრუტო მიკროავტობუსი გაჩერდა ვალეში, საქართველოს სასაზღვრო პუნქტთან.

სტანდარტული პროცედურების დასრულების შემდეგ უცნაური განცდა დამეუფლა – უსუსურობის განცდა. მსგავსი რამ არასოდეს მიგრძენია. ზუსტად მახსოვს: ეს მოხდა მყისიერად, როდესაც ქართულ მიწა-წყალზე გაშენებულ თურქულ სასაზღვრო პუნქტთან აღმართული, მაღალი ბოდის თავზე წითელ ფონში ჩაძირულ თეთრი ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულებას მოგვარი თვალი. დროშას ენერგიულად აფრიალებდა ქარი. მსგავსი ფრიალი არასოდეს შემიძინა ჩვენს ხუთჯგირიან ალამზე.

იქნებ, აქ არაფერ შუაშია ატმოსფეროს ნაკადის ნაზ ქსოვილთან შეხების ვიზუალური შედეგი? იქნებ, ჩემში აღძრულ უსუსურობის განცდას სულ სხვა შინაარსობრივი დატვირთვა ჰქონდა? გრძნობას, გულკანივით რომ ამოიფრქვა ქვეცნობიერის კრატერიდან?

ბოლოს და ბოლოს, ჩემს ძარღვებშიც ხომ ის სისხლი ჩქეფდა, მრავალჯერ რომ დაღვრილა თუნდაც იმ ადგილას, სადაც იმ წუთში ვიდექი.

ვინ იცის, ამ დროშის დანახვაზე რამდენ ქართველს რაინდული გულისძგერით შემოუკრავს ბუკისთვის, თავგანწირულად აღუმართავს ხმალი და ვაჟკაცურად შერკინებია მტერს!..

კილომეტრების დაფარვის შემდეგ შეგუდექით მთისკენ ზეაღმართული სპირალური გზის მორიგ ბილიკს, რომლის ბოლოში ჩვენს დიად წინაპრებს დროსთან და ჭირთან მოდავე – წმინდა ტაძრები აუგიათ.

მართლაც, განუმეორებელია აქაური ტაძრები, რომელთა თითოეულ ფრაგმენტშიც ქართველი ქრისტიანის დიადი სულისკვეთება იხატება. თითოეული ორნამენტი, თალი, ფრესკა – ეს ხომ ოფლითა და სისხლის ფასად გაწეული დვაწლია? ეს კი თავგანწირვაა.

ამ ტაძრების მშენებლობაში მონაწილე თითოეულ პირს ჩვენგან, თანამედროვე ქრისტიანი ქართველებისგან განსხვავებით, უკვე ხომ ჰქონდა აგებული საკუთარ სულში ღვთის სახლი?

განა ჩვენს მიერ მაღალი ტექნოლოგიებით მორთულ-მოკაზმული თანამედროვე ტაძრები მივა მათ მაღალი სულისკვეთებითა და თავგანწირვით აღმართულ ძეგლებთან?

წარმოდგენა მაინც გვაქვს, რა „სიტკობება“ უნდა ჰქონოდა ქრისტიანობაში გრიგოლ ხანძთელსა და მის მოწაფეებს, რომ რამდენიმე ათეული კილოგრამი







და ასობით ლოდი აეტანა იმ სიმაღლეზე, სადაც ახლა ხანძთის მონასტრის ნანგრევებია?

გავიხსენოთ, როგორ გასცა მსგავს კითხვას პასუხი წმინდა აბო თბილელმა: „მონათლე და მაშინ გახდები მისი სიტკბოების შეცნობის ღირსი.“

განა რა, ჩვენ მონათლულნი არა ვართ? საქართველოს მოსახლეობის 83% ხომ ქრისტიანია? – იკითხავს კაცი.

სამწუხაროდ, ნათლობა ერთ ღიდ ტრაგიკომედიას დავამსგავსეთ, ხოლო ქრისტიანობა კი ადამიანის ზღვასავით ბობოქარ და დინამიურ ბუნებაზე ილუზიურად აღმოცენებულ სტატისტიკურ მდგომარეობას, რომელიც ხშირად და, უკეთეს შემთხვევაში, კისერზე ჯვრის ჩამოკიდებითა და განსაკუთრებული დღესასწაულის წირვაზე სანთლების ანთებით შემოიფარგლება. თანაც, ვაი, მაშინ, თუ ნათლიის არჩევანში „შევეცდით“ და ეს ჯვარი ოქროსი არ აღმოჩნდა!

მას შემდეგ, რაც თურქულმა ხელისუფლებამ გონივრული სვლა განახორციელა და ქართველი მოსახლეობა თურქეთში უფრო ღრმად შეასახლა, ამით მან ისედაც სუსტი ცეცხლის უკანასკნელი ნაპერწკალიც საგულდაგულოდ ჩააქრო და თავი დაიხდვია მომავლის შესაძლო გართულებებისგან.

მიუხედავად ყველაფრისა, აქ, მით უფრო, იშვიათია ადამიანი, რომელსაც საკუთარი „გურჯისტანული“ წარმომავლობის საკითხს რაღაც ადგილი მაინც უჭირავს თავის გულში და ცოტა ხნით მაინც დაუმძიმებია გონება ამაზე ფიქრით. შეიძლება, ზერედედ, მაგრამ მაინც შეუსწავლია ქართველი ერის ისტორია, უცდია, შეეთვისებინა ქართული ენა; თუნდაც, დაემასხოვრებინა რამდენიმე ფრაზა.

საბედნიეროდ, ჩვენ შევხვდით ასეთ ადამიანს. მის შემხედვარეს ჩემს თავს შევეკითხე: განა ვინ არის მუხთალი ბედის მსხვერპლი, ის თუ ჩვენ, ჩვენივე ცნობიერების მონები – საქართველოში მცხოვრები ქართველები? ჩვენ, რომლებიც ქართულ ისტორიას, უკეთეს შემთხვევაში, იმიტომ ვსწავლობთ, რომ მისაღებ გამოცდებზე საგანი ჩავაბაროთ. ჩვენს მიერ წარმოთქმული ქართული სიტყვები გულმხურვალობის ზენიტში ხომ მაშინ ექცევა, როდესაც მთელი სულითა და გულით ვიგინებით?


დღევანდელი ქართული სახელმწიფო (ერთიანი საქართველოს ისტორიაში) ტერიტორიული თვალსაზრისით ყველაზე პატარაა; თუმცა, თუ დაუშვებთ იმას, რომ ერის შეფასების კრიტერიუმში ტერიტორიების სიდიდეში კი არა, ამ ერის შემადგენელი თითოეული ადამიანის ცნობიერებით განისაზღვრება, მაშინ დღევანდელი ქართული ტერიტორიის სიდიდის ეკვივალენტიც მეტისმეტად ბუმბერაზია ქართველის ერის ცნობიერების ეკვივალენტთან შედარებით.

თუ ასეა, როგორ შეგვიძლია, ვიფიქროთ დაკარგული მიწების დაბრუნებაზე, როდესაც იმის შეფასებისა და მოვლის თავიც არ გვაქვს, რაც გაგვანია?

ვინ იცის, რამდენ ადამიანს დაუღვრია სისხლი იმისთვის, რომ ქართველ კაცს (ამ სიტყვის სწორი გაგებით) ქართულ მიწაზე თავი უცხოოდ არ ეგრძნო; თუმცა დღევანდელი „მშვიდობის“ პირობებშიც კი შედეგი უიმედოა.

პირადად მე მიმაჩნია, რომ კაცობრიობის ერებად დაყოფა იმთავითვე ადამიანური სისუსტის ერთ-ერთი გამოხატულებაა. თუმცა ამ დაყოფილ მდგომარეობაშიც ზოგიერთმა ერმა მოახერხა და იპოვა მარადიული ღირებულებების ბერკეტი.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი ასეთი სახელმწიფო საქართველო იყო. თუმცა ამჟამად სრულიად საპირისპირო რამ ირეკლება თანამედროვე მდგომარეობის ამსახველ სარკეში.





„იანქანი“ აგრძელებს თავისი ერთ-ერთი რუბრიკის ციკლს - „წერილი შვილს“.  
ამჯერად მკითხველი გაეცნობა რუსული კინოსა და თეატრის ცნობილი მსახიობის,  
სახელმწიფო პრემიების ღაურაყვის, არაერთი კინოფესტივალის ნომინანტის - ევგენი ლეონოვის  
წერილს, გაგზავნილს თბილისიდან მოსკოვში.

ბარათი ღაურაყვი გასული საუკუნის 70-იან წლებში, თბილისში, როცა რეჟისორი  
გიორგი ღაურაყვი იღებდა მხატვრულ ფილმს - „წრემები სდიოდა“.

50-მდე როლი თეატრში, 100-მდე - კინოში, 30-მდე გახმოვანებული მუსიკალური  
პროექტები (მათ შორის, ბავშვებისათვის საყვარელი ვინი-პუჭი) - ასეთია ევგენი ლეონოვის  
მოკლე ბიოგრაფიული ნუსხა.

მსახიობი გარდაიცვალა გულის შეწყვეთ, 1994 წელს, 68 წლის ასაკში; ემზადებოდა თეატრში  
ნასასვლელად.


იმ დღეს უნდა ეთამაშა სპექტაკლში - „სულის მოსახსენებელი დოკუმენტი“.

## ევგენი ლეონოვი

თარგმნა ნანა ჭანტუაშვილი

ანდრიუშა, შვილო, თბილისი ის ქალაქია, სადაც აუცილებლად უნდა ჩამოგიყვანო.  
მე აქ ადრეც ვყოფილვარ; მაშინაც, პირველად, კარგად მახსოვს, რისთვის ჩამოვედი: რომ  
მეგობრობდა; არა იმიტომ, რომ ჩემი მეგობრები - გია და ბუბა, დანელია და კიკაბიძე  
ბევრს მიაშობდნენ თბილისზე. მაინც მგონია, რომ ჩემი ფაქიზი დამოკიდებულება  
მათადმი მათი სამშობლოსადმი სიყვარულით გამოვხატე. ერთი სიტყვით, ქალაქით  
მოვიხიბლე. თუმცა ადრეც ვიყავი მონუსხული მისი მუსიკით, სიმაღლით, ნიჭიერებით,  
აღფრთოვანებული თბილი ურთიერთობებით. თვითმფრინავში, როცა სტიუარდესამ  
გვამცნო, რომ უკვე გადავფრინეთ კავკასიის მცირე ქედს და რომ ჩვენს მარჯვნივ მისი  
უმაღლესი მწვერვალი - ყაზბეგია, სიამაყით აღვივსე: კავკასიას ზემოდან დავეურებდით.

არის ქალაქები, პირველადაც რომ მიუყვებოდე მის ქუჩებს, მოედნებს, უცხოდ არ  
იგრძნობ თავს. არ ვიცი, ეს რით უნდა ახსნა: ქუჩაში მესმის ქართული მეტყველება.  
რეპროდუქტორებიდან ჩემამდე აღწევს ოდნავ სევდიანი ქართული მელოდია, მეტროშიც  
აქა-იქ თუ მოგვრავ თვალს რუსულ წარწერებს, მაგრამ განდევნილად, მარტოსულად თავს  
მაინც არ ვგრძნობ. ირგვლივ ყველაფერი განსაკუთრებულია, ამაღლებულია, ლამაზია  
და იმისა, ვინც ხედავს და აღიქვამს ამ სილამაზეს. თუმცა ამაში უჩვეულო არაფერია:  
ხელოვნებაშიც, ცხოვრებაშიც სილამაზე მისია, ვისაც დანახვისა და შეგრძნების უნარი  
აქვს.



ევგენი ლეონოვი

თბილისი ჩემთვის ერთი დიდი თბილი სახლია,  
სადაც თითოეული ოჯახი გამოხატავს პატივისცემას იმ  
ოჯახების მიმართ, ვინც ამ სახლში ცხოვრობს. ასე არ  
არის? აქ არის ეს და ამას მე ვგრძნობ.

ქართველებმა იციან თავიანთი ისტორია, ფესვები,  
ტრადიციები და ყველაფერი ეს წარმოჩენილია  
ხელოვნების ენით. როცა საუბარია მუზიკირების  
კულტურაზე, არ ვგულისხმობ არც აკადემიური სცენისა  
და არც საესტრადო სიმღერების შემსრულებლებს; აქ  
ყველა მღერის, და მღერიან ფაქიზად, უზადოდ, უშუალოდ.

რა თქმა უნდა, შემეკითხები - თბილისში, სადაც  
თავს მეგობრივად გულისხმობ, უმნიშვნელო  
დისკომფორტიც რატომ უნდა ვიგრძნო? გეთანხმები.  
გიამ ვერიკო ანჯაფარიძესთანაც კი წამიყვანა სტუმრად.  
ბავშვივით აღფრთოვანდი, როცა ქალბატონმა ვერიკომ  
მითხრა, რომ თურმე მიცნობს, უნახავს ჩემი ფილმები და  
ბევრი რამ მოსწონებია კიდევ.





ამ ქალაქში მართლაც გრძნობ სიცოცხლისადმი სიყვარულსა და გულითადობას ადამიანების მიმართ. ამ დროს მიმდგრდება სურვილი, გაგესაუბრო, შენც ჩამეზიარო ფიქრებში.

თბილისს, მაღალი მთებით გარშემორტყმულსა და ავი ტაროსისგან დაცულს, იმ ქალს ვადარებ, ბოროტი ძალების ფარად ერთგული მამაკაცი რომ ეგულება გვერდით.

აქ არ იგრძნობა მოსკოვური ერთფეროვნება. როცა სუფრასთან ილხენენ და მღერიან, არავინ არსად ჩქარობს და არც არავინ აპარებს მზერას საათისკენ; თუ ქართველი გესაუბრება, ასე გგონია, ეს ურთიერთობა სამუდამოა.

იქნებ, ეს ყველაფერი მართლაც სასაცილოა – უბრალოდ, დღევანდელი აჩქარებულმა რიტმმა დამდალა. სიცოცხლის თითოეულ წამს ხომ წარსულში ვტოვებთ.

ჰოდა, ამ წერილსაც გწერ სასტუმრო „ივერიის“ აივნიდან. ჩვენს ქვევით – მტკვარია. სინათლით გასხივოსნებულ სანაპიროზე მიმოდინ მანქანები. მეჩვენება, რომ მდინარე კი არ მიაქროლებს წყალს, თითქოს უფრო ქვიანი ნაპირები ეძალება მას. გადაღებაც დამთავრდა და ისიც ვიცი: ამ აივნიდან უკვე არასოდეს გადმოვხედავ სინათლით გასხივოსნებული ქალაქის დიდებულებას და არც შენს გამოცდებზე ვიფიქრებ.

ერთი რამეც უნდა გითხრა: ცხოვრებაში შემთხვევითობა ბევრ რამეს განსაზღვრავს და მაინც: რაც შემთხვევითობაზეა დამოკიდებული, ის არაა მთავარი.

დღეს ჩვენ ვიყავით მცხეთაში. ციცაბო გორაკზე, საიდანაც მტკვრისა და არაგვის შერწყმის საოცარი პანორამა იშლება, აღმართულია ჯვარი – უძველესი არქიტექტურული ძეგლი. ჯვრისებრი ეკლესია ქართველებმა ქრისტიანობის აღიარების ნიშნად ააგეს. დიდებული ტაძარია. შეეძლო კი პუშკინს, აქ არ დაეწერა ლექსები? ეს პოეტების ქვეყანაა!

ჩვენ აქ აუცილებლად ერთად ჩამოვალთ.

**P.S.** დანელიამ გადაღებები დაასრულა. მერე რამდენიმე დღე ვახმოვანებდით. რა ფილმი გამოვა, ჯერ არ ვიცი; სევდას კი იტევს, თუმცა კომედიაა. დაასათაურეს კი ასე: „ცრემლები სდიოდა“.

გია ხშირად მეკითხება შენს შესახებ, სალამსაც გითვლის. როცა მასთან იწყებ მუშაობას, იცი, რომ ეს ნამდვილი ტანჯვაა. მაგრამ დავასრულეთ გადაღება და სიცარიელემ შემიპყრო. შენც იამაყებდი ასეთი მეგობრით, რეჟისორით. თუმცა ყველაფერი იქნება, ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა.

**მამაშენი.**

**თბილისი.**

**10/07/1976წ.**



ანდრეი ლეონოვი.  
კინოსა და თეატრის მსახიობი



კალრი ფილმიდან „ცრემლები სდიოდა“



# სპლიყვი\*

რელიარდ კიკლინგი

თარგმნა ინბა მორბოშიამ



უხსოვარ დროს ყველასათვის საყვარელ პატარა სპილუკას არ ჰქონდა ხორთუმი. მას მხოლოდ ჩექმის ხელა მოშავო, ამობურცული ცხვირი ჰქონდა. მისი მეშვეობით შეუძლებელი იყო რამის აღება. სპილუკა უზომოდ ცნობისმოყვარე გახლდათ და თავისი შეკითხვებით აფრიკაში ყველას თავს აბეზრებდა: დეიდა სირაქლემას ეკითხებოდა, რატომ ეზრდებოდა ბუმბული კუდიდან, რაზეც იგი მაგარი ბრჭყალით ღონივრად გაუტყლაშუნებდა. ეკითხებოდა მაღალ ბიძია ჟირაფს, თუ რატომ ჰქონდა მას სხეულზე კოპლები. ამისათვის ისიც თავის ძლიერ ჩლიქს გაჰკრავდა. სპილუკა მაინც არ ეშვებოდა ცნობისმოყვარეობას. აინტერესებდა ყველაფერი, რასაც ხედავდა, გრძნობდა, ესმოდა, ყნოსავდა, ეხებოდა. ამის გამო მისი დეიდები და ბიძები ხშირად ტუქსავდნენ. ის მაინც არ იშლიდა თავისას.

ერთ მშვენიერ დილას სპლიყვი ისეთი შეკითხვა დასვა, ადრე რომ არასოდეს დაუსვამს. ნიანგს სადილად რა აქვს? - იკითხა მან. ყველამ შიშით შესძახა: ჩუმად! ამის გამო დიდხანს ტუქსავდნენ.

როცა გული იჯერეს, სპილუკა მივიდა ერთ ჩიტუნისთან, რომელიც ეკლიან ბუჩქში იჯდა და შეეკითხა: ყველამ მაგრად დამტუქსა ჩემი ცნობისმოყვარეობის გამო. თუმცა, ძალიან მაინტერესებს, რას მიირთმევს სადილად ნიანგი? ჩიტმა სევდიანად უთხრა: გასწი დიდი, ნაცრისფერი და მოლიპული ნაპირისკენ, ამღვრეული და მომწვანო ფერის მდინარე ლიმპოპოსკენ! იქ ნაპირები ისეთი ხეებითაა დაფარული, რომ ყველა ციებ-ცხელებითაა შეკერობილი; შენს ცნობისმოყვარეობასაც იქ დაიკმაყოფილებ.

მომდევნო დილას სპლიყვი გზას გაუდგა. თან ასი ფუტი ბანანი წაიღო! ამდენივე შაქრის ლერწამი, მომწვანო ფერის ჩვიდმეტი ხრაშუნა ნესვი. ყველაფერი ზურგზე მოიკიდა, თავისიანებს დაემშვიდობა და გზას გაუდგა.

გამგზავრების წინ სპილუკა კიდევ ერთხელ გემრიელად გატყიპეს, თუმცა ახლობლებს მაინც კეთილად დარჩენა უსურვა.

ოდნავ დაღლილი მიდიოდა სპლიყვი და გზად ნესვს მიირთმევდა. ნარჩენებს ქვემოთ ყრიდა, რადგან არ შეეძლო მათი აღება. ბოლოს მიაღწია იმ მდინარესაც, ჩიტმა რომ ურჩია.

თქვენ უნდა იცოდეთ, ჩემო პატარა მეგობარო, რომ ამ წუთამდე ჩვენს ცნობისმოყვარე სპლიყვს თვალთაც არ ენახა ნიანგი!

პირველი, რაც თვალში მოხვდა, იყო ორფერიანი პითონი, კლდის გველი, რომელიც ერთ-ერთ კლდეზე შემოსხვოდა.

- ბოდიშს გიხდით, გეთაყვა! - ზრდილობიანად ჰკითხა სპილუკამ, - სადმე სიახლოვეს ნიანგი ხომ არ შეგინიშნავთ?

- ნიანგი არ გვინახავს? - ზიზღით გაიმეორა ორფერმა პითონმა, - ნახე რა, საკითხავი!

- ბოდიშს გიხდით, გეთაყვა! - განაგრძო სპლიყვი, - ხომ არ მეტყვი, რას მიირთმევს სადილად ნიანგი?

ამის გაგონებაზე გველმა თავი ვერ შეიკავა და სპლიყვს კუდი ძლიერად მოუქნია.

სპილუკა მაინც ზრდილობიანად



\* - იბეჭდება შემოკლებით.





დაემშვიდობა ორფერა პითონს; დაეხმარა კიდევ, ისევ კლდეს შემოხვეოდა. მერე გზა განაგრძო; ისევ ნესვს ჭამდა და ნარჩენებს ისევ ძირს ყრიდა. ბოლოს გადააწყდა ხის დიდ მორს, რომელიც მდინარის ნაპირზე ეგდო.

სინამდვილეში, ჩემო ბიჭუნავ, ეს არ იყო ხის მორი, ეს იყო ნიანგი, რომელმაც თან თვალიც კი ჩაუკრა.

- უკაცრავად, გეთაყვა! – მიმართა ზრდილობიანად სპილუკამ, - სადმე შემთხვევით ნიანგს ხომ არ შეხვედრიხართ?

ნიანგმა მეორე თვალიც მოჭუტა და კუდი წყლიდან ოდნავ გამოაჩინა. სპილუკას არ სურდა, ხიფათს გადაჰყოფოდა და ოდნავ უკან გაიწია.

- მომიახლოვდი, პატარავ, - უთხრა ნიანგმა, - ასეთ რაღაცას რატომ კითხულობ?

- ბოდიშს გიხდით! – უპასუხა ზრდილობიანად სპილუკამ. ამ კითხვის გამო ჩემს ირგვლივ მყოფნი ყველანი მცემდნენ და არ მინდა, ახლაც იგივე განმეორდეს.

- მომიახლოვდი, პატარავ, - უთხრა ნიანგმა, - მე ნამდვილად ნიანგი ვარ.

ნიანგს ნიანგის ცრემლებიც კი წამოუვიდა.

სპილუკას ისე ძლიერ გაუხარდა, სუნთქვა შეეკრა.

- თქვენ სწორედ ის პიროვნება ბრძანდებით, ვისაც მე ამ ხნის მანძილზე ვეძებდი. მითხარით, გეთაყვა, სადილად რას მიირთმევთ?

- მომიახლოვდი, ყურში ჩაგჩურჩულე.

სპილუკამ თავი დახარა, მიუახლოვდა დიდებიდა, ეშვებიან ნიანგს; მან კი ძლიერ ჩაავლო კბილი ცხვირზე, რომელიც ამ წუთებამდე პატარა ჩექმის ხელა იყო.

- მე მგონია, - თქვა დაკრეჭილი კბილებით ნიანგმა, - ჩემი პირველი კერძი ეს სპილუკა იქნება!

- გამიშვით, მტკიავა! – საშინლად არ მოეწონა სპილუკას.

ამ დროს პითონი მიუახლოვდა მას და უთხრა: - ჩემო ძვირფასო, თუ უკან არ დაიხევ, სამამდე დათვლასაც ვერ მოასწრებ, ისე აღმოჩნდები ნიანგთან ერთად წყალსაცავში.

სპილუკა ფეხებზე დაჯდა და უკან გაიწია. ყოველ მოძრაობაზე ცხვირი თანდათან უგრძელდებოდა. ნიანგი რაც უფრო ძლიერ იქნებოდა კუდს, სპილუკას ცხვირიც სულ უფრო მეტად იჭიმებოდა და გრძელდებოდა. და როგორ სტკიოდა! უცებ იგრძნო, რომ ფეხი უცურდებოდა და იყვირა:

- საკმარისია, მიშველეთ! მეტს აღარ ვიკითხავ!

ამის გაგონებაზე პითონი კლდიდან ვაკეზე დაეშვა, საბრალო სპილუკას უკანა ფეხებზე შემოეხვია და უთხრა: შე, გამოუცდელი, სულელი! თუ ძალებს არ მოვიკრებთ, ნიანგი დაგვღუპავს.

გველი და სპილუკა გაუძალიანდნენ, ნიანგმაც ძლიერად მოქაჩა. ბოლოს ნიანგმა დიდი ხმაურით გაუშვა კბილები ცხვირს, თან ისეთი ხმები გამოსცა, მთელმა ლიბოპომ გაიგონა. სპილუკა ადგილიდან ვერ იძვროდა, მერე დაბარბაცდა, პითონს მადლობა გადაუხადა და თავისი დაგრძელებული ცხვირი ბანანის ფოთლებში გაახვია, მდინარეშიც კი ჩაყვინთა, რომ ცხვირი დამოკლებოდა.

ორფერიანმა პითონმა ჰკითხა, ამას რატომ აკეთებო.

- ჩემმა ცხვირმა პირვანდელი სახე დაკარგა და მინდა, ძველი იერი დავიბრუნო, - უპასუხა სპილუკამ.

- ბევრი ადამიანიც ვერ ხვდება, რა არის მისთვის კარგი, - მიიღო მან პასუხად.

სპილუკმა წყალში სამი დღე დაჰყო ცხვირის დამოკლების მოლოდინში, მაგრამ ამოდ. სხვა უბედურებაც დაატყდა თავს – თვალები დაუელამდა.

- ჩემო პატარავ, შენ ალბათ, ხვდები იმას, რომ ნიანგმა სპილუკას ცხვირი ხორთუმად აქცია და ისეთივე გახდა, როგორიც ახლა ყველა სპილოს აქვს.





1. საქართველოს რომელიმე მეფემ დაწერა ცნობილი საგალობელი - „შენ ხარ ვენახი“?

- ა) გიორგი IV ლაშამ, თამარ მეფის ძემ;
- ბ) დემეტრე I-მა, დავით აღმაშენებლის ძემ;
- გ) გიორგი I-მა, ბაგრატ II-ის ძემ.

2. იერუსალიმის შემდეგ ქრისტიანობა პირველად სად გავრცელდა?

- ა) ეგვიპტეში (ქ. ალექსანდრიაში);
- ბ) იტალიაში (ქ. რომში);
- გ) სირიაში (ქ. ანტიოქიაში).

3. რას ნიშნავს არაბულად „აბდულმესია“, რომელიც აღმაშენებლის თანამედროვე პოეტმა შავთელმა უწოდა დიდ მეფეს?

- ა) მონა ქრისტესი;
- ბ) გამორჩეული მეფე;
- გ) შეწირული ადამიანი.

4. XVII საუკუნეში, 1614 წელს, ქეთევან დედოფალი ვინ დაატყვევა?

- ა) შაჰ-აბასმა;
- ბ) მურვან ყრუმ;
- გ) თემურ ლენგმა.

5. რა ერქვა ადრე კასპიის ზღვას?

- ა) თეთრი ზღვა;
- ბ) ყვითელი ზღვა;
- გ) წითელი ზღვა.

7. როდის შეიქმნა სოხუმში მაიმუნთა საშენი?

- ა) 1927 წელს;
- ბ) 1937 წელს;
- გ) 1947 წელს.

9. ვინ იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სოხუმის განყოფილების თავმჯდომარე?

- ა) თედო სახოკია;
- ბ) სიმონ ჯანაშია;
- გ) მარიამ დადიანი-ანჩაბაძისა.

10. ერთხელ პლატონს უთხრეს, „რა ცუდია, როდესაც არ სრულდება ის, რაც გინდა“. პლატონმა უპასუხა:

„უფრო ცუდია, როცა...“ დაასრულეთ ფრაზა:

- ა) ყველაფერი სრულდება;
- ბ) სრულდება ის, რაც არ გინდა;
- გ) არაფერი სრულდება.

დაქვეყნდა „სალამურას“ პასუხები



6. ვინ იყო პროფესიით ლუკა, „ახალი აღთქმის“ ერთ-ერთი მახარობელი?

- ა) პედაგოგი;
- ბ) ისტორიკოსი;
- გ) ექიმი.

8. ვინ არის მხატვრული ფილმის „გიორგი სააკაძე“ რეჟისორი?

- ა) ვახტანგ ტაბლიაშვილი;
- ბ) მიხეილ ჭიაურელი;
- გ) სიკო დოლიძე.





## განცევის ვაცა

„ძველ აღთქმაში“ წარმოდგენილი ყველაზე აღრინდელი ებრაული კანონები ნასესხების სხვა ძველი ხანების კანონმდებლობიდან და შესაბამისად გადამუშავებული. გერმანელი მეცნიერის - დეის ნაშრომმა, რომელსაც ეწოდება „ისრაელიტთა სამართლის წყაროები“, ნათქვამი, რომ ეს კანონები შექმნილია ბაბილონური კოდექსის, აგრეთვე, ხეთური, ასურული, ეგვიპტური და ქანაანური კანონმდებლობის მიხედვით.

„ლევიანი“\* - მოსეს „ხუთნიგნუდიდან“ („ძველ აღთქმაში“ ეს ყველაზე უძველესი თავია) მესამე ბიბლიური წიგნია, რომელიც მოიცავს ძველი აღთქმის რელიგიის ყველა წესის ფორმებს.

„ლევიანი“ იწყება ასე:

„მოუწოდა მოსეს უფალმა და ელაპარაკა მას სადღესასწაულო კარგიდან:

ელაპარაკე ისრაელიანებს და უთხარი მათ: თუ თქვენს შორის ვინმე შესწირავს უფალს, შინაური პირუტყვი იყოს თქვენი შესაწირავი – საქონელი და ცხვარი“.

ძველ იუდეველთა ტრადიციით, საგანგებო სამსხვერპლოზე თურმე ერის „გაწმენდის“ რიტუალი იმართებოდა. დაწესებული ყოფილა გამოსყიდვის ყოველწლიური დღე, როცა მღვდელმთავარს ისრაელის ძეების კრებულიდან მოჰყავდა ორი მამალი თხა. წილისყრით ერთი უფლისთვის უნდა შეეწირათ, ანუ, დაეკლათ, მეორე – უდაბნოში ცოცხალი გაეშვათ. დაკლული თხის სისხლი ანუ ცოდვები ცოცხალ თხაზე გადადიოდა, მას ჰქონდა ცოდვების მიტევების ძალა.

ორივე თხა უნაკლო, სალი და, შეძლებისდაგვარად, ერთნაირი უნდა ყოფილიყო. წილისყრა გამოაჩენდა, რომელი იყო უფლის. ერთი თხის შეწირვის შემდეგ მღვდელმთავარი ორივე ხელს თავზე ადებდა ცოცხალ თხას და აღიარებდა ხალხის ცოდვებს.

ამგვარად, თხას, იგივე, „განტევის ვაცს“, სიმბოლურად თან მიჰქონდა გასულ წელს ხალხის ჩადენილი ცოდვები, სისუსტეები, შეცდომები და უდაბნოში უჩინარდებოდა.

პაველ მოციქულმა თქვა, რომ იესომ კაცობრიობის ცოდვებისთვის თავისი სრულყოფილი სიცოცხლე გაიღო და ამით გაცილებით მეტი გააკეთა, ვიდრე „ხარებისა და თხების სისხლით“ მიიღწეოდაო. მან, როგორც განტევის ვაცმა, „ატარა ჩვენი სნეულებები“ და ჩვენი ცოდვებისთვის განიგმირა.

იესომ, ჩვენმა უფალმა – საკუთარ თავზე აიღო თითოეულის ცოდვა, მისი, ვისაც სწამს, რომ მსხვერპლს გამოსყიდვის ძალა აქვს.

P.S. განცევის ვაცი - იგურისხმება არსება, რომელიც სხვების მიერ ჩადენილი ცოდვებისათვის უღანაშაუროდ ისჯება ან მათ ნაცვლად იფირთავს მასუხისმგებლობას.



\* - ლევიტი - ძველ იუდეველთა ტაძრის მსახური, ლევის გვარის შთამომავალი.



# ალფრედ ნობელი

(1833-1896 წ.წ.)

## დაბადება



ალფრედ ნობელი

ბრწყინვალე გამომგონებელი და უდიდესი ჰუმანისტი - ალფრედ ნობელი დაიბადა 1833 წლის 21 ოქტომბერს, სტოკჰოლმში. ახალშობილი იმდენად სუსტი იყო, რომ არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა. სათუთი ჯანმრთელობა მთელი სიცოცხლე ტანჯავდა.

ალფრედის ბავშვობის მოგონებები უკავშირდება ყინვასა და სიცივეს, რომელიც ყველაზე მეტად სძულდა. ვიგებთ იმ უსიამოვნებების შესახებაც, სიღარიბის გამო რომ ერგო. თავის პიესაში „შურისძიება“ წერს: „ღრმა ბავშვობიდან მრავალი სახის დამცირება გადამიტანია – შიმშილი, ცემა, შეურაცხყოფა – არაფერი დამკლებია.“

## მშობლები

ალფრედ ნობელის წინაპრების შესახებ მონაცემები XVII საუკუნეში გვხვდება. ამ გვარის მატარებელი პირველი ადამიანი პეტრუს ოლაი ნობელიუსი იყო (გვარი მან მშობლიური რეგიონის – ოსტრა ნობელოვიდან აიღო). ნობელის წინაპრები გენეტიკურად ნიჭიერი ადამიანები იყვნენ.

ემანუელი - ალფრედის ბაბუა - იყო პირველი ნობელიუსი, რომელმაც თავისი ლათინური გვარი შეამოკლა და 1785 წელს ნობელი გახდა. მისი უმცროსი ვაჟი, ისიც ემანუელი, იყო ალფრედ ნობელის მამა.

ემანუელი ღარიბ ოჯახში დაიბადა. ბავშვობაში გადატანილი დამცირება მთელი ცხოვრება გაჰყვა: 14 წლის ასაკში სწავლა მიატოვებინეს. მუშაობა საზღვაო ოფისში დაიწყო, გემზე იუნგად მოეწყო და სამი წლის განმავლობაში მსოფლიო მოიარა. აღმოჩნდა, რომ ჰქონდა ტექნიკური ნიჭი და ხაზავდა შესანიშნავად. მომზადება დაიწყო ადგილობრივ არქიტექტორთან. მაღე სწავლა სტოკჰოლმის უნივერსიტეტში განაგრძო, შემდეგ სამეფო აკადემიის მექანიკის სკოლაში ჩაირიცხა. იმთავითვე ჰქონდა უამრავი პროექტი, შემოთავაზება. მაღე დაოჯახდა.

დედა – ანდრიეტა ანსელი, საოცრად მომჭირნე და შრომისმოყვარე იყო. მისი დღე მზის ამოსვლამდე იწყებოდა. ალფრედს დედა განსაკუთრებულად უყვარდა. მარტო რომ არ ეგრძნო თავი, ანდრიეტა ღამეებს უთენებდა ფიზიკურად სუსტ, ავადმყოფ შვილს. დედა ხშირად უმეორებდა შვილებს, რომ ცხოვრებაში მთავარია პატიოსნება. ალფრედსაც მთელი ცხოვრება არ დავიწყებია ეს.

ანდრიეტას გამძლეობა მაშინ გამოიცადა, როცა ემანუელი იძულებული გახდა, საზღვარგარეთ - ფინეთში წასულიყო სამუშაოდ. უსახსროდ დარჩენილმა ქალმა არ იცოდა, როგორ ერჩინა შვილები. მაგრამ მამისა და ნათესავების დახმარებით ანდრიეტამ მაღაზია გახსნა, გარკვეულ თანხასაც მოუყარა თავი და შვილების განათლებაზეც დაიწყო ზრუნვა.

## "იაკობის" სამხევლო სკოლა

„იაკობი“ უპატრონო ბავშვთა სკოლად ითვლებოდა, რადგან იქ მხოლოდ ღარიბები სწავლობდნენ. უფრო მდიდრებს თავიანთი შვილები „კლარას სკოლაში“ შეჰყავდათ. ამ ორი სკოლის მოსწავლეებს ერთმანეთთან ნამდვილი ომი ჰქონდათ გაჩაღებული. „იაკობის“ სკოლაში გამეფებულ სიბინძურეს საშინელი რეჟიმიც ერთვოდა: გაწკეპლვა ჩვეულებრივი ამბავი იყო.

ალფრედი საოცარი მონდომებით სწავლობდა. მაღე დაიმკვიდრა სამაგალითო მოსწავლის სახელი. მისმა გონიერებამ 8 წლის ასაკში იჩინა თავი. ალფრედს ენების შესწავლის საოცარი ნიჭიც აღმოაჩნდა.



ემანუელი - ალფრედის მამა





### სანკტ-პეტერბურგში

ფინეთიდან ემანუელი მალე რუსეთში ჩავიდა და როგორც მეწარმე და გამომგონებელმა, იქ დიდი წარმატებები მოიპოვა. მალე ოჯახიც მიიწვია. მასინ აღფრედი 9 წლის იყო. მეუღლესთან ხუთწლიანი განშორების შემდეგ ანდრეიტა შვილებთან ერთად სანკტ-პეტერბურგში გაემგზავრა. იქ ჩასვლამდე მათ რუსულის გაკვეთილებს უტარებდა, სიტყვებს ასწავლიდა. მაგრამ აღფრედი რამდენიმე თვეში ამ ენაზე უკვე თავისუფლად ლაპარაკობდა. ნობელები ერთსართულიან სახლში დაბინავდნენ. შემოსავალი ჰქონდათ, მაინც მომჭირნედ ცხოვრობდნენ.



ანდრეიტა - აღფრედის დედა

ემანუელი იყო პირველი ადამიანი მსოფლიოში, ვინც ჯერ ფინეთის ქ. ტურკუში, მოგვიანებით კი სანკტ-პეტერბურგში სახმელეთო და საზღვაო ნაღმებს ამზადებდა. რუსეთის სამხედრო სამინისტრო ამ პროექტით დაინტერესდა. ემანუელმა რუსეთის ჯარისთვის იარაღის წარმოება დაიწყო და კუსტარული სისტემა ასე გარდაქმნა მეცნიერებად. უფრო მოგვიანებით აღფრედმა წარმატებით დაასრულა მამამისის დაწყებული საქმე.

ემანუელმა მექანიკური საამქრო და მეტალურგიული ქარხანაც გახსნა, ვალები გაისტუმრა და ნათესავ-მეგობრებსაც ხელი გაუმართა. მისი იდეებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ნახერხისგან ლამინირებული ფანერის დამზადება. რუსეთში ცენტრალური გათბობის პირველი სისტემაც ემანუელმა შექმნა. ნობელების საქმე წინ მიიწვედა. ბოლოს ემანუელმა ჩამოაყალიბა ფოლადჩამომსხმელი და მექანიკური საამქრო „ნობელი და შვილები“. მისი ვაჟები უკვე სტაჟიორები კი არა, კომპანიის თანამფლობელები იყვნენ. ლუდვიგმა, აღფრედის უფროსმა ძმამ, ბაქოში ნავთობის უდიდესი იმპერიაც ჩამოაყალიბა.

ემანუელმა იცოდა ცოდნის ყადრი. ამიტომ შვილების საუკეთესო განათლებისათვის ფული არ ენანებოდა. შვილებმაც დაუფასეს მამას ამაგი და არა მარტო ტექნიკური აზროვნების ნიჭი, წიგნებისადმი დიდი სიყვარულიც გამოავლინეს. აღფრედის საყვარელი საგანი ქიმია გახდა. სანკტ-პეტერბურგის ტექნიკურ უნივერსიტეტში მას ასწავლიდნენ ცნობილი პროფესორები - ზინინი და ტრაპი, რომლებიც შემდგომ მისი მეგობრებიც გახდნენ. აღფრედმა მათგან ისწავლა, რომ წარმატების საფუძველი შრომისმოყვარეობაა. მასწავლებლებს შორის ყველაზე მეტად მაინც უყვარდა ივან პეტეროვი, რომელიც მალე მიხვდა, რომ გენიოსთან ჰქონდა საქმე.

### ჩაკომ დაწება მნეხლობას თავი?

აღფრედს მებრძოლი პოეტის სული ჰქონდა. იგი ხუთ ენაზე თავისუფლად წერდა. თუმცა მამა ეჭვით უყურებდა შვილის მწერლურ ნიჭს; ემანუელი საგონებელში ჩააგდო იმაზე ფიქრმა, რომ აღფრედი შეიძლება მართლა „კალმოსანი“ გამოსულიყო. 16 წლის აღფრედი მამამ სხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ ერთი პირობით გაუშვა: თავიდან ამოეგდო მწერლად გახდომის სულელური აზრი. შვილმა მამას ანგარიში გაუწია და მწერლობას თავი დაანება; მაგრამ წერისადმი დაუკმაყოფილებელი ღტოლვა მთელი ცხოვრება ტანჯავდა. არშემდგარი მწერალი შვებას მაინც ბიბლიოთეკაში პოულობდა; იგი მუდმივად თვალყურს ადევნებდა იმას, რაც თანამედროვე ლიტერატურაში იქმნებოდა. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ თავისი სახელობის პრემიის დაარსებისას ნობელმა ერთ-ერთ დარგად ლიტერატურა დაასახელა.

### აღფრედ ნობელი - ქიმიკოს-გამომგონებელი

16 წლის აღფრედმა პირველად დატოვა რუსეთი. იგი უკვე გამოცდილი ქიმიკოსი იყო. მოგზაურობა აღფრედმა ცენტრალურ ევროპასა და ინგლისში დაგეგმა. ნიუ-იორკში წასვლა კი შვედ ჯონ ერიკსონთან, გამომგონებელთან და მეწარმესთან შესახვედრად გადაწყვიტა. ერიკსონის სახელი ამერიკაში ყველას პირზე ეკერა. ემანუელი ისევ ახალ ექსპერიმენტებს ატარებდა და ცდილობდა, დაედგინა, შეიძლებოდა თუ არა ორთქლის მიერ გამოყოფილი სითბოს შეცვლა გამთბარი ჰაერით და ამ საკითხზე ერიკსონის მოსაზრებაც აინტერესებდა.

პეტერბურგში დაბრუნებულ 17 წლის აღფრედს სურდა, მამასთან ერთად პრაქტიკაში გამოეცადა ამერიკიდან რუსეთში ჩამოტანილი იდეები. მამამისი ამ დროს უკვე საკმაოდ წარმატებული მეწარმე იყო.



ნობელის სახლი  
სანაკტ-პეტროპოლში

ემანუელის დახასიათებით, „ლუდვიგს ყველაზე მეტი ტვინი აქვს, ალფრედი ყველაზე დისციპლინირებულია, ხოლო რობერტი ხელმძღვანელის ნიჭით გამოირჩევა“.

ალფრედი რუსეთში რობერტთან ერთად მოკრძალებულ ბინაში ცხოვრობდა, სამზარეულო ლაბორატორიად ჰქონდა გადაკეთებული. ალფრედი კვლავ დაუკავშირდა პროფესორ ზინინს, რომელმაც იგი ნიტროგლიცერინით დააინტერესა. ალფრედმა ერთი სარისკო ექსპერიმენტი ჩაატარა: ნიტროგლიცერინს დენთი შეურიდა და ნარევი ჩვეულებრივი პატრუქის გამოყენებით ააფეთქა. შედეგი მართლაც თვალშისაცემი იყო.

ექსპერიმენტი იმდენად იმედის მომცემი იყო, რომ ალფრედმა ლუდვიგთან და რობერტთან ერთად სანაკტ-პეტროპოლის ერთ-ერთ გარეუბანში, გაყინულ მდინარე ნევაზე კიდევ რამდენიმე ცდა განახორციელა. ალფრედ ნობელის გამოგონილი ნივთიერება შემდგომში ცნობილი გახდება დინამიტის სახელით.

ალფრედმა და მისმა მასწავლებელმა ზინინმა გამოთვალეს, რომ ახალი ნივთიერება - სუფთა გლიცერინისა და დენთის ძალიან მცირე რაოდენობის ნაზავი 50-ჯერ მაინც აღემატებოდა ჩვეულებრივი დენთის ძალას.

„მე მსურს, გამოვიგონო ისეთი დამანგრეველი ნივთიერება ან მანქანა, რომლის წყალობით ომები სრულიად შეუძლებელი გახდება,“ - და მაინც, ალფრედის ამ სიტყვებიდან 75 წლის შემდეგ მსოფლიოს თავზე დამოკლეს მახვილივით დაეკიდა ბირთვული იარაღი.

ემანუელმაც გაიმეორა შვილის ცდები და ნაჩქარევი დასკვნებიც გამოიტანა, თანაც, შვილის აღმოჩენა თვითონ დაიხემა. ალფრედმა მამას წერილით თავაზიანად შეახსენა თავისი გამოგონების შესახებ და აგრძობინა, რომ ავტორობაში არ უნდა შეცილებოდა. ემანუელიც იძულებული გახდა, გზიდან ჩამოცილებოდა და ამით უთანხმოება მოგვარდა.

წარმატებების მიუხედავად, ალფრედი მუდმივად არსებობის ზღვარზე იმყოფებოდა, ძლივს იხდიდა გადასახადებს. ფიქრობდა, თავი დაენებებინა ცდებისთვის. როცა ყველაფერი დაკარგულად ჩანდა, ახალი აღმოჩენით ოჯახი გაჭირვებიდან გამოჰყავდა. მისთვის მთავარი არასოდეს იყო დიდებისკენ სწრაფვა.

### "ნიტროგლიცერინის ეპოქა"

1868 წელს შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ ემანუელ და ალფრედ ნობელები ლეტერშტეტის პრემიით დააჯილდოვა: მამა ნიტროგლიცერინის, ხოლო შვილი - დინამიტის გამოგონებისთვის.

ალფრედს მიაჩნდა, რომ თავისი გამოგონებით დაიწყო „ნიტროგლიცერინის ეპოქა“. ეს ფრაზა ყველაზე გაბედული ტერმინია, რომელიც ალფრედმა, ამ თავშეკავებულმა ადამიანმა, გამოიყენა.

ალფრედის კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონების - ფეთქებადი ქელატინის იდეა ძალზე უმნიშვნელო მოვლენას უკავშირდება. პარიზში ყოფნისას ალფრედს შემთხვევით თითი გაეჭრა. ტკივილმა შეაწუხა. ლაბორატორიაში კოლოდიუმი წაისვა და დაიძინა. საათის შემდეგ ტკივილმა გააღვიძა. კოლოდიუმის ფენა გამჭრალიყო. კვლავ წაისვა კოლოდიუმი. შემდეგ დაიწყო კოლოდიუმის ქიმიურ შემადგენლობაზე ფიქრი. ალფრედმა კოლოდიუმს ნიტროგლიცერინი დაუმატა და საბოლოოდ გამოიგონა ფეთქებადი ქელატინი ე.წ. „რეზინის დინამიტი“.

### უბედური შემთხვევა

ალფრედი მუშაობისას თავს მუდამ კომფორტულად გრძობდა. ემანუელისა და ალფრედის გარდა ლაბორატორიაში რამდენიმე ადამიანთან ერთად მუშაობდა უმცროსი ნობელი - ემილიც, ტექნიკური ინსტიტუტის მომავალი სტუდენტი.


სექტემბრის ერთ ჩვეულებრივ დღეს ლაბორატორიაში ემილი ნიტროგლიცერინის გასუფთავებაზე მუშაობდა. ნიტროგლიცერინის გარდა ფარდულში დიდი რაოდენობის ფეთქებადი ზეთიც იყო შენახული. სამწუხაროდ, ლაბორატორია საშინელი გრუხუნით აფეთქდა. ტრაგიკულმა შემთხვევამ ემილი და იქ მომუშავენი შეიწირა.





### ხომიცი იყო ადგილი

პირველი სიყვარული პარიზში ეწვია, ყმაწვილობისას. თუმცა რჩეული მალე გაუთხოვდა, ტუბერკულოზით დაავადდა და გარდაიცვალა. გოგონას სიკვდილმა ალფრედი განდევილად აქცია. თუ რატომ არ დაქორწინდა, დღემდე საიდუმლოა. ალფრედის წერილებიდან ვიგებთ, რომ ქორწინება მას ხელს შეუშლიდა საქმიანობაში. წარმატებისთვის ალფრედმა დიდი საფასური გადაიხადა და ეს საფასური მარტოობა იყო.



ალფრედ ნობელი ატარებს ქსპერიმენტს

ნობელს არ უყვარდა საკუთარ თავზე ლაპარაკი. თუმცა, როდესაც მის მიმართ ვინმე ალფრედის თაობაზე გამოხატავდა, ეუფლებოდა უხერხულობის განცდას.

სიღარიბე ალფრედს არასოდეს დავიწყებია. ის ყოველთვის გულუხვი იყო. რაც გამდიდრდა, ეხმარებოდა უპოვართ, მაგრამ არ უყვარდა უდარდელი ადამიანები, რომლებიც მუდმივად ფულს სესხულობდნენ.

ალფრედი მთელ გულს დებდა საქმეში, იგი პედანტი და მომთხოვნი იყო, მაგრამ არა ტირანი. მუდამ ახალი იდეა და აზრი აწუხებდა, მისი პროექტები ბოლო წუთამდე საიდუმლოდ რჩებოდა. ალფრედი თვითონ განკარგავდა კომპანიის ფინანსებს, ბალანსსაც თვითონ ადგენდა.

რაც უფრო მდიდრდებოდა ალფრედი, მეგობრები აკლდებოდა. ეს ამბავი მას დეპრესიაში აგდებდა, რადგან იცოდა, ბოლოს სიმარტოვე ელოდა.

### გახდაცვალება

1896 წლის შემოდგომაზე ალფრედის ჯანმრთელობა გაუარესდა. იგი იტალიაში, სან-რემოში იმყოფებოდა, როცა ინსულტი დაემართა. ალფრედს მხოლოდ ბავშვობის ენა - შვედური ახსოვდა. 1896 წლის 10 დეკემბრის დილას იგი გარდაიცვალა. მეგობრებმა ცოცხალს ვერ ჩაუსწრეს. მას მარტოობაში აღმოხდა სული.

ნობელის ნეშტი სტოკჰოლმში გადაასვენეს და „ჩრდილოეთის სასაფლაოზე“ დაკრძალეს (ალფრედის სურვილი იყო, მოეხდინათ მისი ნეშთის კრემაცია). მანამდე სამგლოვიარო ცერემონია გაიმართა სან-რემოშიც, სადაც სიტყვით სოლმანი (ალფრედმა იგი თავისი ანდერძის აღმსრულებლად დანიშნა) გამოვიდა: ნობელმა განჭვრიტა მარადიული ჭეშმარიტება, ის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანის სულია, რომელიც ცოცხლობს, იბრძვის, იტანჯება, უყვარს, იმედი აქვს, სჯერა.

### ანეხი - *წიგნი*

„მე, ალფრედ ნობელი... ვაცხადებ...“  
„ჩემი ქონება შემდეგნაირად უნდა განაწილდეს: კაპიტალი, რომელსაც ჩემი ანდერძის აღმსრულებლები სტაბილურ ფასიან ქაღალდებში ჩადებენ, შეადგენს ფონდს, რომლის წლიური პროცენტი პრემიის სახით გადაეცემა იმ ადამიანს, რომელმაც წინა წელს განსაკუთრებული სამსახური გაუწია კაცობრიობას...“

ალფრედ ნობელის ანდერძმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია; სასამართლო დავების შემდეგ ყველაფერი ისე გადაწყდა, როგორც ნობელს სურდა. თუმცა კარჩაკეტილი მეოცნებე იყო, თავისი ფიქრები რეალობად აქცია.

ყოველ 10 დეკემბერს, როდესაც ოსლოში ნობელის პრემიის გადაცემის ცერემონია ტარდება, მთელი მსოფლიო ალფრედ ნობელის ოცნების ასრულების მოწმე ხდება.



ნობელის ნაშთობადაგამაშვებელი კომპანია ბაქოში



## ენაყვამაყვი მგოსანი



ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩაზე ერთმანეთს შეხვდნენ აკაკი წერეთელი და არტურ ლაისტი. ერთად გადაწყვიტეს გასეირნება.

ქართველმა მგოსანმა გერმანელ სტუმართან გატაცებით დაიწყო საუბარი გელათზე, ქუთაისზე, საქართველოსა და ქართველი ქალების სილამაზეზე. როგორც იხსენებს არტურ ლაისტი, გზადაგზა ხვდებოდნენ მათ ტურფა ასულნი და სალამთან ერთად ჯადოსნურ ღიმბლსაც აგებებდნენ პოეტს.

- ბედნიერი კაცი ხართ! - უთხრა ლაისტმა წერეთელს.

- ისინი მგოსანს აძლევენ სალამს და არა მე, - ღიმილით შენიშნა აკაკიმ.

## რაც ზედმეტია

ფრანგ სკულპტორს, ოგიუსტ როდენს ჰკითხეს, როგორ ქმნიდა იგი თავის ნაწარმოებებს.

- უბრალოდ, - უპასუხა როდენმა, - ვიღებ მარმარილოს ღოდს და ვაცლი მას ყველაფერს, რაც ზედმეტია..



## საყუეთესო გამოსავალი

ცნობილ მუსიკოსს – ტოსკანინს ჰკითხეს, ორკესტრში რატომ არასოდეს არც ერთი ქალი არ ჰყოლია?

- იცით, რა, - უპასუხა მანესტრომ, - ქალები ძალიან არ მაწყობს. თუ ისინი ლამაზები არიან, ხელს უშლიან ჩემს მუსიკოსებს; თუ მახინჯები, მაშინ უფრო მეტად მე მიშლიან ხელს!



# საკიბელი

ფოტოაქივი ..... 3	ჯიშაჯი ..... 29
ჰიოზა რეზო ინანოშვილი - ნაწიბურები გულზე ..... 4	თუ ქაიოვილი ხაი მარინა ტურაბა - აქაური სამშობლო ..... 30
ზღვისპირა იანაიანი ..... 6	ნაიბაბაბილი ნინაიანი ..... 32
ქათა ლაღი ღუმურიშის ეკლესია ..... 7	ეღოთა ნიბაბი სერბო ვურუშია - ახლაც ასეთს ვხედავ: უძინართა მნათისკენ ხეღებაშვერღს! ..... 34
ღაბაღაბაღა სათოიანი ვინეზა რურა - ორშაბათამღე ..... 8	ხაიოზს ონოლო აფხაბოთი კაკასიის მთის შროშანი „ჩვენი ღირსებანი“ - გამოცემა მოზარღოთოვის ..... 38
აიიიი აღიონ მამა ბიოზი (სხირტლაძე) სულიერი განწმენღა ..... 10	თაიბანი კრასინ ხიმიოსკი - ღექსები ..... 41
იღიას ბზი იოსებ ჭუმბურიძე - როღემღე?! ..... 12	ოინაბი თოთი აფხაბო ღავით კოზაბიძე - ღროსთან ჭიღიღში ..... 42
ჰიოზა ბურამ პეტრიავილი - თეთრი ზღაპარი ..... 14	ღაფიონი ნიკა ფუტკარაძე - ღექსები ..... 45 შოთიკო ქოზალია - რანი ვიყავით, რანი ვართ?! ... 46
ო, ანავ ჩაო სულხან-საბა ორბელიანი - ორი პურიტ მასპინღლობა ..... 18	ნაიიი შიიი ვგვენი ღეღონოვი ..... 48
ნოიიის სბაბიი - მანანა ანუა ნანა ჭანტურია კომანის გზით ..... 20	თაიბანი რეღიარღ კიკლინი - სპლიევი ..... 50
იიიის ნახოიი ..... 24	ღაბაბაბი საღაბაბი ..... 52
პოზიი ტარიემლ ხარხელაური - ღექსები ..... 25	ხაოზ ვაბოზთ ანა განტევების ვაცი ..... 53
ჰიოზა ნუნუ ჯანელიძე - ღაწერე... სამშობლოს ფერით ..... 26	ბანიონი ბავშოზაბი აღფრეღ ნობელი ..... 54
	იჩაიიი ხაიოზა ..... 58

„სალაღერას“ ვასუხაბი:

1-ბ 2-გ 3-ა 4-ა 5-ა 6-გ 7-ა 8-ბ 9-გ 10-ბ


ჩვენი მისამართა:

ქ. თბილისი, უზნაძის ქ. № 68.  
 ტელ.: (+995) 598 93 92 84;  
 (+995) 599 12 66 80;  
 ელ-ფოსტა: nachi3-27@hotmail.com

იაღქანი № 3 (32), 2015 წ.  
 აფქიო № 3 (5), 2015 წ.

ტირაჟი: 500 ც.  
 ფასი სახელბეკრეღებო.





„ბამბურ“: ლუბა შვილია. 16 წლის. სოხუმი.